„რუსთავი 2„ ახალ სათერო სივრცეზე დაიწყებს მაუწყებლობას A4

დსთ-ს ქვეყნების ლიდერები მოყვარული ავტობუსით დასეირნობდნენ A7

დედაქალაქი C

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 24 იანვარი, 2004 წელი. №19 (568)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## ვინ დასვამს საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხს?

ოპოზიციური პარტიები ამ საკითხის დასმას არ ჩქარობენ და ცდილობენ წინასწარ შეთანხმებას მიაღწიონ, რათა, ჩვეულებისამებრ, ფუჭი გასროლა არ გამოვიდეს.

A3

### ეკონომიკა

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა ჭიანურდება?

ნებისმიერი წინაღობა, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობას შეიძლება შეექმნას, საერთო ქართულ ინტერესებს აშკარად აზარალებს, რადგან ეს აჭიანურებს საქართველოში ენერგიის ალტერნატიული მომწოდებლის შემოსვლას.

A4

### უცხოეთი

## აზერბაიჯანს ადამიანის უფლებების დარღვევის გამო აკრიტიკებენ

15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების დაპატიმრება და წამება დაიწყო, - ნათქვამია "ჰიუმან რაითს ვოთჩის" მოხსენებაში. ადამიანის უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დაპატიმრების, დაახლოებით, 1000 ფაქტი და მოქალაქეების ცემის უამრავი შემთხვევა დააფიქსირა.

A5

### საზოგადოება

## უკანონოდ გაცემული მიწების დაბრუნება იწყება

ლევან მამალაძის საქმეს, შესაძლოა, კიდევ ერთი ახალი დეტალი დაემატოს. "ნაციონალმა" ზურაბ მელიქიშვილმა გაგუბერნატორებიდან ორი თვის შემდეგ საჯაროდ პირველად ახსენა თავისი წინამორბედი და მამალაძე მხარეში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების უკანონო ბიზნესში დაადანაშაულა.

A6

### სამართალი

## სასამართლო მკაცრ ზომებს არ ცვლის

გუშინ ქართულმა მართლმსაჯულებამ მკაცრი ზომების მიმართ თავისი მიდრეკილება გამოავლინა. სამი სასამართლო პროცესი, რომელიც გახმაურებული ბრალდებების მქონე პირთათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას განიხილავდა, ერთი და იმავე შედეგით დასრულდა – ბრალდებულები, სულ ცოტა, სამ თვეს საპყრობილეში გაატარებენ.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | ☁ |
| ქუთაისი | 14 | 🌧 |
| ბათუმი | 15 | 🌧 |
| სოხუმი | 11 | 🌧 |
| ფოთი | 14 | 🌧 |
| თელავი | 11 | ☁ |
| ზუგდიდი | 14 | 🌧 |
| გორი | 8 | ☁ |
| ახმეტა | 11 | ☁ |
| ჭიათურა | 11 | ☁ |
| გაგრა | 7 | 🌧 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1300 |
| ევრო | 2.7175 |
| გირვანქა სტერლ. | 3.9339 |
| რუბლი | 0.0746 |

# "ხელისუფლების ახალ მოდელში ყველაზე დაუცველი მთავრობაა"

**ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან**

ეკა კვესიტაძე

**- ჩამოყალიბდით თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებების იმ საბოლოო ვარიანტზე, რომელზეც ბოლო დღეებში ინტენსიურად მუშაობთ?**

- ახლა შეთანხმების ბოლო სტადიაში ვართ. ბევრი პრინციპული მომენტი უკვე შეჯერებულია. დარჩა ორი დებულება, რომლის ფორმულირებებზე კიდევ გვაქვს სამუშაო, მაგრამ ზოგადი მოდელი, შეიძლება ითქვას, უკვე ჩამოყალიბებულია. საბოლოო ვარიანტი, ალბათ, უახლოეს დღეებში იქნება მზად.

**- ეს პრინციპული მომენტები რას გულისხმობს?**

- ეს მოდელი საკმაოდ ახლოს დგას იმ ცვლილებებთან, რომელიც 2000 წელს ჯონი ხეცურიანმა შემოიტანა. ის ითვალისწინებს ძლიერი პრეზიდენტის არსებობას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი არ არის.

პროექტში აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს კოლექტიური მთავრობა, რომელიც კოლექტიურად არის ანგარიშვალდებული როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე. ხოლო პარლამენტი იღებს ძალიან სერიოზულ ბერკეტს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობისთვის.

**- რა არის ეს ბერკეტი?**

- ეს არის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების უფლება ნებისმიერ მომენტში, როცა პარლამენტი ჩათვლის, რომ მთავრობა არაეფექტურად მუშაობს. ბუნებრივია, ამას, კონსტიტუციური სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით, ახლავს დებულება, როდესაც პრეზიდენტს, ძალიან მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში, შეუძლია დაშალოს პარლამენტი და რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს.

**- უნდობლობის გამოცხადება რამდენად ძლიერი ბერკეტია საკანონმდებლო ორგანოს ხელში მაშინ, როდესაც პრეზიდენტს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი, თუ მას არ უნდა, რომ შეელიოს მთავრობას.**

- ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მინისტრთა კაბინეტი არსებობს, პრეზიდენტს აქვს უფლება, რომ დაითხოვოს პარლამენტი. მაგრამ, ამ უფლების გამოყენება მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში ხდება, მაშინ, როდესაც პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის გზები ჩიხში შედის. ნებისმიერი პრეზიდენტისთვის პარლამენტის დათხოვნა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ძალიან სახიფათოა. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტმა რამდენიმე წლის წინ დაითხოვა ეროვნული ასამბლეა და, შედეგად, მის მიმართ უფრო ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტი მიიღო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არმია სამოქალაქო მინისტრის მოლოდინში



გოჩიტა ბახაიძის ფოტო

"24 საათში" გამართული "მრგვალი მაგიდის" მონაწილენი.

*დამოუკიდებლობის მეთორმეტე წელს ჯერ კიდევ უპასუხოდ რჩება კითხვა: რაში გვჭირდება ჯარი? ძველი ხელისუფლების მიერ "რეფორმირებული" არმია არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციას დაამშვენებს... რა არის ეს, ძალის თუ უსუსურობის დემონსტრაცია? როგორ არმიას ჩააბარებს სააკაშვილი საკუთარ შთამომავალს? რა შეიცვლება ქართულ ჯარში სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის მოსვლის შემთხვევაში? - "24 საათის" სტუმრები ცდილობენ, პასუხი გასცენ ამ კითხვებს.*

სოფო ბუკია

**- მოდით, ჩვენი დღევანდელი მსჯელობის სამუშაო არენა იყოს არმია სამოქალაქო მინისტრის მოლოდინში. არის ინფორმაცია, რომ თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ტოვებს თანამდებობას, თუმცა იგი შესაძლოა, გენერალური შტაბის უფროსი გახდეს. თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პირი უხელმძღვანელებს. ვინ უნდა გახდეს სამოქალაქო მინისტრი, ჩვენ არ ვიცით.**

გაგრძელება A8 გვერდზე

# ავანგარდისტი დიზაინერის პოლიტიკური პოდიუმი

B2



# ხუთი წლის წინათ

## რას ფიქრობდნენ მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ

მაია მოსიაშვილი

*ეს ინტერვიუ მიხეილ სააკაშვილთან 1998 წლის ზაფხულში ჩაიწერა. ყველაზე საგულისხმო მასში ის არის, რომ რესპონდენტი ახლა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კი არა, საქართველოს პრეზიდენტია და ის საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად ახლაც ისევე აქტიურობს, როგორც მაშინ. დღეს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა გახდა, ამიტომ საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ამასთან დაკავშირებით რა პოზიციას აფიქსირებდა ხუთი წლის წინ მიხეილ სააკაშვილი და როგორ ხსნიდა 1998 წელს საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნას.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# იმერეთის პოლიციას სპეცოპერაცია ჩაუვარდა

## ქუთაისელი "კანონიერი ქურდის" დაჭერის შესახებ ინფორმაციამ პოლიციიდან გაჟონა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

*პოსტრევოლუციურ პერიოდს ფეხი იმერეთის რეგიონის სამართალდამცველებმაც აუწყვეს. პირველი წარმატება, რაც "ხავერდოვანმა რევოლუციამ" მოიტანა ისაა, რომ მათ ქრთამის აღების მიმართ პანიკური შიში გაუჩნდათ. რამდენ ხანს გასტანს მათი ასეთი უჩვეულო განწყობილება, ამაზე ვარაუდის გამოთქმა ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად "წილის მიტანის" ტრადიცია დაირღვა, ანუ პოლიციის ქვედა რგოლებს ხელმძღვანელები წილს აღარ სთხოვენ და, თავის მხრივ, რიგითი პოლიციელებიც ქრთამის მიმართ თავშეკავებულად ირჯებიან. ერთი სიტყვით, იმერეთის სამხარეო პოლიციაში გარკვეული შიში და დისციპლინა უკვე იგრძნობა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# ჩეჩნეთი: ომი გრძელდება

უმალტ დუდაევი
*გროზნო, IWPR*

ახალი წლის დადგომის მიუხედავად, ჩეჩნეთში კონფლიქტის შეწყვეტის არანაირი იმედი არ ჩანს.

აჩხოი-მარტანის რაიონის მცხოვრები, 37 წლის უსმანი ჩეჩენ მებრძოლთა მცირერიცხოვანი რაზმის მეთაურია. ის თავის თავს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ოფიცერს უწოდებს. იჩქერიის არმიაში მას მაიორის წოდება აქვს მინიჭებული.

უსმანი გამხდარი და მაღალია, ატარებს პატარა და ლამაზად შეკრეჭილ წვერს. **"რუსეთის არმიამ აქ ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწია. სამხედრო გარნიზონები პრაქტიკულად ყველა სოფელშია ჩაყენებული, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ტერიტორიის მთლიანი ოკუპაცია მოწინააღმდეგეზე გამარჯვებას არ ნიშნავს, ხოლო პარტიზანული მოძრაობის დამარცხება მსოფლიოში ჯერ არავის მოუხერხებია,"** - ამბობს ის.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 არმია

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ქვიზა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## აჭარის წარმომადგენლობა პოლიტიკურ ორბიტაზე გადაერთო


რევაზ მიშველაძე, ჰამლეტ ჭიპაშვილი და ფრიდონ ხალვაში.

გიორგი ასანიშვილი

თბილისში აჭარის წარმომადგენლობის საქმიანობა, ბოლო დრომდე, ძირითადად, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებაში გამოიხატებოდა. თუმცა, ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფალთა შორის დაძაბულობის ესკალაციის კვალობაზე, წარმომადგენლობა იძულებული გახდა, "პროფილი" შეეცვალა და პოლიტიკურ "ორბიტაზე" გადართულიყო. ბოლო ოთხ დღეში აქ უკვე მეორედ იმართება შეხვედრა მასმედიასთან ერთი და იგივე საკითხზე: "ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის".

ამ შეხვედრებზე აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ჰამლეტ ჭიპაშვილის "მოკავშირეებად" ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები გვევლინებიან. თუ წინა შეხვედრის დროს აჭარის ხელისუფლების პოზიციებს პოლიტოლოგი გიორგი გაჩეჩილაძე, მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილი და რამდენიმე მეცნიერი "ამაგრებდა", გუშინ ამ ფუნქციას იგივე აზმაიფარაშვილი, პარლამენტარი რევაზ მიშველაძე და პოეტი ფრიდონ ხალვაში ასრულებდნენ. ისინი, რატომღაც, ცდილობდნენ, აჭარასა და მის ხელისუფლებას შორის ტოლობის ნიშანი დაესვათ და ამ უკანასკნელის მისამართით გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები რეგიონთან გაეიგივებინათ.

გუშინდელი შეხვედრის მასპინძლები ძალიან გაღიზიანებულები იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ 20 იანვარს გაკეთებული განცხადებით, რომელშიც გოგა ხაინდრავა, გიგა ბოკერია, გიგი თევზაძე, კახა ლომაია, ლაშა ბუღაძე და სხვები, "აჭარაში ჩამოყალიბებული ანტიდემოკრატიული რეჟიმისადმი" პროტესტის ნიშნად, თბილისში აჭარის წარმომადგენლობასთან, "აღორძინების კავშირის" წარმომადგენლებთან და აჭარის ტელევიზიასთან კონტაქტებზე უარს ამბობენ.

ამ განცხადებას ჰამლეტ ჭიპაშვილი "არაბუნებრივს, არადემოკრატიულსა და არაკონსტრუქციულს" უწოდებს და დასძენს: "განცხადების ავტორებს აჭარის წარმომადგენლობა პარტიულ დაწესებულებაში ერევათ. საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელ მოწოდებებს ჩვენ არასდროს ვაკეთებთ. პირიქით, ვცდილობთ, ცენტრისა და რეგიონის დაახლოების ინიციატორები ვიყოთ."

გუშინდელი შეხვედრის დროს აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციის თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, ამ ცერემონიაში ასლან აბაშიძე მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს.

რაც შეეხება ინაუგურაციის დროს აჭარის ტერიტორიაზე გამოცხადებულ გლოვას, ჰამლეტ ჭიპაშვილი ამას შეცდომით გავრცელებულ ინფორმაციას უწოდებს და აცხადებს, რომ გლოვის დღე მხოლოდ 24 იანვარია.

## ღია წერილი ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, მეუფეო დიმიტრი!

მოგეხსენებათ, თუ რა შემაშფოთებელი მდგომარეობაა ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში (შესაბამისად იმ ეპარქიაში, რომლის სულიერი მწყემსიც თქვენ ბრძანდებით). ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდან ადამიანის უფლებათა შელახვა, პოლიტიკურად განსხვავებული აზრის მქონე პირების შევიწროება და მათ მიმართ ძალადობრივი აქტები, კიდევ სხვა უხეში დარღვევები სულ უფრო ხშირ ხასიათს იღებს.

ასეთი ვითარების ფონზე თქვენი დუმილი ერთგვარ გაურკვევლობასა და გაკვირვებას იწვევს მრევლის იმ წევრებში, რომელთაც ქრისტიანული და მოქალაქეობრივი შეგნება ნებას არ გვაძლევს მშვიდად ვუცქიროთ ჩვენს ეპარქიაში განვითარებულ მოვლენებს.

ეკლესია მუდამ იყო უსამართლობის და ბოროტმოქმედების მამხილებელი და წინაღმდგომი ძალა.

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, საჯაროდ დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

ღმერთმა გაგაძლიეროთ თქვენს მოციქულებრივ ღვაწლში.

*ბათუმისა და სხალთის ეპარქიის*
*მრევლის ერთი ნაწილი*

## დიასამიძე აბაშიძის წინააღმდეგ

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითი განხილვისთვის წარმოებაში მიიღო სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი დამფუძნებლის თამაზ დიასამიძის სარჩელი, რომლითაც ის ასლან აბაშიძის მიერ აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას აპროტესტებს.

საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ბათუმში მცხოვრები თამაზ დიასამიძე ასლან აბაშიძეს აჭარაში საგანგებო მდგომარეობის "უკანონოდ, ძალაუფლების გადამეტებით, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილებათა მიტაცებით" გამოცხადებაში ადანაშაულებს. მისი მტკიცებით, აჭარაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით უხეშად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე 22-ე, 24-ე და 25-ე მუხლები, ილახება მოქალაქეთა პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე გადაადგილების, ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, აგრეთვე მშვიდობიანი შეკრებების უფლებები.

სარჩელის განხილვის კონკრეტული თარიღი ჯერ დადგენილი არ არის. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ზენიძე აცხადებს, სასამართლო არსებითად განხილვაში მიღებული საქმეების რიგითობას ვერ დაარღვევს. ამრიგად, დიასამიძის სარჩელის განხილვა რამდენიმე საქმის განხილვის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

*24 საათი*

## წალკის გამგებლის საქმეს პროკურატურა სწავლობს

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ ოფიციალურ ძებნილად გამოაცხადა წალკის რაიონის სოფელ დარაკოვში მცხოვრები ამბარცუმ ლუსპარუნიანი, რომელიც წალკის რაიონის გამგებლის ელდარ ხვისტანისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაშია ეჭვმიტანილი.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ სომეხი ეროვნების რამდენიმე მოქალაქე წალკის გამგებლის ელდერ ხვისტანის სამუშაო კაბინეტში შეიჭრა. თავდამსხმელებმა გამგებელი სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც ელდარ ხვისტანი საავადმყოფოში მოხვდა.

თავდასხმაში მონაწილე ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დაპატიმრებაზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ სანქცია უკვე გასცა. ლუსპარუნიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 239-ე ხულიგნობის მუხლით არის აღძრული, რაც ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მისი ადგილსამყოფელი სამართალდამცველებისთვის უცნობია. მის ძებნა-დაკავებას ის ფაქტიც უშლის ხელს, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ძებნილის თანასოფლელი სომხების უმეტესობა შეიარაღებულია და ლუსპარუნიანის დაკავების ოპერაციის ჩატარება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ სამართალდამცველები ეჭვმიტანილის დაკავებას აპირებენ, პარალელურად - მის ბრალდებასაც ამოწმებენ.

"თავდამსხმელები გამგებელს კორუფციაში ადანაშაულებდნენ და მის გადადგომას მოითხოვდნენ. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა და იმ შემთხვევაში, თუ წალკის გამგებლის კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის ბრალდება დადასტურდება, მის მიმართაც შესაბამის ზომებს გავატარებთ", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ქვემო ქართლის საოლქო პროკურორმა მამუკა ცაავამ.

*24 საათი*

## მდიდრებს დაუსაბუთებელი ქონება ჩამოერთმევათ

იუსტიციის სამინისტრო ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შესახებ ახალ საკანონმდებლო პაკეტს ამუშავებს, რომლის მიხედვითაც, ნებადართული ხდება თანამდებობის პირის დაუსწრებლად მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ბრალის წაყენება და გასამართლება, ანუ აღნიშნული პროცედურების განხორციელება შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა თანამდებობის პირი თავს არიდებს გამოძიებას ან იძებნება. ამჟამად მოქმედი კანონის შესაბამისად კი, დაუსწრებლად გასამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირს წაყენებული აქვს ბრალი და მისი საქმე გადაცემულია სასამართლოში. ახალი პროექტის მიხედვით, იმუნიტეტი უუქმდებათ პროკურატურის კოლეგიის წევრებსა და გამომძიებლებს. იმავე პროექტით, გენერალურ პროკურორს უფლება ენიჭება, გადახედოს სასამართლოზე ბრალდების მხარის შუამდგომლობას და პატიმრისთვის სასჯელის დამძიმება მოითხოვოს. აქამდე მოქმედი კანონის შესაბამისად, მოსამართლეს უფლება ჰქონდა, შეემსუბუქებინა ბრალდების მხარის მოთხოვნა და განსასჯელისათვის შედარებით მსუბუქი განაჩენი გამოეტანა. ახალი პროექტის მიხედვით, მკაცრდება პასუხისმგებლობა დაუსაბუთებელ ქონებაზე.

პროექტის მიხედვით, პროკურორს ეკისრება ვალდებულება, აღძრას სამოქალაქო სარჩელი, თუ მას აქვს ეჭვი, რომ ამა თუ იმ თანამდებობის პირის ქონება არის უკანონო, ხოლო თუ ეს პიროვნება ვერ დაამტკიცებს ქონების კანონიერებას, მაშინ ქონება ჩაითვლება დაუსაბუთებლად და ჩამოერთმევა.

ასევე, თუ ვინმეს გაუჩნდება ეჭვი, რომ თანამდებობის პირმა გადამალა თავისი ქონება, პროკურატურას ენიჭება უფლება, მიმართოს სასამართლოს მისი ქონების დაყადაღების მოთხოვნით. კანონპროექტის ფარგლებში, გაფართოებულია თანამდებობის პირის ცნებაც, ანუ თანამდებობის პირად ჩაითვლება ის პირიც, რომელიც სახელმწიფო საწარმოში ფლობს აქციათა 50 ან მეტ პროცენტს. **პრაიმ-ნიუსი**

## ბურჯანაძე ყოფილი სახელმწიფო მინისტრის პოლიტიკური რეანიმირების წინააღმდეგ

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე გულწრფელადაა აღშფოთებული ყოფილი სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის პოლიტიკური რეანიმირების მცდელობით. "როცა ავთო ჯორბენაძემ ახალი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების თაობაზე იმგვარი განცხადება გააკეთა, რომლითაც იგი რევოლუციის ლიდერად და პირველ გულშემატკივრად გამოვიდა, აღშფოთებული დავრჩი. ასე არ შეიძლება," - აღნიშნა ბურჯანაძემ. პარლამენტის თავმჯდომარე ჯორბენაძეს 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების ტოტალურ გაყალბებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ "პასუხისმგებლობა უბინძურესი წინასაარჩევნო და საარჩევნო კამპანიის წარმოებაზე მას ეკისრება".

ბურჯანაძე პოლიტიკური ანგარიშსწორებისკენ არავის მოუწოდებს, თუმცა კატეგორიულ წინააღმდეგობას გაუწევს იმ ხალხის რეანიმირების მცდელობას, ვინც "პრეზიდენტ შევარდნაძეს მიტინგის დარბევას ურჩევდა".

"ამ ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას, რომ ხალხი, რომელიც დასაჭერია, მორალს გვიკითხავდეს. ქვეყანაში პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს," - აღნიშნა ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

## დღეს ქუთაისში მიხეილ სააკაშვილთან ერთად 500-მდე სტუმარს ელიან

დღეს ქუთაისში, საქართველოს არჩეულ პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან ერთად, 500-მდე სტუმარს ელიან. ისინი გელათში პრეზიდენტის მიერ სასულიერო ფიცის დადების ცერემონიალში მიიღებენ მონაწილეობას.

24 იანვარს გელათის მონასტრის ეზოში მხოლოდ 7000 მსურველს შეეძლება შესვლა. ამასთან, აკრედიტაციის გარეშე მათ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ 10.00 საათამდე შეუშვებენ, შემდეგ კი მონასტერში მისასვლელი ყველა გზა ჩაიკეტება. უშიშროების სამსახურის დასავლეთ საქართველოს განყოფილების უფროსის გოჩა მიქაუტაძის განცხადებით, ამ დღეს იმერეთში უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნება დაცული.

სასულიერო ფიცის დადების ცერემონიალს, რომელიც 15.00 საათზე დაიწყება და ერთ საათსა და ათ წუთს გასტანს, პირდაპირი ეთერით 20-მდე ქართული და უცხოური ტელეკომპანია გადასცემს. **ინტერ-პრესი**

## პარლამენტს ავტონომიური ბიუჯეტი ექნება

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტს ავტონომიური ბიუჯეტი ექნება და 2004 წელს საკანონმდებლო ორგანო საკუთარი დავალიანების გადახდას დაიწყებს. "დღეს არ არსებობს სფერო, სადაც პარლამენტს ვალი არ ჰქონდეს. პარლამენტს დამოუკიდებელი ბიუჯეტი უნდა გააჩნდეს და საკუთარი ფინანსების მართვა თავად უნდა შეეძლოს," - აღნიშნა ბურჯანაძემ.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, პარლამენტი აუცილებლად გახდება გადახდისუნარიანი და შეძლებს გაზეთებსაც გადაუხადოს დავალიანებები (უკვე წელიწადნახევარია, დავალიანების გამო საკანონმდებლო ორგანო პერიოდულ პრესას ვერ იღებს).

საქართველოს პარლამენტს დღეისათვის მომსახურების სფეროების, დაახლოებით, 2 მილიონ ლარამდე დავალიანება აქვს. **ინტერ-პრესი**

## "დემოკრატიული აჭარა"


*ედვარდ სურმანიძე "დემოკრატიული აჭარის" კონსულტანტი იქნება.*

სახალხო მოძრაობას - "ჩვენი აჭარა" გვერდში მალე ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ამოუდგება. "დემოკრატიული აჭარა" 27 იანვარს ფილარმონიაში დაფუძნდება. ჯერ კიდევ მის დაფუძნებამდე ამ ორგანიზაციას მჭიდროდ დაუკავშირეს "დემოკრატ" ედვარდ სურმანიძის სახელი. სხვა ვინ გაერთიანდება "დემოკრატიულ აჭარაში", ჯერ ვერც თავად სურმანიძე აკონკრეტებს. ამ ორგანიზაციასთან თავის კავშირს კი იგი არ უარყოფს. მისი განცხადებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტის ნაცვლად, იგი საკმაოდ მოკრძალებული "რიგითი მრჩევლის" ადგილს დაიჭერს. ორგანიზაციის შემქმნელთა საინიციატივო ჯგუფი მასთან სწორედ ამ წინადადებით მისულა. სურმანიძის განცხადებით, **"ამ ორგანიზაციის შემადგენლობაში ყველა ასაკის და პროფესიის აჭარელი გაერთიანდება, ისინი, ვისაც საერთოდ მთელ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისათვის სურს ფეხის აწყობა."** მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას თავად სურმანიძე "პოლიტიკურ ელფერს ნაკლებად ამჩნევს", იგი ამბობს, **"რომ ორგანიზაცია ერთპარტიულ დაჯგუფებას არ დაემსგავსება. ამავე დროს, მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი აჭარაში საქართველოს ახალი პრეზიდენტის და ახალი ხელისუფლების მიერ აღებული რეფორმების კურსის მხარდაჭერა იქნება. ამით, ცენტრისა და რეგიონის დაახლოების გარდა, ამ ორგანიზაციის შემქმნელებს კიდევ ერთხელ სურთ იმის დამტკიცება, რომ ასლან აბაშიძეს აჭარის ავტონომიის მოსახლეობა სულაც არ უჭერს მხარს".** სურმანიძის პროგნოზით, ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წყალობით, რეგიონში საკმაოდ სერიოზული რეფორმებია მოსალოდნელი, **"თვით წყალშემდგარი ადგილობრივი ხელისუფლების "ხავერდოვანი" ცვლილების ჩათვლით".** *24 საათი*

## სამხედრო აღლუმი 53 592 ლარით დაფინანსდა

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის დღის სამხედრო ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობით დაგეგმილი სამხედრო აღლუმი 53 ათას 592 ლარით დაფინანსდა. სამხედრო აღლუმში მონაწილეობას ჯარების ყველა სახეობა, სულ 1669 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს. აქედან - 3 გენერალი, 164 ოფიცერი, 1502 სერჟანტი და კაპრალი იქნება. სამხედრო აღლუმში მონაწილეობას მიიღებენ "წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკული პროგრამის ფარგლებში მომზადებული "კომანდოს", შავნაბადას 113-ე და თელავის 111-ე ბატალიონები.

"კომანდოს" და "შავნაბადას" ბატალიონები აღლუმზე ავტომატური იარაღით აღჭურვილი 558-558 სამხედრო მოსამსახურით იქნებიან წარმოდგენილი, თელავის ბატალიონიდან კი აღლუმში მონაწილეობას 387 შეიარაღებული ჯარისკაცი მიიღებს.

სამხედრო აღლუმში მონაწილეობას მიიღებს ასევე საკომანდო პუნქტის 82 სამხედრო მოსამსახურე, თავდაცვის ეროვნული აკადემიის 120 კურსანტი, სასაზღვრო ჯარების 59 და შინაგანი ჯარების 163 სამხედრო მოსამსახურე, ასევე შინაგანი ჯარების საცხენოსნო ქვედანაყოფის 10 სამხედრო მოსამსახურე.

სამხედრო აღლუმისთვის მზადყოფნაში იქნება სამხედრო-საჰაერო ძალების კოლონა - ოთხი ერთეული "სუ-25" ტიპის თვითმფრინავი, ორი "მი-8" ტიპის და ასევე ორი "იროკეზის" ტიპის შვეულმფრენი. **ინტერ-პრესი**

## გუშინ რკინიგზის ახალი ხელმძღვანელობა დაამტკიცეს

გუშინ შპს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭომ საწარმოს გენერალურ დირექტორად ლევან ვარშალომიძე დაამტკიცა.

ლევან ვარშალომიძესთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭომ "საქართველოს რკინიგზის" ოთხი დირექტორის კანდიდატურა დაამტკიცა; მათ შორისაა რკინიგზის ყოფილი გენერალური დირექტორის ორი ყოფილი მოადგილე. თენგიზ დონაძე დღეიდან რკინიგზის ტექნიკური დირექტორის ფუნქციებს შეასრულებს, რამაზ გიორგაძე კი კომერციული დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა. ამასთან, რკინიგზის ფინანსურ დირექტორად სოფო დევსოსაძე დაამტკიცეს, რომელიც მანამდე მსოფლიო ბანკში მუშაობდა. კორპორაციული მართვის დირექტორის თანამდებობაზე კი სამეთვალყურეო საბჭომ ლაშა გოცირიძე დაამტკიცა, რომელიც ადრე ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი იყო. **24 საათი**

## ქუთაისელები დენის გრაფიკის მიხედვით საათებს გაასწორებენ

გუშინ ქუთაისს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქუთაისის ფილიალის („ქელასი") ხელმძღვანელი მამუკა კიკალიშვილი სტუმრობდნენ. ისინი დახურულ კარს მიღმა იმერეთის გუბერნატორს და ქუთაისის მერს შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ ნიკოლაიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მარტო გასული წლის ოქტომბრის თვეში, იმერეთში, 100 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერგიაა დატაცებული, რომელიც უზგო-უკვლოდ დაიკარგა. მისივე თქმით, დღეს მათ შექმნეს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც 1 თვის მანძილზე მიწოდებულ თითოეულ მეგავატს გააკონტროლებს.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ ქუთაისში იმოქმედებს მკაცრი გრაფიკი, რომელზეც **"ნებისმიერ ქუთაისელს საათის გასწორება შეეძლება".**

მამუკა ნიკოლაიშვილი დაჰპირდა ჟურნალისტებს, რომ ქალაქი გათავისუფლდება ე.წ. კომერციული ხაზებისგანაც.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ" გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის ფილიალის დირექტორი მამუკა კიკალიშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე გუშინ დაინიშნა, უწყების რეორგანიზაციას იწყებს და ყველა პასუხისმგებელ პირს დაითხოვს. **24 საათი**

## მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა ვიზიტი დაასრულა

*მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონული დირექტორი დონა დოუსეთ-ქიოროლო საქართველოში ვიზიტის ბოლო დღეს ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებს და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა.*
*შეხვედრების შემდეგ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საქართველო, სავარაუდოდ, მსოფლიო ბანკისგან პირველ ტრანშს - 20 მილიონი დოლარს მიმდინარე წელს მიიღებს, თუმცა მსოფლიო ბანკს ოფიციალური გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით არ მიუღია.*

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტ ირაკლი მანაგაძესთან, ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრ ირაკლი რეხვიაშვილთან გასული წლის ფისკალურ შედეგებზე, საბანკო სისტემის მდგომარეობასა და რეფორმების განხორციელების აუცილებლობაზე ისაუბრა.

შეხვედრების შემდეგ ქიოროლომ განაცხადა, რომ მისი ბოლო ვიზიტის შემდეგ საქართველოში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. მან იმედი გამოთქვა, რომ პოზიტიური ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება და ამ კუთხით განსაკუთრებით აღნიშნა კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელებისა და სოციალურ ვალდებულებებში დავალიანების წარმოქმნის შეჩერების აუცილებლობა.

თავის მხრივ, ზურაბ ნოღაიდელმა კმაყოფილება გამოთქვა ვიზიტის შედეგების გამო. **"ჩვენ განვიხილეთ ის შეფასება, რომელსაც მსოფლიო ბანკი სისტემატურად ამზადებს. მორიგი ასეთი შეფასება მსოფლიო ბანკმა ზაფხულისთვის უნდა გააკეთოს. იმედი მაქვს, რომ ზაფხულამდე საქართველოში მდგომარეობის გამოსწორებას შევძლებთ"**, - აღნიშნა მან.

ნოღაიდელის შემდეგ მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა.

**"შესაძლოა, მსოფლიო ბანკი საქართველოს პარლამენტს რეფორმების პროცესში დაეხმაროს"**, - ამის შესახებ დღეს ჟურნალისტებს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დირექტორთან დონა დოუსეთ-ქიოროლოსთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, მსოფლიო ბანკმა კარგად იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარლამენტს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის. **"პირადად მე და ახლად არჩეული პარლამენტი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მთავრობას ეფექტურად მუშაობის გარემო შევუქმნათ და ხელი შევუწყოთ საქმიანობაში,"** - განაცხადა მან.

მისივე თქმით, მსოფლიო ბანკი პოზიტიურად აფასებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და ახალ ხელისუფლებას მხარდაჭერას ჰპირდება. **"საუბარია არა მარტო ძველი პროგრამების აღდგენაზე, არამედ ახალი პროგრამების დაფინანსებაზეც,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა დონა დოუსეთ ქიოროლომ დღეს ბურჯანაძესთან შეხვედრით საქართველოში თავისი ვიზიტი დაასრულა. მსოფლიო ბანკის ექსპერტები საქართველოში თებერვლის ბოლოს ჩამოვლენ. ამ ვიზიტს საკონტროლო ფუნქცია ექნება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შეწყალების კომისიის გუშინდელი დადგენილებით, ექვსი პატიმარი შეიწყალეს. აღნიშნულ აქტს ხელი საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მოაწერა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და თურქეთის სანაპირო დაცვის სამსახურების სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, თებერვლის დასაწყისში საქართველოს, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით, თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სამსახურის ხუთკაციანი დელეგაცია ეწვევა ადმირალ ჰეპერის ხელმძღვანელობით. ვიზიტის დროს ხელი მოეწერება ოქმს 2004-2005 წლებში ორმხრივი თანამშრომლობისა და ზღვაზე კანონგანმტკიცების სფეროში გასატარებელი ერთობლივი ღონისძიებების შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში თებერვლის მეორე ნახევარში გაიმართება. როგორც კრემლის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი სერგეი პრიხოდკო იუწყება, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სააკაშვილს რუსეთის პრეზიდენტმა პირადად გაუგზავნა მოწვევა და რუსეთში ოფიციალური ვიზიტით ჩასვლა შესთავაზა. იმავე პრიხოდკოს განცხადებით, თებერვლის დასაწყისში მოსკოვს ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევიც ეწვევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ხაშური.** ხაშურის რაიონში 25 იანვრისთვის დანიშნული განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნების ჩატარება კვლავ სათუოა. ფლევის საარჩევნო კომისიის წევრებმა გუშინ საარჩევნო უბანზე პოლიციის თანხლებით შეაღწიეს. არჩევნებამდე ორი დღით ადრე ამომრჩეველთა ის სიებიც გამოიკრა, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს. თუმცა, ფლეველები არჩევნებზე მისვლას კვლავინდებურად არ აპირებენ. 25 იანვარს საარჩევნო უბანთან პოლიციის დამატებითი ძალების მობილიზება იგეგმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის საიმონ ლანის ინიციატივით, სპეციალურად "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიისთვის" "ცხელი ხაზი" ამოქმედდება, რომლის საშუალებითაც საიმონ ლანი საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას უშუალოდ "ლეიბორისტებისგან" მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ჯორჯ სოროსის მიერ გაკეთებული იმ განცხადების გამო, რომლის თანახმადაც საქართველოში სახელმწიფო მოხელეებს ხელფასს სოროსის ფონდი გადაუხდის. პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსის გელა დანელიას განცხადებით, სოროსის ამ განცხადების აღსრულების შემთხვევაში, "საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრება და ჯორჯ სოროსის მიერ ქვეყნის სრული პრივატიზაცია განხორციელდება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე ჯორჯ სოროსის მიერ ქართველი სახელმწიფო მოხელეებისთვის გაზრდილი ხელფასების დაფინანსებას დადებით მოვლენად აფასებს. მისი განცხადებით, აღნიშნული ინიციატივის განხორციელება კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 25 იანვარს საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციას ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლომონ პასსიც დაესწრება. საქართველოში ჩამოვა ასევე ეუთო-ს მომავალი თავმჯდომარე, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი რუპელი. კვირას პასსი თბილისში საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს, რომელზეც საქართველოსა და ეუთო-ს შემდგომ ურთიერთობებზე ისაუბრებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბადრი ნიაური უარს ამბობს "ჯორჯ სოროსის მიერ დანიშნული" ხელფასის აღებაზე და აცხადებს, რომ მისთვის განკუთვნილ შრომის ანაზღაურებას ბავშვთა ფონდში გადარიცხავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებით დაკომპლექტებულმა ეროვნული სათათბიროს აღმასრულებელმა საბჭომ ახალ ხელისუფლებას და, პირადად, პრეზიდენტ სააკაშვილს დღეს ღია მხარდაჭერა გამოუცხადა. საბჭოს წევრები გმობენ აჭარაში მიმდინარე პოცესებს, კერძოდ, აჭარის ხელისუფლების მიერ "კმარას" აქტივისტთა დაპატიმრებას და რეგიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ხელისუფლების ახალ მოდელში ყველაზე დაუცველი მთავრობაა"

პირველი გვერდიდან

**- ანუ, ამის შემდეგ კრიზისი უფრო გაღრმავდა.**

- არა, ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პრეზიდენტები ძალიან იშვიათად უნდა იყენებდნენ ამ ბერკეტს და საერთაშორისო პრაქტიკაში ეს ასეც არის. თუ გვეყოლება მინისტრთა კაბინეტი, მაშინ, ერთი მხრივ, პარლამენტს უნდა ჰქონდეს ახალი ბერკეტი - ეს არის მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება; მეორე მხრივ, პრეზიდენტს უნდა შეეძლოს, რომ განსაკუთრებულ ვითარებაში პარლამენტი დაითხოვოს და რიგგარეშე არჩევნები ჩაატაროს.

ამ მოდელს, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ტრადიციული ევროპული მოდელებისაგან ერთადერთი რამ განასხვავებს. ეს არის მთავრობის და არა პარლამენტის დაუცველობა.

**- მაგრამ ის დეტალი, რომელიც თქვენს მოდელს ევროპულისაგან განასხვავებს, ძალიან პრინციპულია. ევროპულ მოდელში მთავრობის დათხოვნის უფლება პარლამენტს აქვს და არა პრეზიდენტს. ეს განსხვავება კი თქვენს ვარიანტს რუსულ მოდელს უფრო ამსგავსებს, ვიდრე ევროპულს.**

- მაგრამ ეს არ არღვევს წონასწორობას პარლამენტს, პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. ამ მოდელის პირობებში საუბარია აღმასრულებელი ხელისუფლების დაუცველობაზე, რადგან მისი დათხოვნა პრეზიდენტს ერთპიროვნულად შეუძლია.

მაშინ, როდესაც პრეზიდენტი არის არჩეული აბსოლუტური უმრავლესობით, მე მიმაჩნია, მას ამის უფლება უნდა ჰქონდეს.

მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ის ცვლილებები, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს, არის კონსტიტუციური რეფორმის დასაწყისი. ეს არ არის ის მოდელი, რომელიც საქართველოში ათწლეულების მანძილზე უნდა დარჩეს.

**- მთავარი არგუმენტი ამ მოდელის წინააღმდეგ არის ის, რომ როდესაც პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები ექნება, ხოლო ინსტიტუციონალური კონტროლი (პარლამენტის სახით) - ძალიან მცირე, დემოკრატია ამ ქვეყანაში შეიძლება სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.**

- ჩემი სპიკერობის ექვსწლიანი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, რომ მთავარი ბერკეტი, რომელიც ქართულ პარლამენტს არ ჰქონდა, იყო უნდობლობის გამოცხადება. მთელი ის განხილვები, რომელიც პარლამენტში ეწყობოდა, ყოველთვის იყო, უბრალოდ, ლაყბობა და მეტი არაფერი. ჩვენ შეგვეძლო გამოვსულიყავით შენიშვნებით, გაგვეკრიტიკებინა მინისტრები, მაგრამ მინისტრების გადასაყენებლად, იმპიჩმენტის გარდა, არანაირი პროცედურა არ არსებობდა.

ჩვენ გვჭირდება სისტემა, როდესაც მთავრობის შეცვლა შესაძლებელი იქნება არამხოლოდ მაშინ, თუ მთავრობა სჩადის დანაშაულს, არამედ მაშინაც კი, როდესაც საზოგადოება და პარლამენტი ჩათვლის, რომ ის არაეფექტურად მუშაობს.

**- მაგრამ, კიდევ ერთხელ, თქვენ პარლამენტს აძლევთ ბერკეტს, რომლის გამოყენების შემთხვევაში პრეზიდენტმა ის შეიძლება დაითხოვოს. ანუ, ამ ბერკეტის გამოყენებას შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი მოჰყვეს.**

- ამ საკითხზე კამათი ნიშნავს იმას, რომ თქვენ მისვამდეთ კითხვებს - ველოსიპედს რატომ უნდა ჰქონდეს ორი ბორბალი და არა ოთხი ან ხუთი. ჩვენ ვდავობთ იმ საკითხებზე, რომელიც აპრობირებულია და მთელ მსოფლიოში, მინიმუმ, ორასი წელი მუშაობს. მე ნამდვილად არ მაქვს არანაირი სურვილი, ასეთ საკითხებზე ვკამათობდეთ.

**- ვერ დაგეთანხმებით, ბატონო ზურაბ. იგივე ფრანგულ მოდელში, რომელზე აპელირებასაც თქვენ ხშირად აკეთებთ, მთავრობის დაკომპლექტება პარლამენტში გამარჯვებული ძალებით ხდება. გარდა ამისა, მთავრობის დათხოვნის უფლება იქ მხოლოდ პარლამენტს აქვს და არა პრეზიდენტს, როგორც ეს თქვენს მოდელშია.**

- ზუსტად იგივე ფორმულირება იქნება ჩვენს კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტი მთავრობის წევრებს საპარლამენტო შედეგების გათვალისწინებით წარადგენს.

**- მაგრამ ფორმულირება "გათვალისწინებით" არ ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტს ლავირების და სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალება არა აქვს.**

- მე გთხოვთ, აიღეთ ფორმულირებები სხვა კონსტიტუციებიდან და თქვენს სტატიაში ჩართეთ. საფრანგეთში, მაგალითად, პრეზიდენტს აქვს უფლება, ორივე პალატის სპიკერთან კონსულტაციის შემდეგ, პარლამენტი დაითხოვოს და არანაირი შეზღუდვა არ აქვს. ჩვენს პროექტში კი ძალიან მკაფიოდ არის გაწერილი ყველა ის მუხლი, როდესაც პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა შეუძლია.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს ცვლილებები პარლამენტში შესაძლოა იმ საკონსტიტუციო ცვლილებების ჩარჩოებში შევიდეს, რომელიც თავის დროზე შევარდნაძემ შეიტანა. მაშინ, როგორც მახსოვს, ამ პროექტს ყველა ეწინააღმდეგებოდა იმ არგუმენტით, რომ ის პრეზიდენტის უფლებამოსილებას ძალიან ზრდიდა. ახლა რა შეიცვალა?**

- უკაცრავად, მაგრამ იმ ცვლილებების გასატანად (შესწორებების შემდეგ) მთელი ეპოპეა იყო. ჩვენ მხარს ვუჭერდით იმ პროექტს. უბრალოდ, მის გადამუშავებას ვითხოვდით. ეს ვარიანტი კი, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის გადამუშავებული ვარიანტი და ძალიან ბევრ დამატებას შეიცავს.



"ჩემი დასაქმების პრობლემას ყოველთვის სხვების დაუხმარებლად გადავწყვეტ".

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**- ანუ, ავტომატურად იგულისხმება, რომ პროექტის განხილვის ერთთვიანი ვადა დაცული არ იქნება?**

- მინისტრთა კაბინეტის შემოღება საქართველოში ხუთი წლის განმავლობაში იხილება. ხეცურიანის პროექტის შემოტანის შემდეგ პარლამენტში ეს საკითხი ოფიციალურად, ბოლო სამი წელია, დგას. ანუ ვადა, რაც პარლამენტში ამ ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს, სამ წელს აღემატება.

**- იმ მოდელში, რომელზეც ახლა მუშაობთ, ყველაზე დაუცველი სწორედ მთავრობაა. მაშინ რაში მდგომარეობს თქვენი ინტერესი, იყოთ ისეთი პრემიერ-მინისტრი, რომელიც პრეზიდენტს ნებისმიერ მომენტში, თან უმოტივაციოდ, შეუძლია დაითხოვოს. თუმცა, ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი სპეციალურად თქვენთვის იქმნება.**

- მე არ ვაპირებ პასუხის გაცემას იმ რეპლიკებზე, თითქოს კონსტიტუციური ცვლილებების მიღება ჟვანიას დასაქმებას ემსახურება მიზნად. ამ ზღვარგადასული, დაუსაბუთებელი რეპლიკების საპასუხოდ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი დასაქმების პრობლემას ყოველთვის სხვების დაუხმარებლად გადავწყვეტ.

თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ეს პოსტი, სადაც მემკვიდრეობით უამრავი პრობლემა დამხვდა, ჩემთვის დროის გასატარებლად საუკეთესო ადგილია, ძალიან ცდება.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მე ყოველთვის ერთი და იგივეს ვამბობდი, რომ ქვეყანას სჭირდება მოქნილი მმართველობა, ხელისუფლება, რომელიც იქნება ანგარიშვალდებული და რომლის პასუხისმგებლობაც გუნდური იქნება.

მე შეგახსენებთ იმ სიტუაციას, რომელიც საქართველოში მუდმივად მეორდებოდა. მაგალითად, ბიუჯეტის ჩავარდნა. ვინ იყო ამაზე პასუხისმგებელი?

**- პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.**

- ჩვენ მთელი ამ წლების განმავლობაში დავრწმუნდით, რომ პრეზიდენტზე ეს პასუხისმგებლობა არასოდეს ვრცელდებოდა და ვერ გავრცელდება. იმიტომ, რომ არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურები მიმდინარე პრობლემებზე, იგივე ბიუჯეტის შესრულებაზე, პასუხისმგებლობას არ იღებენ და ვერც აიღებენ. ეს არ არის სახელმწიფოს მეთაურის ბუნებრივი ფუნქცია.

პასუხისმგებელი პირის ძიების პროცესში პარლამენტში მუდმივად გაუთავებელი პინგ-პონგი იყო. ფინანსთა მინისტრი ხელს იშვერდა სამართალდამცავებისაკენ, სამართალდამცავები ხელს იშვერდნენ საგადასახადოსკენ, ისინი – მებაჟეებისაკენ, და ასე შემდეგ.

იმას, ვისაც ყველაფერ ამის კოორდინაცია ევალებოდა, ანუ პრეზიდენტს პარლამენტში ვერასოდეს გამოიძახებდი, რადგან ის პარლამენტში წელიწადში ერთხელ მიდის, მაშინ, როცა ყოველწლიურ მიმართვას აკეთებს.

როგორ უნდა მოვთხოვოთ, ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა პრეზიდენტს, თუ ბიუჯეტის ყოველი ჩავარდნის შემდეგ რევოლუცია უნდა მოვაწყოთ?

ის სისტემა, რომელიც დღეს საქართველოშია, არის კოლექტიური უპასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც არ იძლევა იმის საშულებას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პასუხი აგოს წარუმატებლობაზე.

**- ე.ი. ბოლო წლების წარუმატებლობები სისტემის ბრალი იყო და არა შევარდნაძის პოლიტიკის?**

- მარტო სისტემის პრობლემა, რა თქმა უნდა, ეს არ იყო. მას შემდეგ, რაც შეიცვალა ფინანსთა რვა მინისტრი, ხუთი სახელმწიფო მინისტრი და ასე შემდეგ, მე ხშირად ვამბობდი, რომ საჭირო იყო შეგვეცვალა პრეზიდენტი.

მაგრამ სისტემა, რომელიც საქართველოში არსებობს, რევოლუციის გარდა, პასუხისმგებლობის დაკისრების სხვა მექანიზმებს არ გულისხმობს.

**- თქვენს პროექტში ყველაფერზე, მათ შორის - ბიუჯეტის ჩავარდნაზე, კონკრეტული პასუხისმგებელი პრემიერ-მინისტრი იქნება? ანუ, თუ წლის ბოლოს ბიუჯეტი ჩავარდება, თქვენ ავტომატურად გადადგებით?**

- რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი მთავრობასთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას.

თუ მთავრობამ ბიუჯეტი ვერ შეასრულა და პარლამენტმა მას უნდობლობა გამოუცხადა, რომელი ჭკუათმყოფელი პრეზიდენტი მიიღებს არაპოპულარულ გადაწყვეტილებას და დაითხოვს პარლამენტს, რომელიც სიმართლის მხარეს დგას? მაშინ ის ბევრად უფრო ოპოზიციურ, მტრულ პარლამენტს მიიღებს.

ამიტომ, პარლამენტის დათხოვნის მექანიზმი - ეს არის მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა, რომლის გამოყენება პრაქტიკაში ძალიან იშვიათად ხდება. მაგრამ, ამავე დროს, ეს არის აუცილებელი ბერკეტი, რათა პარლამენტი არ ატერორებდეს მთავრობას და მთავრობასაც ჰქონდეს ავტონომიური, გაბედული მოქმედებების საშუალება.

**- რადგან ბიუჯეტზე გადავედით, დღეს არსებული რესურსებიდან გამომდინარე, რამდენად დიდია იმის შესაძლებლობა, რომ ბიუჯეტი ყოველთვიურად შესრულდეს.**

- არსებობს ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ ბიუჯეტის ქრონიკული შეუსრულებლობა დავძლიოთ. ეს სასაცილო პრობლემაა და მე იმედი მაქვს, რომ ამ პრობლემას რამდენიმე თვის შემდეგ, უბრალოდ, აღარც გავიხსენებთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ორიენტირებულნი ვართ იმაზე, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყოს. ჩვენი ამბიციები არის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ბიუჯეტის შესრულებაა.

**- დღეს თუ არსებობს კონკრეტული ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც ასახავდა ახალი ხელისუფლების სტრატეგიულ, მაგრამ საკმაოდ დეტალურ გეგმას იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა?**

- რა თქმა უნდა, არსებობს. ეს იქნება სამთავრობო პროგრამის მთავარი ნაწილი. ჩვენ თვეების მიხედვით გვაქვს გაწერილი, თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს თითოეულ სტრუქტურაში. როგორ უნდა მოხდეს დღეს არსებული ბიუროკრატიული აპარატის შემცირება. საქართველოს არ სჭირდება ამდენი სამინისტრო და დეპარტამენტი. აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა წარმოადგენდეს 15-20 კაცი, რომელიც ოპერატიულ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

რაც მთავარია, ჩვენი ამოსავალი წერტილი ეკონომიკური წინსვლა უნდა იყოს. ჩვენი მიზანია ექსპორტის ხელშეწყობა, სავაჭრო რეჟიმების გაუმჯობესება, შიდა ბაზრის დაცვა, რეალისტური, გამჭვირვალე და მარტივი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავება და მრავალი სხვა, რაზეც ვმუშაობთ და რაზეც კონკრეტული სქემები გვაქვს მომზადებული.

**- რა იქნება ის პირველი ნაბიჯები, რომელსაც ხელისუფლება ინაუგურაციის შემდეგ გადადგამს?**

- ინაუგურაციის შემდეგ ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რას ვიზამთ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს ორი თვეა, მე სახანძრო რაზმის ხელმძღვანელის რეჟიმში ოთხი თუ ხუთი მინისტრით ვმუშაობ, ანუ დღეს მთავრობა არ არსებობს. პირველ რიგში კი, უნდა შეიქმნას მთავრობა, რომელიც ქვეყნის მართვას დაიწყებს.

# ხუთი წლის წინათ

პირველი გვერდიდან

1998 წელს ყბადაღებული საკონსტიტუციო ცვლილებების საჩქაროდ მიღება ვერ მოხერხდა. ამ იდეის ავტორი, "მოქალაქეთა კავშირი", ბოლო წუთამდე იცავდა საკუთარ პოზიციას.

**"ძალიან ცოტა დრო დარჩა იმისათვის, რომ გადაიდგას რეალური ნაბიჯები და ქვეყანა უეჭველი კატასტროფისაგან ვიხსნათ. ეს კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში რადიკალური, მაქსიმალურად ფართე ცვლილებების გატარებას მოითხოვს,"** - ამბობდა მაშინ ზურაბ ჟვანია. ამ განცხადებას კიდევ უფრო აქტუალურს ხდიდა იმდროინდელი ფონი: ტერაქტები და თავდასხმები აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, დევნილთა 42 ათასიანი არმია გალიდან, დაუძლეველი კორუფცია, მაფიის გარნირით, ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი და ბათუმში გამართული "აღორძინების კავშირის" ყრილობა, სადაც აჭარის ლიდერმა საქართველოს ხელისუფლებას "სახელმწიფოებრივ უპასუხისმგებლობაში" დასდო ბრალი.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი პარლამენტის სამართლებრივ-საკონსტიტუციო საკითხთა და კანონიერების კომიტეტმა იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა. კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ამბობდა: **"პროექტი ძირითადად გულისხმობს ფრანგული მოდელის სახელისუფლებო სტრუქტურას, სადაც არის ძლიერი პრეზიდენტი, მაგრამ ამასთანავე ძლიერი მთავრობა, რომელსაც პარლამენტი აკონტროლებს. ამ მოდელით პასუხისმგებლობა გადანაწილდება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის, პრეზიდენტი აღარ იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, მაგრამ უფრო ძლიერად მოახდენს კონცენტრირებას ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე. ჩვენს მიერ შეთავაზებული საკონსტიტუციო რეფორმები ნიშნავს ქვეყანაში ძლიერი მოქმედი მმართველობის შექმნას, რომელსაც შეუძლია ქვეყნის სტაგნაციიდან გამოყვანა და მოსახლეობის განწყობილების გადაყვანა უარყოფითი მუხტიდან პოზიტიურზე."**

ამ სახელმწიფოებრივ იდილიას მაშინდელ საქართველოში განხორციელება არ ეწერა. რატომ ჩავარდა 1998 წელს საკონსტიტუციო ცვლილებები?

**"მაშინვე დაიწყო ნამდვილი დოღი სხვადსხვა პოლიტიკური ძალებისა, რომელთაც მადა აღუძრათ მინისტრების თანამდებობების შესაძლო გაჩენამ. ეს უკვე ძალიან არანორმალურ სიტუაციაში გვაყენებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა მორგებულიყო პიროვნებებზე. საკონსტიტუციო ცვლილებები, ცალკე აღებული, თუ პოლიტიკა არ შეიცვალა, არაფერს შეცვლის. ისინი პოლიტიკური კურსისადმი ზოგადი უნდობლობის პირობებში კონტრპროდუქტიული იქნება. სანამ პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება, მანამდე საუბარი იმაზე, რომ მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებით გავალთ ფონს, უაზრობაა,"** - ამბობდა სააკაშვილი.

მეორე მიზეზი საკონსტიტუციო ცვლილებებზე უარის თქმისა, სააკაშვილის განმარტებით, თვითონ მოდელზე ვერშეთანხმება გახლდათ: **"ის, რასაც ჩვენ ვთავაზობდით, იყო დაბალანსებული სისტემა, მაგრამ პოლიტიკურ პასტიებთან კონსულტაციების დროს გამოირკვა, რომ საბოლოოდ შესაძლებელია საუბარი იყოს დამახინჯებულ მოდელზე, მიმსგავსებულზე რუსულ და აზერბაიჯანულ მოდელებთან, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. როგორც ჩანს, დღეს ასეთი ტიპის საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანა გამოიწვევს კონსტიტუციის მორგებას კონკრეტულ ადამიანებზე, ჩემთვის ეს მიუღებელია, ეს ნიშნავს, რომ სისტემა დაგვრჩება მახინჯი."**

# ვინ დასვამს საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხს?

ლელა მჭედლიძე

**"პარტიათა საკმაო ნაწილს, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, არათუ შვიდი, ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი არ აქვს. საარჩევნო ბარიერის დაწევის პროცესს კი ორი მხარე აქვს. ერთი მხრივ, პარტიების ნაწილს პარლამენტში მოხვედრის შანსი ეძლევა და ხელისუფლების სურვილიც არსებობს, რომ პარლამენტი ერთპარტიული ორგანო არ იყოს. მეორე მხრივ კი, ამ დროს პარტიების კონსოლიდაციისთვის ნაკლები მოტივაცია არსებობს. მაღალი ბარიერი ერთნაირი პლატფორმის და იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის პარტიული სივრცის შესაქმნელად კარგი საშუალებაა,"** - მიიჩნევს პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე გიგი წერეთელი. მისი შეფასებით, მართალია, თავად ის ბარიერის დაწევაში კატასტროფულს ვერაფერს ხედავს, მაგრამ აღნიშნავს, რომ **"ახლა ზოგი პოლიტიკური პარტია თავად არ იქნება ბარიერის დაწევის მომხრე".**

**"საარჩევნო ბარიერის დასაწევად ცვლილების მიღება სასურველია. დიდი ბარიერი ხელოვნური ინტეგრაციისკენ უბიძგებს პარტიებს. ბლოკში გაერთიანებამდე, ჩემი აზრით, თითოეულმა პარტიამ უნდა ჩამოაყალიბოს ის პრინციპები, რის საფუძველზეც უნდა შედგეს გაერთიანება. ჩვენი აზრით, ძირითადია იდეოლოგიური პლატფორმა და ხელისუფლება-ოპოზიციაში ყოფნის მომენტი",** - მიიჩნევს "სოციალისტი" ზაქარია ქუცნაშვილი. მათი პარტიის წევრთა აზრით, ოპოზიციური პარტიების ჩამონათვალიდან ("ახლები", "მრეწველები", "ლეიბორისტები" "ტრადიციონალისტები"), მათ პარტნიორად მხოლოდ ერთი პარტია ეყოლებათ, ოღონდ – რომელი, ჯერ გადაწყვეტლი არ არის. სამაგიეროდ, "სოციალისტებმა" ის იციან, რომ **"ოპოზიციურ ნოტაზე იჭიდავებენ"** და, შესაბამისად, მათი ალიანსი ყოფილ სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან არ შედგება. საკონსტიტუციო ცვლილების წამოყენების უფლება პრეზიდენტს ან მისი მოვალეობის შემსრულებელს, პარლამენტის 118 წევრს ან 20000 ამომრჩეველს აქვს.... ანუ, როგორც ქუცნაშვილი გუშინ გულახდილად აცხადებდა, ამ საკანონმდებლო ინიციატივის წამოყენებას მათი ფრაქცია ვერ მოახერხებს.

ერთ-ერთი პირველი (ჯერ კიდევ 1995 წელს კონსტიტუციის მიღებისას), ვინც საარჩევნო ბარიერის აუცილებლობაზე საუბრობდა, "მემარჯვენე" ვახტანგ ხმალაძე გახლდათ. **"მიმაჩნდა, რომ საარჩევნო ზღურბლი დაბალი უნდა ყოფილიყო. ოპტიმალური, ჩემი აზრით, 4-პროცენტიანი ბარიერი იქნებოდა. ეს ბარიერი არ არის იმდენად დაბალი, რომ პარლამენტი ძალიან ჭრელი გახდეს. ჭრელი პარლამენტის შემთხვევაში, როგორც წესი, რთულდება საპარლამენტო უმარვლესობის შექმნა და საერთო გადაწყვეტილების მიღება. ამავე დროს, საარჩევნო ზღურბლი არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ პარლამენტი ერთფეროვანი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი აქ წარმოდგენილი არ იქნება და ეს პარლამენტი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნებას ვერ გამოხატავს. ამის მაგალითად 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებიც შეიძლება დავასახელოთ, როცა პარლამენტში სულ სამი სუბიექტი მოხვდა. მათ მიერ ჯამურად მიღებული ხმების რაოდენობა სულ 38,5 პროცენტს შეადგენდა, ანუ მოსახელობის 2/3-ის ინტერესები გათვალისწინებული არ ყოფილა."** ხმალაძე აქვე უარყოფს იმ "სარგებლობას", რაც, ერთი შეხედვით, შვიდპროცენტიან ბარიერს მოაქვს. **"მაღალი ბარიერის არსებობას პარტიების ბლოკებად გამსხვილებით ამართლებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამ საარჩევნო ბლოკებში თავს იყრიან ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის პარტიები. იქმნება ეკლექტური ბლოკები, რომლებიც პარლამენტში შესვლისთანავე იშლება".** ასეთი განმარტებების შემდეგ ვახტანგ ხმალაძე ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო, ვინც საარჩევნო ბარიერის დასაწევად რეალურ ქმედებებზე გადავიდოდა. პროცედურულად ამ ცვლილების პარლამენტში შესატანად საკმარისი დრო ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ხმალაძე მაინც არ ჩქარობს. როგორც ხმალაძე აცხადებს, ოპოზიციური პარტიების საყოველთაო შეთანხმების გარეშე, ყველაფერი ისევ "ფუჭ გასროლას" დაემსგავსება.

# „რუსთავი 2" ახალ საეთერო სივრცეზე დაიწყებს მაუწყებლობას

*საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-მა ეგრეთ წოდებული OPT-ს სიხშირეზე მაუწყებლობის ათწლიანი ლიცენზია მოიპოვა, რომელიც კომპანიას საშუალებას ანიჭებს, თავისი მაუწყებლობა 31 გადამცემის საშუალებით შეუფერხებლად განახორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.*

ნინო ნარჩემაშვილი

ალსანიშნავია, რომ "რუსთავი 2"-ის მაუწყებლობა საქართველოს რეგიონებზე, ძირითადად, თანამგზავრული კავშირის საშუალებით ვრცელდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ გასული წლის 8 აგვისტოს ე.წ. OPT-ს სიხშირეზე მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსი გუშინ განმეორებით გაიმართა. პირველი - 2003 წლის 24 ოქტომბერს დანიშნული განხილვა სკანდალურად ჩაიშალა, რადგან, მარეგულირებელი კომისიის განცხადებით, **"ადგილი ჰქონდა კომისიაზე არასათანადო, პოლიტიკური ზემოქმედების მცდელობას"** (კერძოდ, სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიღების მცდელობას სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანებების მხრიდან).

არადა, კომისიის თავმჯდომარის, ვახტანგ აბაშიძის განცხადებით, კანონმდებლობით **"იკრძალება ნებისმიერი ზემოქმედება, ჩარევა ან ხელის შეშლა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში".**

გუშინ მარეგულირებელ კომისიაში ლიცენზიის მოსაპოვებლად განსაზღვრული წესების მიხედვით გათვალისწინებული კენჭისყრა და აუქციონი არ გამართულა.

ამის მიზეზი გახდა კონკურსის დაწყების წინ მისი მეორე მონაწილის, შპს "ტექნო-მედიის" დირექტორის დავით კუპატაძის ოფიციალური წერილობითი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ "ტექნო-მედია" უარს აცხადებს კონკურსში მონაწილეობაზე და ითხოვს განსაზღვრულ ვადებში დაუბრუნდეს შესაბამისი დოკუმენტაცია და თანხა (ლიცენზიის ღირებულების 10 პროცენტი).

რაც შეეხება ლიცენზიის ღირებულებას, იგი, საერთო ჯამში, 526 360 ლარს შეადგენს, საიდანაც სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-მა საერთო თანხის 30 პროცენტი ერთი თვის ვადაში უნდა დაფაროს. დანარჩენის გადახდა კი ლიცენზიის მოქმედების ათწლიან ვადაში ეტაპობრივად არის ნებადართული. ასე რომ, ლიცენზიის მიღებისთანავე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემების ნახვას მთელი საქართველო შეძლებს.



*"რუსთავი 2"-მა ეგრეთ წოდებულ **OPT**-ს სიხშირეზე მაუწყებლობის ათწლიანი ლიცენზია მოიპოვა.*

საერთო საეთერო მაუწყებლობაზე კიდევ ერთი ლიცენზიის მფლობელი 3 თებერვალს გახდება ცნობილი. ამ დღეს კონკურსის ჩატარებაზე გადაწყვეტილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

ამ კონკურსში გამარჯვებულს 11 გადამცემის მეშვეობით ტელემაუწყებლობის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელების შესაძლებლობა ექნება. ლიცენზიის საწყისი ფასი 467.240 ლარია, თუმცა კონკურსი აუქციონის სახით ჩატარდება და არ არის გამორიცხული, ეს ფასი კიდევ გაიზარდოს.

როგორც კომისიაში ამბობენ, კონკურსში ლიცენზიის მიღებას სამი ტელეკომპანია — „მე-9 არხი", „იბერია" და „მზე" შეეცდება. კონკურსის ჩატარება შარშან, 30 ოქტომბერს იყო დაგეგმილი, მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო ისიც გადაიდო.

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა ჭიანურდება?

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და კავკასიური გაზსადენის მშენებლობა დღეს ისევე გახლავთ ახალი ხელისუფლების ენერგოიმედების წყარო, როგორც - ძველი ხელისუფლებისთვის. ნებისმიერი წინაღობა, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობას შეიძლება შეექმნას, საერთო ქართულ ინტერესებს აშკარად აზარალებს, რადგან ეს აჭიანურებს საქართველოში ენერგიის ალტერნატიული მომწოდებლის შემოსვლას, ანუ აჭიანურებს საქართველოს რუსული ენერგოდამოკიდებულებიდან გამოსვლის პროცესს.*

თამარ ხორბალაძე

ცხადია, ამას, ალბათ, ნაკლებად აცნობიერებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საკუთარი სოციალური პრობლემების მოგვარებას ნავთობსადენის ხარჯზე აპირებენ.

ამ მიმართულებით მიმდინარე თვე გამოირჩეოდა: ნავთობსადენის მშენებლობა რამდენჯერმე შეაჩერეს მშენებლობაზე დასაქმებულმა ადამიანებმა, რომლებიც ხელფასების გაზრდას ითხოვდნენ:

შეგახსენებთ, რომ გაფიცვების სერია დეკემბერში დაიწყო, რის გამოც ნავთობსადენის მშენებლობა რამდენიმე დღით შეჩერდა. მაშინ კონტრაქტორმა მუშებს პროფკავშირის შექმნა ურჩია და ამ ორგანიზაციასთან საკითხების გადაჭრას დაჰპირდა, თუმცა პირობა ვერ თუ არ შეასრულა.

გუშინაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროფკავშირის წარმომადგენლების მორიგი შეხვედრა სამშენებლო კონტრაქტორთან უშედეგოდ დასრულდა. პროფკავშირის თავმჯდომარის ნოდარ დვალის ინფორმაციით, პროფკავშირის წარმომადგენლები კომპანია „სპი კაპაგ პეტროფაგის" მენეჯერმა ბრუნო დე ჩამიზომ მიიღო, მოისმინა მათი მოთხოვნები, მაგრამ კონკრეტული პასუხები არ გასცა.

მშენებლობაზე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეები კონტრაქტორისგან, პირველ რიგში, ხელფასების 50 პროცენტით მომატებას ითხოვდნენ. კომპანიის მენეჯერმა მათ განუცხადა, რომ ამისთვის მუშებმა შესაბამისი წერილობითი განმარტება უნდა წარადგინონ, თუ რატომ ითხოვენ ანაზღაურების გაზრდას.

სხვა მოთხოვნებზე – ანუ მივლინების თანხების გაცემისა და კვების გაუმჯობესების საკითხებზე პასუხის გაცემას კონტრაქტორი მათ ერთ კვირაში დაჰპირდა.

მილსადენის პროფკავშირი ამ შეხვედრის შედეგებს თანამშრომლებს გააცნობს და მათი გადაწყვეტილებით იმოქმედებს. არ არის გამორიცხული, რომ მუშებმა ახალი გაფიცვები დაიწყონ.

პარალელურად კი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის წინააღმდეგ პროტესტის ახალი ტალღა ახლა უკვე რუსთავში აგორდა: რუსთავის მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობა პარასკევს კვლავ გამოვიდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დერეფნის მშენებლობის წინააღმდეგ.

პროექტის მიხედვით, ნავთობსადენი რუსთავის განაპირა სახლების ახლოს გადის. მოსახლეობა აცხადებს, რომ მაგისტრალმა საცხოვრებელ კორპუსებთან კანონით დაშვებულ ნორმაზე ახლოს უნდა გაიაროს და მათი უსაფრთხოება დაცული არ არის. ამის გამო ისინი BP-სგან საკომპენსაციო თანხებს ითხოვენ.

მე-19 მიკრორაიონის მოსახლეობა ნავთობკორპორაციისა და BP-ს წარმომადგენლებს შეხვდა და მოითხოვა მათი საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობსადენის დერეფნის მშენებლობის შეწყვეტა, ან ფულადი კომპენსაციების გადახდა.

რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი აცხადებს, რომ ნავთობსადენის მშენებლობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუმცა ქალაქის მერია მოსახლეობას გვერდით დაუდგება და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოსახლეობამ კომპენსაცია სასწრაფოდ მიიღოს, თუკი იგი ეკუთვნის.

ნავთობკორპორაციისა და BP-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მოსახლეობისთვის კომპენსაციის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის. BP-ს წარმომადგენლი გია ღვალაძე მიიჩნევს, რომ კომპანია კანონის ფარგლებში მოქმედებს და ნავთობსადენის მშენებლობით უსაფრთხოების ნორმების დარღვევა გამორიცხულია.

ნავთობკორპორაციის პრეზიდენტის მოადგილის ირაკლი ქელბაქიანის განცხადებით, კომპენსაცია ზარალის ანაზღაურებას ნიშნავს და თუკი ვინმე დაზარალდება, მას ზარალი აუცილებლად აუნაზღაურდება. **"მოსახლეობა ცალსახად ითხოვს კომპენსაციას, მაგრამ რის საფუძველზე - ამას ვერ ასაბუთებენ. თუკი მოსახლეობა სასამართლოს მიმართავს და სასამართლო მათ სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას, BP ამ თანხებს აუცილებლად გადაიხდის",** - აცხადებს ქელბაქიანი.

რუსთავში არსებული პრობლემის გადასაწყვეტად ნავთობკორპორაციამ იუსტიციის სამინისტროს მიმართა და უკვე რეგისტრაციაში გატარდა სპეციალური საზოგადოებრივი კავშირი, სადაც გაერთიანება მოსახლეობის იმ ფენას შეუძლია, რომელსაც ნავთობსადენის მშენებლობის გამო რაიმე პრობლემა ექმნებათ. აღნიშნული კავშირი რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით უახლოეს დღეებში მიმართავს; თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საპროტესტო აქციების ტალღას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროცესზე სერიოზული ზეგავლენა არ მოუხდენია.

სამაგიეროდ, აზერბაიჯანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მშენებლობის გაჭიანურება თურქეთის ტერიტორიაზე არის მოსალოდნელი:

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ნავთობსადენის მშენებლობაში გარკვეული შეფერხებები, ჯერჯერობით, მხოლოდ თურქეთის მონაკვეთზე ალინიშნება, რის მიზეზად უამინდობას ასახელებენ. შესაძლოა, ამის გამო მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვება ნახევარი წლით გადაიდოს; თუმცა თურქული მონაკვეთის ოპერატორი (მილსადენის სახელმწიფო კომპანია „ბოტაში") სამუშაოების დაჩქარების პირობას დებს.

შეგახსენებთ, რომ ნავთობსადენის სიგრძე 1767 კილომეტრია. აქედან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მისი 443 კილომეტრი გადის, საქართველოს ტერიტორიაზე – 248 კილომეტრი, თურქეთზე – 1076 კილომეტრი.

მშენებლობა წლეულს, მეოთხე კვარტალში უნდა დასრულდეს, ხოლო პირველი ნავთობის გაშვება 2005 წლის მეორე კვარტალშია დაგეგმილი.

პროექტის მთლიანი ღირებულება 3,6 მილიარდი დოლარია, საიდანაც 2,95 მილიარდი უშუალოდ მილსადენის მშენებლობაზე დაიხარჯება.

# მშენებლები კვლავ არათანაბარ პირობებში მუშაობენ

## როგორ "გავათეთროთ" მშენებლობა?

*მშენებლობაში ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების ერთადერთი ეფექტური საშუალება, მშენებლობის სამინისტროსა და რამდენიმე სამშენებლო კომპანიის მტკიცებით, იმ კანონის ამოქმედება იქნებოდა, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინათ პარლამენტმა გააუქმა. მშენებლობაში ფიქსირებული გადასახადის ამოქმედების შემთხვევაში, მინისტრის - თემურ ჩარკვიანის რწმუნებით, ახლად აშენებული თითოეული კვადრატული მეტრის გაკონტროლება და ბიუჯეტის შევსება იოლად შეიძლებოდა, თუმცა ფინანსთა სამინისტროში, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ ფიქსირებული გადასახადის პირობებში მშენებლობიდან ბიუჯეტში თითქმის ერთი თეთრი არ შესულა.*

ეთერ მამულაშვილი

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მშენებლობაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა ორმოცდაათ პროცენტს გადააჭარბა. შარშანდელი მაჩვენებლების თანახმად, ქვეყანაში ასი ათას კვარდარტულ მეტრზე, დაახლოებით, 376 საცხოვრებელი სახლი და 94 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი აშენდა. აქედან დედაქალაქში 51 ათასი კვადრატული მეტრის ფართობზე 150-მდე სახლი აიგო. გაცხოველებული მშენებლობების ფონზე შარშან სახელმწიფო ბიუჯეტში მიზერული თანხა შევიდა. გადასახადების დამალვისა და მაკონტროლებელ ორგანოებთან გარიგების შემდეგ მშენებლობიდან ცენტრალურ ბიუჯეტში 15 მილიონ ლარზე ნაკლები შევიდა. არადა, სამინისტროს ექსპერტების გათვლით, გასულ წელს რეალურად თხუთმეტ მილიონზე ბევრად მეტის მობილიზება იყო შესაძლებელი.

ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის მოადგილე მერაბ ნიკოლაიშვილი დარწმუნებულია, რომ თუ ფიქსირებულ გადასახადს შემოვიღებთ, ქვეყანაში მშენებლობიდან გადასახადების ამოღების მაჩვენებელი ათჯერ მაინც გაიზრდება და ამ გზით ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშენებლობაში მნიშვნელოვნად შემცირდება. **"ფიქსირებული გადასახადის ამოქმედების შემთხვევაში გადასახადების ამოღება ბევრად მარტივი და ეფექტური იქნებოდა, ვიდრე ეს დღეს არის. დაბეგვრის ხსენებული მექანიზმი ძალიან ბევრ ქვეყანაში წარმატებულად მუშაობს და ვფიქრობთ, ჩვენს შემთხვევაშიც გაამართლებდა",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს მინისტრის მოადგილემ მერაბ ნიკოლაიშვილმა.

მშენებლობაში ფიქსირებული გადასახადის შემოღების შესახებ მომზადებული კანონპროექტი ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ პარლამენტს გასულ წელს, სექტემბერში წარუდგინა. სხვათა შორის, ეს კანონპროექტი, რომელიც საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანას გულისხმობდა, ფინანსთა სამინისტროსთან ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და შეთანხმების შემდეგ მომზადდა. ამ ორ უწყებას შორის იმ პერიოდში სადავო საკითხად იქცა ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი. მშენებლობის სამინისტრო ერთ კვადრატულ მეტრზე 30 ლარს მოითხოვდა, რაც ფინანსთა სამინისტროს ეცოტავა. მაშინ გოგიაშვილის უწყება გადასახადის განაკვეთის აწევას 85 ლარამდე მოითხოვდა. საბოლოო შეთანხმებით, ანუ ის, რაც საკანონმდებლო ორგანომ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა, კვარდატულ მეტრზე 50 ლარს ითვალისწინებდა.



*მშენებლები ფიქსირებული გადასახადის გაუქმებას აპროტესტებენ.*

კანონის თანახმად, ფიქსირებული გადასახადის შემთხვევაში მშენებელი გათავისუფლებული იყო მთელი რიგი გადასახადებისგან, მათ შორის - დამატებითი ღირებულების, მოგების, შემოსავლის, ეკონომიკური საქმიანობისთვის, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის. კანონი ძალაში ოქტომბრის პირველ რიცხვებში შევიდა.

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მოსულმა ზურაბ ნოღაიდელმა იმ დროს მოქმედ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი პარლამენტში სასწრაფოდ წარადგინა. მათ შორის იყო კოდექსის 70-ე მუხლის გაუქმება, რომელიც მშენებლობაში შემოღებულ ფიქსირებულ გადასახადს ითვალისწინებდა. 31 დეკემბერს პარლამენტმა თითქმის ერთსულოვნად, სხვა ცვლილებებთან ერთად, ეს გადასახადიც გააუქმა, რასაც, ბუნებრივია, მშნებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გარდა, ზოგიერთი სამშენებლო კომპანიის სერიოზული აღშფოთება მოჰყვა. სხვათა შორის, ამ გადასახდის ამოქმედებას თავიდან სამშენებლო კომპანიები არაერთგავროვნად გამოეხმაურნენ. საპროექტო-სამშენბლო კომპანია "აქსისი" შიშობდა, რომ დამატებითი გადასახადი მას მძიმე ტვირთად დააწვებოდა, რაც ავტომატურად ბინების ფასებზე იმოქმედებდა.

დღეს კი, როცა ეს გადასახადი, ფაქტობრივად, უკვე გაუქმებულია, სამშენებლო კომაპანია "არსის" ხელმძღვანელი თორნიკე აბულაძე დარწმუნებულია, რომ ფიქსირებული გადასახადის შემთხვევაში ყველა მშენებელი თანაბარ პირობებში იმუშავებდა. იგი ამბობს, რომ მისი კომპანია, რომელიც მხოლოდ თეთრ ბიზნესს აწარმოებს, "ჩრდილოვან" სექტორში მოღვაწე კომპანიებთან შედარებით არაკონკურენტულ გარემოშია მოქცეული, რადგან ბევრი გადასახადის პირობებში ჩრდილოვანი გარიგებების ალბათობა იზრდება.

ფინანსთა სამინისტროში ამბობენ, რომ ამ გადასახადის გაუქმების მთავარი მიზეზი ადმინისტრირება გახდა. მინისტრის მოადგილემ ნოდარ ხადურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ხსენებული კანონი დაუხვეწავი, ბუნდოვანი და რთულად ადმინისტრირებადი იყო. **"ამ კანონს ბევრი ხარვეზი ჰქონდა - არ ჩანდა ზუსტად ვინ იყო ამ გადასახადის გადამხდელი, მშენებელი თუ დამკვეთი. ამ სამი თვის განმავლობაში ამ გადასახადმა პრაქტიკულად ვერ იმუშავა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში თითქმის არც ერთი თეთრი არ შემოსულა",** - განუცხადა "24 საათს" ნოდარ ხადურმა.

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში კი ამბობენ, რომ ხსენებული კანონი ყველაზე ნაკლებ პრობლემას ქმნიდა ადმინისტრირების თვალსაზრისით. **"იქ ზუსტად ჩანდა, თუ ვის და როგორ უნდა გადაეხადა ფიქსირებული გადასახადი. თუ ამ კანონმა ვერ იმუშავა, ეს ფინანსთა სამინისტროს ბრალია. მას ჰქონდა დავალებული ამ თანხების ამოღების ინსტრუქციის შემუშავება, რაც მან არ გააკეთა",** - გვითხრა მშენებლობის სამინისტროს ეკონომიკისა და რეფორმების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბესიკ თულაშვილმა.

სამინისტროს ამ პოზიციას იზიარებს სამშენებლო კომაპანია "არსიც". თორნიკე აბულაძე დარწმუნებულია, რომ დამატებითი ღირებულების გაკონტროლება და ამოღება ბევრად რთულია, ვიდრე ფიქსირებული გადასახადის. **"ვინ და როგორ უნდა გამიკონტროლოს ზუსტად რამდენი არმატურა, ან ბეტონი დავხარჯე? რომ მოვინდომო, ყველას იოლად მოვატყუებ და ამას ძალიან ბევრი მშენებელი აკეთებს კიდეც",** - გვითხრა აბულაძემ.

## მოკლედ

**თბილისი.** ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი გამორიცხავს საქართველოში "თავისუფალი ეკონომიკური ზონის" შექმნას. მისი თქმით, "ვერავითარი "თეზ"-ი საქართველოში ვერ იქნება და ამ საკითხში ისინი პრინციპულები იქნებიან". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**პანკისი.** პანკისის ხეობაში მდებარე ხადორჰესის ჰიდროელქტროსადგურის ორი 12-მეგავატიანი აგრეგატის საცდელი ამუშავება, რაც 25 იანვრისთვის იყო დაგეგმილი, კიდევ ერთხელ, ამჯერად თებერვლის პირველ რიცხვებამდე გადაიდო. ოფიციალური ინფორმაციით, დაახლოებით 750 ათასი ლარის ღირებულების დარჩენილი სამუშაოები უკვე შესრულდა და ვადამ, ალბათ, პრეზიდენტის ინაუგურაციის გამო გადაიწია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს მამუკა ნიკოლაიშვილს, „თელასის" გენერალურ მენეჯერს დანგირას მიკოლაიუნასსა და სომხეთის მთავრობას შორის ერევანში დაწყებული მოლაპარაკებები მიმდინარე კვირის ბოლოს ერევანშივე გაგრძელდება. მოლაპარაკებების მიზანია სომხეთის მთავრობისაგან „თელასის" მიერ სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის გაძვირებული ტარიფის ძველ ნიშნულამდე დაწევა. ჯერჯერობით, ცნობილია, რომ ტარიფი 31 იანვრამდე უცვლელი დარჩება. **მედია-ნიუსი**

# ბელორუსი შეიძლება გაზის გარეშე დარჩეს

*საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისთვის გაზმომარაგების შეწყვეტის საფრთხემ, თითქოსდა, გადაიარა. სამაგიეროდ, ასეთი საფრთხე ისევ დღის წესრიგში დგას ბელორუსისთვის: შაბათიდან ბელორუსი, შეიძლება, რუსული გაზის გარეშე დარჩეს. რუსეთის მხარის მტკიცებით, 16 იანვრიდან ბელორუსისათვის რუსეთის მაგისტრალებიდან არასანქცირებული გაზის მიწოდება ხდება.*

დიანა ჩაჩუა

გაზის დამოუკიდებელი მიმწოდებლები – "იტერა ჰოლდინგი" და "ტრანს ნაფტა" ბელორუსისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტას აპირებენ. მიზეზი შემდეგია – ბელორუსში გაზის მოწოდების ახალი კონტრაქტები ჯერ ხელმოუწერელია. რუსულმა გაზის მონოპოლისტმა "გაზპრომმა" ჯერ კიდევ 2004 წლის დასაწყისიდან შეუწყვიტა ბელორუსს გაზის მიწოდება.

"გაზპრომი" ურჩევდა ბელორუსის მხარეს, სასწრაფოდ გაეფორმებინათ ახალი შეთანხმებები გაზის მოწოდებაზე. როგორც "გაზპრომის" თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ რიაზანოვმა განაცხადა, **"არ მესმის, რატომ უნდა იყოს რუსეთი თავისი პარტნიორებისთვის "მეწველი ძროხა." "გაზპრომი" უკვე რამდენიმე წელია, ეხმარება ბელორუსიის ეკონომიკას და ბიუჯეტს, სამაგიეროდ კი, არაფერს იღებს. ბელორუსიის მხარე აშკარად ეწინააღმდეგება ახალი კონტრაქტის გაფორმებას 2004 წელს ბელორუსიისათვის საბაზრო პირობებით გაზის მოწოდებაზე."**.

თავის მხრივ, ბელორუსული "ბელტრანსგაზის" ხელმძღვანელმა პიოტრ პეტუხმა "იტერა ჰოლდინგის" და "ტრანს ნეფტის" განცხადებას არაკორექტული და უსაფუძვლო უწოდა. მისთვის ეს მოულოდნელობა იყო. **"ბელორუსიის მხარეს არანაირი პრობლემა არ აქვს გაზის მოწოდების გადასახადებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგი ახორციელებს რუსული გაზის ტრანზიტს,"** - განაცხადა პეტუხმა. მისი სიტყვებით, ბელორუსი მზადაა, გააგრძელოს მოლაპარაკებები რუსეთთან გაზის მოწოდებასა და "ბელტრანსგაზის" ბაზაზე რუსულ-ბელორუსული ერთობლივი საწარმოს შექმნაზე.

# ჩეჩნეთი: ომი გრძელდება

პირველი გვერდიდან

ჩეჩნეთში რუსეთის მეორე სამხედრო კამპანიის დაწყებიდან ოთხი წელიწადი გავიდა და თუკი მოსკოვის ვერსიებს დავუჯერებთ, ისეთი ადამიანები, როგორიც უსმანია, უკვე აღარ უნდა არსებობდნენ. კრემლს არაერთხელ განუცხადებია, რომ ჩეჩნეთში პოლიტიკური დარეგულირების პროცესი დაიწყო და ამბოხებულ რესპუბლიკაში აქტიური საბრძოლო მოქმედებები დასრულებულია.

თუმცა, უსმანის მტკიცებით, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ამბოხებულები იარაღის დაყრას არ აპირებენ. ყოველი ახალი დღე მათი წინააღმდეგობის დამადასტურებელია.

მებრძოლების განსაკუთრებული აქტიურობა ჩეჩნეთის დედაქალაქში – გროზნოში და რესპუბლიკის სამხრეთით - მაღალმთიან რაიონებში იგრძნობა, სადაც ძნელად მისადგომ ხეობებსა და ტყის მასივებში საიდუმლო ბაზები აქვთ შექმნილი. ასე მაგალითად, 14 იანვარს ჩეჩნეთის მაღალმთიან შატოის რაიონში ფუგასურ ნაღმზე სამხედრო გამნაღმველები აფეთქდნენ. ისინი საინჟინრო-განაღმვით დაზვერვას აწარმოებდნენ შატოი-ითუმ-ყალეს ტრასაზე. აფეთქების შედეგად ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ხოლო ორი კი მძიმე ჭრილობებით საავადმყოფოში მოათავსეს. წინა დღეს, ასევე ნაღმზე კიდევ ოთხი გამნაღმველი აფეთქდა, მათგან სამი ადგილზევე დაიღუპა. 9 იანვარს ვედენოს რაიონში (ჩეჩნეთის სამხრეთით) ჩეჩენ მებრძოლთა ალყაში საზღვაო ქვეითთა რაზმი მოხვდა. მათგან ერთი მოკლეს, ხოლო ორი დაიჭრა. ამ თვეში უცნობმა პირებმა გროზნოს ცენტრში ნაღმტყორცნებიდან დაცხრილეს მთავრობის შენობა.

უსმანის რაზმი, ისევე როგორც ჩეჩენი მებრძოლების სხვა მობილური ჯგუფები, დივერსიულ აქციებს ახორციელებენ, თავს ესხმიან სამხედრო კოლონებს და რუსეთის არმიის გარნიზონებს. **"თუკი რაოდენობრივად ძალები არათანაბარია და შენი მებრძოლების გაფრთხილება გჭირდება, აუცილებლად უნდა დაყო შენი ძალები მრავალ მცირე ჯგუფებად და მტერს ისე უნდა შეებრძოლო, რასაც საბოლოო ჯამში შედეგები აუცილებლად მოაქვს,"** - მიიჩნევს უსმანი.


რუსეთის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია.

რუსეთის არმიის სამხედრო კომენდატურის ოფიცერი ვიტალიც აღიარებს, რომ ომი არ დასრულებულა.

**"არ გადის ერთი დღეც კი, რომ ჩვენმა მეომრებმა ტერიტორიის საინჟინრო-განაღმვითი დაზვერვის დროს გზაზე ნაღმები, ფუგასები და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები არ აღმოაჩინონ. გროზნოში, გზებზე და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმები გრძელდება. აქ ნამდვილი პარტიზანული ომი მიმდინარეობს. ზამთრის პირობებში ჩეჩენ მებრძოლთა აქტიურობამ, მართალია, იკლო, მაგრამ გაზაფხულზე და ზაფხულში ჩვენთვის მართლაც დიდი სიცხე დადგება,"** - აცხადებს ვიტალი.

ეს ბრძოლა კი წინა პერიოდის წინააღმდეგობისგან განსხვავებულია. მებრძოლთა ჯგუფები უფრო შემჭიდროვებულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, ვიდრე ეს 1994-1996 წლების კონფლიქტის დროს იყო. გარდა ამისა, ფედერალური ძალების მხარეზე დღეს იჩქერიის ძალოვანი სტრუქტურების რამდენიმე ყოფილი ბრიგადის გენერალი და ხელმძღვანელიც იბრძვის. მათ შორის არიან რუსლამ იამადაევი, აფთი არსანუკაევი, იბრაჰიმ სულტიგოვი.

უსმანის თქმით, ჩეჩენი მებრძოლები ამბოხებული პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ერთგულნი რჩებიან და სავსებით შესაძლებელია, აუცილებლობის შემთხვევაში და მსხვილმასშტაბიანი ოპერაციის განსახორციელებლად, ორი-სამი დღის განმავლობაში ერთ მუშტად შეიკრას პრაქტიკულად ყველა ჯგუფი და რაზმი.

უსმანის თქმით, ჩეჩნური წინააღმდეგობის ლიდერებს შორის ომის წარმოების საკითხებში არანაირი სერიოზული დაპირისპირება არ არსებობს. მცირეოდენი უთანხმოება მხოლოდ კამიკაძეთა აქციების შესახებ სუფევს. ჩეჩენ მებრძოლთა ერთ-ერთი ლიდერი შამილ ბასაევი, რომლისაც ჩეჩნეთში განსაკუთრებულად ეშინიათ, საბრძოლო მოქმედებების რუსეთის ტერიტორიაზე გადატანას უჭერს მხარს, რომლის დროსაც აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული თვითმკვლელი-კამიკაძეები და უნდა განადგურდნენ ის ადგილობრივი ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ. ასეთ ტაქტიკას კი არ ეთანხმებიან ასლან მასხადოვი, რუსლან გელაევი და სხვა ლიდერები.


ჩეჩენი მებრძოლები.

**"ბასაევი თვლის, რომ რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენს გასანადგურებლად ტოტალურ, ანუ ტერორისტულ ომს აწარმოებს. ეს კი ნიშნავს, რომ ჩეჩნებს სრული უფლება აქვთ, ტერორს ტერორითვე უპასუხონ. რაც რუსეთის ტერიტორიაზე მოხალისე-კამიკაძეების საშუალებით დივერსიულ-ტერორისტული აქციების მოწყობას გულისხმობს. დანარჩენ საკითხებში უთანხმოება არ არსებობს,"** - აცხადებს უსმანი.

**"ომი იქამდე არ დასრულდება, ვიდრე რუსები არ წავლენ. ჩვენ არ ვჩქარობთ. როგორც შამილი (ჩეჩენთა ლიდერი მე-19 საუკუნეში) ამობს: მოჯაჰედს სძინავს, ჯიჰადი კი მიმდინარეობს,"** - დასძინა უსმანმა.

**"ავტონომიურად მოქმედი ჯგუფები, რომელთაც ერთიანი სასარდლო ცენტრი არ გააჩნიათ, უფრო სახიფათოა. მათი აღმოჩენა და ნეიტრალიზება ძნელია, მათი მოქმედების გამოცნობა კი, პრაქტიკულად, შეუძლებელი. მას შემდეგ, რაც 2000 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ფედერალურმა ძალებმა ჩეჩნეთის პრაქტიკულად ყველა მსხვილი ბანდფორმირება გაანადგურეს, ომმა დივერსიულ-ტერორისტული ხასიათი შეიძინა. ეს შესაძლოა, წლობით გაგრძელდეს, როგორც ავღანეთში მოხდა,"** - აცხადებს რუსი ოფიცერი ვიტალი.

გასული წლიდან მოსკოვი დიდ იმედებს ამყარებს თავის მიერ დანიშნულ ახმად კადიროვზე, რომელიც 2003 წლის ოქტომბერში საკმაოდ საეჭვოდ ჩატარებული არჩევნების შედეგად რესპუბლიკის მეთაური გახდა. დღეისათვის მისი უშიშროების სამსახურის და ჩეჩენი მილიციონრების ხელში დიდმა ძალაუფლებამ მოიყარა თავი. მათ ე.წ. "კადიროველებს" უწოდებენ, რომლებიც ფედერალურ ძალებთან ერთად მონაწილეობენ საბრძოლო ოპერაციებში ამბოხებულების წინააღმდეგ. ადგილობრივი მცხოვრებლები კი აცხადებენ, რომ მათ "კადიროველების" უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე რუსი სამხედროების.

თუმცა, ვიტალის ახლადგამოჩეკილი "მოკავშირეების" არ სჯერა. **"ახმად კადიროვის უშიშროების სამსახური თითქმის მთლიანად ყოფილი მებრძოლებისგან შედგება. მათი უმრავლესობა ჩვენს მხარეზე არა იდეის ან პატრიოტული გრძნობების გამოა გადმოსული, არამედ ისინი, უბრალოდ, საკუთარ ტყავს უფრთხილდებიან. ისინი იარაღით ხელში რუსეთის არმიის წინააღმდეგ იბრძოდნენ და მე არ მჯერა, რომ ყოფილმა მებრძოლებმა ასე უცბად შეიცვალეს თავიანთი რწმენა და შეხედულებები,"** - აცხადებს ვიტალი.

**"ჩეჩნეთი - ეს ძალიან პატარა ტერიტორიაა, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, გააჩნიათ ნათესაური, კლანური და სხვა კავშირები. ამიტომ ჩეჩნებისგან სარგებელი ძალიან მცირეა,"** - დასძინა მან.

უსმანიც ადასტურებს, რომ "კადიროველები", ფაქტობრივად, მეხუთე კოლონაა. **"ის, რომ ჩემი თანამებრძოლების მცირე ნაწილი კადიროვის მხარეს გადავიდა, არ ნიშნავს, რომ ისინი ჩემი მტრები გახდნენ. თუკი მათი მხარდაჭერა დაგვჭირდება, მე არ ვფიქრობ, რომ ისინი ამაზე უარს მეტყვიან,"** - აცხადებს უსმანი.

ამასთანავე, უსასრულოდ გაგრძელებული ომი მოსახლეობაში უფრო და უფრო მეტ შეკითხვას ბადებს. ხალხს უკვირს, თუ რატომ ვერ ვერ ახერხებენ ასეთი შთამბეჭდავი ძალის მქონე რუსები დასახული ამოცანების შესრულებას.

**"ჩეჩნეთი არ არის ვიეტნამი, რომელსაც აშშ-ს წინააღმდეგ ომში სსრკ ეხმარებოდა და არც ავღანეთია, რომელსაც სსრკ-ს წინააღმდეგ აშშ ეხმარებოდა. ჩვენ სხვა სახელმწიფოსთან საზღვარი არ გვაქვს და ჩვენი ტერიტორია ათასჯერ უფრო მცირეა რუსეთის ტერიტორიასთან შედარებით,"** - ამბობს ჩეჩენი პოლიტოლოგი მურად ნაშხოევი.

**"ეს არ არის ომი, ეს არის ბინძური თამაში, რომლითაც ჩეჩენი ხალხი იტანჯება."**

# აზერბაიჯანს ადამიანის უფლებების დარღვევის გამო აკრიტიკებენ

15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების დაპატიმრება და წამება დაიწყო, -ნათქვამია "ჰიუმან რაითს ვოთჩის" მოხსენებაში.

ადამიანის უფლებების დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დაპატიმრების, დაახლოებით, 1000 ფაქტი და მოქალაქეების ცემის უამრავი შემთხვევა დააფიქსირა მას შემდეგ, რაც ილჰამ ალიევმა მამამისი – ჰეიდარ ალიევი შეცვალა. ოქტომბერში ჩატარებული არჩევნები დასავლეთელმა დამკვირვებლებმა სამართლიანად არ ცნეს.

უმცროსი ალიევის მიერ 77-პროცენტიანი გამარჯვების მიუხედავად, ალიევმა ოპოზიცია შეავიწროვა და საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია, - ნათქვამია ჯგუფის განცხადებაში. პარასკევს გავრცელებული მოხსენების თანახმად, ალიევის, დაახლოებით, 130 პოლიტიკური ოპონენტი ციხეშია და მათ 12 წლამდე პატიმრობა აქვთ მისჯილი.

"ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, რომ ნავთობით მდიდარ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები მკვეთრად განსხვავდებოდა მეზობელი საქართველოსაგან, სადაც ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გამო დაწყებული სახალხო მღელვარების შედეგად პრეზიდენტი შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა.

შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები საქართველოს "ვარდების რევოლუციას" მიესალმნენ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთმა აზერბაიჯანში არჩევნების გაყალბების ერთმნიშვნელოვანი დაგმობისაგან თავი შეიკავა. მათ აზერბაიჯანის ხელისუფლებას მხოლოდ მომხდარი ძალადობის გამომწვევი მიზეზების გამოძიება ურჩიეს. აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა დეკემბერში ბაქოში ვიზიტისას ილჰამ ალიევს გაპრეზიდენტება მიულოცა და არჩევნების დროს მომხდარი დარღვევების შესახებ დასმულ შეკითხვებს თავი აარიდა.

"ის დამაბალანსებელი ინსტიტუტები, რაც საქართველოში არსებობს, აზერბაიჯანში საერთოდ არ არის, აქ მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელშია კონცენტრირებული," - აღნიშნა პიტერ ბუკერტმა, "ჰიუმან რაითს ვოთჩის" წამყვანმა მკვლევარმა. 14 ქალაქში აღებულ 200-ზე მეტ ინტერვიუზე დაყრდნობით, სწორედ მან დაწერა მოხსენება: "დღეს აზერბაიჯანში დემოკრატიის ნდობის კრიზისია".

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის, ევროსაბჭოს


ილჰამ ალიევს ოპოზიციის დევნაში ადანაშაულებენ.

მიერ ახლახან გამოქვეყნებულმა მოხსენებამ, სადაც ლაპარაკია ცემისა და წამების არაერთ შემთხვევაზე, "ჰიუმან რაითს ვოთჩის" მიერ აღწერილი ფაქტები დაადასტურეს.

"ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ამგვარი უხეში დარღვევა ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოში მიუღებელია," - აღნიშნულია ორგანიზაციის მოხსენებაში. მომავალ კვირას ევროსაბჭო იმსჯელებს, დაუწესოს აზერბაიჯანს რაიმე სახის სანქცია თუ არა.

აზერბაიჯანში ოპოზიციის მომხრეების შევიწროება არჩევნების შემდეგ ბაქოში პოლიციასთან შეტაკებებით დაიწყო. მაშინ ოპოზიციის მომხრეებმა იერიში მიიტანეს პოლიციაზე, რომელმაც ძალა გამოიყენა. როგორც "ჰიუმან რაითს ვოთჩი" იუწყება, სულ მცირე, ერთი კაცი მოკვდა, ხოლო 300 საავადმყოფოში მოხვდა.

მალე ოპოზიციის წინააღმდეგ კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო. დააპატიმრეს საარჩევნო ადმინისტრაციებში ოპოზიციის 100-ზე მეტი წარმომადგენელი, რომლებმაც გაყალბებული არჩევნების შედეგებზე ხელმოწერაზე უარი განაცხადეს.

წამების ფაქტებს ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის განყოფილებაში, ბაქოში, - ნათქვამია მოხსენებაში. ოპოზიციის აქტივისტების განცხადებით, ისინი ძალით წაიყვანეს, ფეხის გულებზე სცემეს, გაუპატიურებით დაემუქრნენ. ერთ შემთხვევაში, ამ განყოფილების მაღალჩინოსნების ზედამხედველობით, ელექტროშოკიც გამოიყენეს.

აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის წევრმა ნატიკ ჯაბიევმა სატელეფონო ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი ხუთი დღის განმავლობაში ჰყავდათ დატყვევებული და გამუდმებით სცემდნენ. მისი თქმით, ერთხელ იგი 45 წუთის განმავლობაში თავად განყოფილების უფროსმა სცემა.

"ეს ოპოზიციის წინააღმდეგ დაწყებული რეპრესიებია," - განაცხადა ისა გამბარმა, თანასწორობის პარტიის ლიდერმა, რომელიც ოქტომბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში 14 პროცენტით მეორე ადგილზე გავიდა. თავად გამბარი გარეთაა, მაგრამ მისი პარტიის ოთხი მაღალჩინოსანი კვლავ საპყრობილეშია. მისი თქმით, ხელისუფლების პოლიტიკამ მათი, როგორც დამოუკიდებელი პარტიის არსებობა ძალიან გაართულა.

# ირანში კონსერვატორებმა რეფორმატორების შეკრება დაარბიეს

ხუთშაბათს რამდენიმე კონსერვატორმა ცენტრალური ირანის ქალაქ ჰამადანში გამართული რეფორმატორთა შეკრება დაარბია, რის შედეგადაც, სულ მცირე, ხუთი ადამიანი დაშავდა, - იუწყება საინფორმაციო სააგენტო "როიტერი". ეს ძალადობის პირველი გამოვლინებაა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საპარლამენტო კრიზისი დაიწყო. პოლიტიკური კრიზისი 13 დღის წინ დაიწყო, როდესაც არჩევნებში მონაწილეობის მსურველი 8000 პოლიტიკოსიდან 2000-ზე მეტი კლერიკალების მიერ დისკვალიფიცირებულ იქნენ.

თუმცა, ირანელთა უმრავლესობა ამ ფაქტს მასობრივი გამოსვლებით არ გამოპასუხებია.

# რუსი ოლიგარქი ახალი გვარით მოგზაურობს


პლატონ ელენინი

პარასკევს ბრიტანეთმა განაცხადა, რომ რუს მილიარდერ ბორის ბერეზოვსკიზე საბუთები გასცა, რაც მას საშუალებას მისცემს, სხვა სახელითა და გვარით იმოგზაუროს. ბერეზოვსკის წარმომადგენლის თქმით, ბიზნესმენმა "ელენინის" გვარი აიღო.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბერეზოვსკის წარმომადგენლის აღნიშნული განცხადება დაადასტურა. დეკემბერში ბორის ბერეზოვსკი საქართველოში პლატონ ელენინის პასპორტით ჩამოვიდა, რასაც თბილისსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა. რუსეთის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას ბერეზოვსკი უნდა დაეპატიმრებინა.

ბერეზოვსკის რუსეთი თაღლითობისათვის ეძებს, მაგრამ მან ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება მოახერხა. ახლა ბერეზოვსკი დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება.

# ახალი დაავადება ტაილანდშიც გავრცელდა

გუშინ ტაილანდმა ქათმის ექსპორტი აკრძალა მას შემდეგ, რაც ორ ტაილანდელ ბიჭს "ფრინველის დაავადება" აღმოაჩნდა. ექიმებს ეჭვი აქვთ, რომ კიდევ სამი პიროვნებაა დაავადებული. ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა თაკსინ შინავატრამ პარასკევს დილით განაცხადა, რომ ქვეყანაში "ფრინველის დაავადება" გავრცელდა. მანამდე "ფრინველის დაავადება" აზიის სხვა სახელმწიფოებს მოედო.

ექიმების თქმით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც "ფრინველის დაავადება" ადამიანებსაც გადაედო. ექსპერტების აზრით, ეს დაავადება ატიპურ პნევმონიაზე უფრო საშიშია.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ "როგორც კი საერთაშორისო თანამეგობრობა ამ დაავადების გავრცელების შესახებ შეიტყობს, ტაილანდური ფრინველის იმპორტს აკრძალავენ. ასე რომ, ტაილანდი ფრინველის ექსპორტს თვითონ შეწყვეტს". თუმცა, ევროკავშირმა ტაილანდიდან ფრინველის იმპორტი გუშინ თავად მაინც აკრძალა. მსოფლიოში ტაილანდი ფრინველის ხორცის მეოთხე ექსპორტიორი ქვეყანაა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ტაილანდში საგანგებო ჯგუფი გააგზავნა, რათა ხელისუფლებას ვირუსის დამარცხებაში დაეხმარონ.

ტაილანდის პრემიერ-მინისტრი ადგილობრივმა ფერმერებმა და მომხმარებელთა უფლებების დამცველმა ჯგუფებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. მათი თქმით, მთავრობა ვირუსის გავრცელების ფაქტს დღემდე მალავდა. როდესაც ფერმერებმა მთავრობას ფრინველის მასობრივი სიკვდილიანობის შესახებ აცნობეს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ "ფრინველის დაავადების" არსებობა უარყო. მაშინ სამთავრობო ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ქათმებს ქოლერა სჭირდათ.

# ინდოეთმა რაკეტები გამოსცადა

გუშინ ინდოეთმა წარმატებით გამოსცადა ე.წ. "პრითვის" რაკეტები, რომელსაც ერთტონიანი ბირთვული ქობინის გადატანა შეუძლია. "როიტერის" ცნობით, ეს ამ ტიპის რაკეტების რიგით 23-ე გამოცდა იყო.

როგორც წესი, ინდოეთი თავის მეზობელ სახელმწიფოს - პაკისტანს რაკეტების გამოცდის წინ წინასწარ აფრთხილებს ხოლმე. თუმცა, ამჯერად ცნობილი არ არის, იცოდა პაკისტანის ხელისუფლებამ დღის სამხედრო გამოცდის შესახებ თუ არა. აღსანიშნავია, რომ პაკისტანიცა და ინდოეთიც ბირთვულ იარაღს ფლობენ. 1947 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ამ ორმა სახელმწიფომ ერთმანეთის წინააღმდეგ სამჯერ იომა.

# მსოფლიოს განწყობა, პერსპექტივები და უსაფრთხოება

*მიუხედავად კაცობრიობის უდიდესი მიღწევებისა და გამოცდილებებისა, მომავალში ჩვენ ნაკლებად დაცულ მსოფლიოში მოგვიწევს ცხოვრება. ეს არის ერთ-ერთი მესიჯი, რომელიც "გელაპის" ექსპერტებმა მსოფლიოს ლიდერებს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე აუწყეს.*

ქეთი კიკნაძე
*გორბი*

2003 წლის დეკემბერში, **GALLUP ინტერნაციონალ**-ის ეგიდით, მსოფლიოში საზოგადოებრივი აზრის კვლევის ("ხალხის ხმა") კიდევ ერთი ეტაპი დასრულდა. ამ კვლევის ფარგლებში 2003 წლის დეკემბერში ჩატარდა 43 000 ინტერვიუ მსოფლიოს 51 ქვეყანაში. გამოკითხვის შედეგად წარმოჩინდა დედამიწის ყველა კონტინენტის ერთ მილიარდზე მეტი მოსახლის თვალსაზრისი. საქართველოში კვლევას, ტრადიციულად, საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია, **GALLUP ინტერნაციონალ**-ის წევრი - გორბი უძღვებოდა. პირისპირ ინტერვიუს მეთოდისა და რეპრეზენტატული შერჩევის საფუძველზე, საქართველოში გამოკითხული 1500 ადამიანის ხმა ამჯერადაც შეუერთდა მსოფლიო "ხალხის ხმას" და მიმდინარე საჭირბოროტო საკითხებზე მსოფლიო საზოგადოების შეხედულებებს შორის თავისი ადგილი დაიკავა. მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, რომელიც 25 იანვარს იხურება, ამ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა **GALLUP ინტერნაციონალმა**. კვლევის მონაცემებით, აუდიტორიის წინაშე წარდგა მისი ერთ-ერთი საბჭოს წევრი ტონი ქოულინგი.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მსოფლიო პოზიტიურ ცვლილებებს ელოდება. პროექტში მონაწილე ქვეყნებიდან ოპტიმიზმით გამოირჩევა ავღანეთი – თითქმის, ყველა შეკითხვაზე ავღანელმა რესპონდენტებმა პოზიტიური განწყობა შეინარჩუნეს; ასევე - კოსოვოელმა და ბოსნია-ჰერცოგოვინელმა გამოკითხულებმა. კენიაში, სადაც პრეზიდენტი და მთავრობა შეიცვალა, ისეთივე პოზიტიური განწყობაა, როგორიც – საქართველოში.

ამ ქვეყნების წარმომადგენლები ეკონომიკური ცვლილებების მოლოდინში არიან.

კითხვაზე, - "თქვენი ქვეყანა ახლა უფრო უსაფრთხოა თუ - 10 წლის წინათ?" - მთელ მსოფლიოში გამოკითხულთა 57 პროცენტმა ნეგატიური პასუხი გასცა. ოპტიმისტურადაა განწყობილი მხოლოდ 22 პროცენტი. ავღანეთი კი, სადაც 88 პროცენტს მიაჩნია, რომ მათი ქვეყანა ამჟამად უფრო უსაფრთხოა, ვიდრე - 10 წლის წინათ, იმედიანი განწყობის მხრივ, ლიდერობს; მის შემდეგაა კოსოვო (81 პროცენტი) და საქართველო (55 პროცენტი).

დასასვლეთ ევროპის წარმომადგენელთა ნახევარი (58 პროცენტი) მიიჩნევს, რომ, გასულ 10 წელთან შედარებით, საფრთხემ იმატა. ასე ფიქრობს დანიელთა - 85, პორტუგალიელთა - 77, ბრიტანელთა - 65, ფრანგთა - 55 და გერმანელთა 52 პროცენტიც.

აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს ხალხთა ყოველი მეორე მოსახლე ფიქრობს, რომ მათი ქვეყნები ამჟამად ეკონომიკურად ნაკლებად წარმატებულნი არიან, ვიდრე - 10 წლის წინათ; მხოლოდ მესამედს მიაჩნია, რომ ეკონომიკური წარმატება სახეზეა. ასე დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა მხოლოდ 32 პროცენტს ჰგონია. პოზიტიურად განწყობილ ქვეყანათა რიცხვში არიან ის ქვეყნები, სადაც ეროვნული ვალუტა ევროთი არ შეცვლილა: შვეიცარია (59 პროცენტი), დანია (59 პროცენტი), ირლანდია (50 პროცენტი), ნორვეგია (44 პროცენტი) და დიდი ბრიტანეთი (44 პროცენტი). დასავლეთ ევროპის ყველა დანარჩენი ქვეყანა ნეგატურად არის განწყობილი. უნდა გამოვყოთ გერმანია, სადაც გამოკითხულთა 77 პროცენტი მიიჩნევს, რომ, გასულ 10 წელთან შედარებით, ქვეყანა ამჟამად ეკონომიკურად წარუმატებელია.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთაგან ნეგატიურად განწყობილთა რიცხვშია ბოსნიელთა - 69, ბულგარელთა - 62, უკრაინელთა და მაკედონიელთა 59 პროცენტი. პოზიტიურად განწყობილ ქვეყანათა შორის - ჩეხეთის რესპუბლიკა (42 პროცენტი), საქართველო (41 პროცენტი), კოსოვო (51 პროცენტი), პოლონეთი (63 პროცენტი) და სერბეთი (35 პროცენტი).


"მსოფლიოს განწყობა" თბილისში, თავისუფლების მოედანზე.

იური მეჩითოვის ფოტო

ჩრდილოეთ ამერიკის წარმომადგენელთა უმრავლესობა (62 პროცენტი) მიიჩნევს, რომ მათი ქვეყნები 10 წლის წინათ ეკონომიკურად უფრო წარმატებული იყო. პოზიტიურად მხოლოდ 31 პროცენტია განწყობილი. ნეგატიურად არის განწყობილი, ასევე, სამხრეთ ამერიკის წარმომადგენელთა უმრავლესობა (66 პროცენტი).

კითხვაზე, - "თქვენი ოჯახი ამჟამად უფრო წარმატებულია ეკონომიურად, თუ - 10 წლის წინათ?" - მსოფლიოში გამოკითხულთა მესამედმა უპასუხა, რომ - ამჟამად. მეორე მესამედი საპირისპირო აზრისაა. საინტერესოა, რომ, წარმატებაზე, ძირითადად, აფრიკის, დასავლეთ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების წარმომადგენლები საუბრობენ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სურათი შემდეგნაირია: ამ საკითხისადმი პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ნორვეგიელთა - 64, დანიელთა - 63, ირლანდიელთა - 50, ლუქსემბურგელთა - 49, დიდ ბრიტანელთა - 46 და ნიდერლანდელთა 44 პროცენტს. ნეგატიურად განწყობილ ქვეყანათა შორის არიან: გერმანია, საფრანგეთი და იტალია, სადაც ყოველი მეორე გამოკითხული პასუხობს, რომ მათი ოჯახები გასული 10 წლის განმავლობაში ეკონომიკურად უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების წარმომადგენლთა უმრავლესობა ამ შეკითხვაზე ნეგატიურ პასუხს იძლევა. უნდა გამოვყოთ კოსოვო და ჩეხეთის რესპუბლიკა, სადაც განწყობა პოზიტიურია. კოსოვოში ყოველი მეორე გამოკითხული მისი ოჯახის ამჟამინდელ ეკონომიკურ სიტუაციას წარმატებულად მიიჩნევს; ასევე თვლის ჩეხეთის რესპუბლიკაში - გამოკითხულთა 43 პროცენტი. ნეგატიურად უყურებს იგივე საკითხს უკრაინელებისა და ბულგარელების 70 პროცენტი. ქართველ რესპონდენტთა მესამედი მიიჩნევს, რომ ამ 10 წლის განმავლობაში მათი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა არ შეცვლილა.

პროექტის ძირითადი შედეგების მიხედვით, ნახევარი მსოფლიო (48 პროცენტი) მიიჩნევს, რომ მსოფლიოს შემდეგ თაობას მეტი საფრთხე ელის. ასე ფიქრობს გამოკითხულთა ორი-მესამედი – ძირითადად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობა. დასავლეთ აზიის ქვეყნები ამ საკითხში ოპტიმიზმით გამოირჩევიან. უნდა გამოვყოთ სამი ქვეყანა: ავღანეთი, ინდოეთი და პაკისტანი. იქ გამოკითხულთა აზრით, შემდეგი თაობა ბევრად უსაფრთხო მსოფლიოში იცხოვრებს.

ამ შეკითხვაზე ოპტიმისტური პასუხით კოსოვომ მთელი მსოფლიო გააოცა – კოსოვოელ რესპონდენტთა 84 პროცენტმა აღნიშნა, რომ მომავალი თაობა ბევრად უსაფრთხო მსოფლიოში იცხოვრებს. ოპტიმიზმში კოსოვოს არც საქართველო ჩამორჩება. ქართველთა დიდი უმრავლესობაც (74 პროცენტი) მიიჩნევს, რომ მომავალი თაობა საფრთხის წინაშე არ დგას. **GALLUP ინტერნაციონალ**-ის ექსპერტთა აზრით, ქართველთა ამგვარი განწყობა ძველი ხელისუფლების შეცვლის შედეგია - დიდმა ცვლილებებმა ქართველებს უსაფრთხო მომავლის იმედი გაუჩინათ.

მომავალი თაობის უსაფრთხო მომავალის მიმართ კანადაში ოპტიმიზმი გამოავლინა გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტმა, აშშ-ს მოსახლეობის 44 პროცენტი კი თვლის, რომ მომავალ თაობას უფრო საშიშ მსოფლიოში მოუწევს ცხოვრება.

როდესაც 51 ქვეყნის მოქალაქეებს დაესვათ შეკითხვა, - "იქნება თუ არა მომავალი თაობა ეკონომიურად უფრო წარმატებული?" - კოსოვოსა (84 პროცენტი) და საქართველოს (77 პროცენტი) რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ პოზიტიური პასუხი გასცა. ამგვარი ოპტიმიზმი არც ერთ სხვა ქვეყანაში არ აღინიშნება. დასავლეთ ევროპის რესპონდენტთა მხოლოდ მეოთხედია პოზიტიურად განწყობილი ამ საკითხისადმი. ამ რეგიონის ქვეყნებს შორის პესიმიზმით გამოირჩევა გერმანია, სადაც ყოველი ათი გამოკითხულიდან შვიდი (69 პროცენტი) თვლის, რომ მომავალი თაობა, ამჟამინდელთან შედარებით, ეკონომიკურად წარუმატებელი იქნება. ასეთი ნეგატიური განწყობა აღინიშნება დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, კერძოდ - შვეიცარიაში (61 პროცენტი), ლუქსემბურგში (59 პროცენტი), საბერძნეთში (58 პროცენტი), ავსტრიაში (56 პროცენტი), იტალიაში (54 პროცენტი) და სხვა.

თუ ოპტიმისტურად განწყობილ ქვეყანათა ჯგუფს გადავხედავთ, გამოკვეთილია ქვეყნები, სადაც ეკონომიკური სიძნელეები და პოლიტიკური არეულობები შეიმჩნეოდა - კოსოვო, საქართველო, ავღანეთი, ბოსნია ჰერცოგოვინა. მათ მოსახლეობას გაუჩნდა მომავლის დიდი რწმენა. ეს ნიშნავს, რომ პოზიტიურ განწყობას "საერთაშორისო ინტერვენციები" ან ამ ქვეყნების შიდა პოლიტიკური ცვლილებები განაპირობებს.

# უკანონოდ გაცემული მიწების დაბრუნება იწყება

*ლევან მამალაძის საქმეს, შესაძლოა, კიდევ ერთი ახალი დეტალი დაემატოს. "ნაციონალმა" ზურაბ მელიქიშვილმა გაგუბერნატორებიდან ორი თვის შემდეგ საჯაროდ პირველად ახსენა თავისი წინამორბედი და მამალაძე მხარეში სახელმწიფოს კუთვნილი მიწების უკანონო ბიზნესში დაადანაშაულა.*

მაია მოსიაშვილი

**"წლების მანძილზე მიზანმიმართულად მიდიოდა მიწის ბიზნესის წარმოება და ჩემი წინამორბედი აქტიურად იყო ჩართული ამ საქმეში,"** - განაცხადა მან. ქვემო ქართლის გუბერნატორი მიწის თემის აქტუალობას იმით ხსნის, რომ ამ ნიადაგზე მხარის მოსახლეობაში უამრავი ურთიერთდაპირისპირება არსებობს.

**"საუბარია დიდი რაოდენობით მიწების უკანონოდ გაცემაზე, ერთი და იმავე პიროვნებებზე 500-700 ჰექტარის იჯარებზე, მიწის კატეგორიების გადასწორებაზე, რის გამოც ბიუჯეტმა წლების განმავლობაში ასობით ათასი ლარი დაკარგა,"** - მელიქიშვილი ამგვარ დასკვნას კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით აკეთებს. მისი თქმით, ლევან მამალაძე მიწებს იჯარით საკუთარ ხალხზე ანაწილებდა და ადგილობრივ მოსახლეობას უმიწოდ ტოვებდა. **"მამალაძის დაცვის ერთ-ერთ წევრზე, მძელურზე, 600-700 ჰექტარია გაცემული, როცა იქაურებს მიწის პრობლემა აქვთ და ისინი წლების განმავლობაში ითხოვდნენ მიწის იჯარით გადაცემას,"** - ამბობს ქვემო ქართლის გუბერნატორი.

გუშინ მხარის პროკურატურამ, მელიქიშვილის დავალებით, გარდაბნის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის ჯემალ გოგლიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა 332-ე მუხლით, რაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. გოგლიძეს წყნეთის მიწების გაცემისას სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალსაც მოჰკითხავენ. როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, მაგალითად, საბუთებში ნაჩვენები 2 ათასი ჰექტარის ნაცვლად რეალურად ორი ამდენი გაიცემოდა.

მიწის კატეგორიების შეგნებულად გადასწორებაში და ამით ხელის მოთხობაში ბრალი ედებათ აგრეთვე მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს ყოფილ უფროსს და სხვა ადგილობრივ ჩინოვნიკებს. დღეისათვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, მარნეულში კარგი მიწების რაოდენობა მთელის 9,6 პროცენტს შეადგენს, რაც აბსურდულია, რადგან ამ რაიონს საუკეთესო ხარისხის მიწები აქვს. ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, ეს სპეციალურად კეთდებოდა და კორუფციის საკმაოდ უხვი წყარო იყო.

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურამ მიწასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება უკვე დაიწყო, რომელთა რაოდენობა საკმაოდ ბევრი იქნება, რადგან კანონდარღვევები ყველა რაიონში ხდებოდა. მხარის პროკურორის, მამუკა ცაავას ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში მისი უწყება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობისათვის გადაცემული მიწების კანონიერების გარკვევასაც დაიწყებს. ეს დავალება მან მიიღო გუბერნატორისაგან, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ პროცესში უამრავ უკანონო ქმედებას ჰქონდა ადგილი.

ზურაბ მელიქიშვილმა გუშინ კიდევ ერთი სერიოზული და სენსაციური განცხადება გააკეთა. **"მაქვს ინფორმაცია, რომ წყნეთის სატყეო მეურნეობის ყოფილ უფროსს შოთა მეფარიძეს აქვს ძველი სამსახურებრივი ბეჭედი და დადგენილების ფორმები. ის წყნეთის მიწის ერთი ნაწილის ძველი თარიღით რეგისტრაციაში გატარებას აპირებს. ჩვენ ამას არ დავუშვებთ,"** - თქვა მან. წყნეთის ტერიტორია გარდაბნის რაიონს ეკუთვნის და მეფარიძის წინააღმდეგ საჭირო ზომებს ქვემო ქართლის სამხარეო მიწის მართვის სამმართველო მიიღებს.

# კახეთი პირველი იქნება

## 7.5 მილიონი ევრო პირველადი ჯანდაცვის განვითარებისათვის ევროკავშირისგან

*საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ხარისხი - ეს ის სიტყვებია, რომელიც უცხოელი ექსპერტების ნებისმიერ შეკრებაზე მრავალგზის ისმის ხოლმე, თუ საქმე ჯანდაცვის ან განათლების სფეროებს შეეხება. კაცმა რომ თქვას, ხარისხიანი სამედიცნო დახმარებისა და ხარისხიანი განათლების მიღების უფლება ყველა ადამიანს თანაბრად რომ უნდა ჰქონდეს, ამას ხაზგასმა არც სჭირდება, თუმცა ამ სიტყვებს უცხოელები, აგერ უკვე 7-8 წელია, ყოველ ნაბიჯზე გვიმეორებენ. ალბათ, ფიქრობენ, რომ ჩვენთვის ამის ხშირ-ხშირად შეხსენებაა საჭირო.*

ნინო ცინცაძე

გუშინ სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ კახეთის პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეგიონული გენერალური გეგმის პრეზენტაცია გაიმართა. მომავალში ამ პროექტმა მთელი საქართველო უნდა მოიცვას. ევროპელები, საერთოდ, პრაქტიკული ხალხია - პრიორიტეტების სწორად განაწილებაც შეუძლიათ და გამოცდილებაც დიდი აქვთ. რეფორმირებისათვის პირველ ეტაპად მათ პირველადი ჯანდაცვის სფერო აირჩიეს. მიზნები კი კონკრეტული და ნათელი აქვთ: საქართველოში დღეს პაციენტები ჯანდაცვაში თანხის 60-80%-ს საკუთარი ჯიბიდან იხდიან. **"ეს დაუშვებელია. ამგვარი სურათი ადგილობრივ მმართველობებზე დაფუძნებული სადაზღვევო სისტემებით უნდა შეიცვალოს",** – ამბობდა პროექტის განყოფილების ხელმძღვანელი ადრიანა ლონგონი. გარდა ამისა, სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაცია და იქ მომუშავე ადამიანთა გადამზადებაც უნდა მოხდეს. კახეთის რეგიონზე გამოყოფილი 7.5 მილიონი ევროდან, მაგალითად, 2.5 იმისათვის გამოიყო, რათა საყოველთაო მისაწვდომობისათვის ეფექტური მოდელი შექმნილიყო. 1 მილიონი ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა გადამზადებისათვის დაიხარჯება, 4 მილიონი კი არსებული ობიექტების აღჭურვასა და რეაბილიტაციას მოხმარდება. პროექტში წყლითა და ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგების საკითხებიც გათვალისწინებულია.

პირველადი ჯანდაცვა ის სფეროა, რომელიც ჩვენი საზოგადოების ყველა წევრს ერთნაირად სჭირდება. მასთან შეხებისათვის სულაც არ არის აუცილებელი მაინც და მაინც პაციენტის სტატუსი გქონდეს. **"ჩვენი მოსახლეობის 80%-ს თავისი ცხოვრების მანძილზე სამედიცინო სფეროსთან შეხება მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის დონეზე სჭირდება, მაგრამ ძალიან ბევრს ამის შესაძლებლობაც კი არ გააჩნია,"** – ამბობდა გუშინდელ შეხვედრაზე პირველადი ჯანდაცვის სისტემის საკოორდინატო საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნატა ასტახიშვილი.

ხელისუფლების ცვლასთან ერთად საზოგადოებაში რეფორმების მოლოდინი ძალიან გაიზარდა. ადამიანებს გაუჩნდათ იმედი, რომ სხვადასხვა უცხოური დონორი ორგანიზაციების მიერ მედიცინასა და განათლებაში ჩადებული მილიონები ფუჭად არ დაიკარგება. გუშინ ეს განწყობა უცხოელი ექსპერტების და ჯანდაცვის ქართული მხარის წარმომადგენლების საუბარსაც ეტყობოდა. ყველა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ, სახელმწიფოს პოლიტიკური ნების გარეშე, ჯანდაცვის პროექტების ეფექტურად განხორციელება შეუძლებელია. დიდი ბრიტანეთის განვითრების სააგენტოს მრჩეველი ჯანდაცვისა და შიდსის საკითხებში ჯეისონ ლეინის აზრით, ვინაიდან ამ სფეროში უცხოური ორგანიზაციებისგან უკვე 40 მილიონზე მეტი გამოიყო, სხვა გზა არ არსებობს, სახელმწოფომ რეფორმის განხორციელება თავის თავზე უნდა აიღოს. **"მთავარია, მომავალი 5 წლის განმავლობაში სისტემა სწორედ განვითარდეს და პრიორიტეტები ზუსტად გამოიკვეთოს,"** – აცხადებდა იგი. საქართველოს მხარეს იმედი აქვს, რომ ხუთ წელიწადში საზოგადოებას კარგად გამართული ჯანდაცვის სისტემას წარუდგენენ, სადაც კარგად ტრენირებული ექიმები და ექთნები იმუშავებენ.

როგორც ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა, ბატონმა ამირან გამყრელიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, საქართველოში პირველად ხდება, რომ მრავალი ქვეყნის მსხვილი დონორი ორგანიზაციები - მსოფლიო ბანკი, ევროკომისიის წარმომადგენლობა, დიდი ბრიტანეთის, ამერიკისა და იაპონიის მთავრობები ერთ მიზანს ემსახურებიან. **"სახელმწიფოს როლი, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულია. გადამწყვეტია, რამდენად სწორედ მოვახდენთ ამა თუ იმ პროექტის კოორდინაციას, რათა არ მოხდეს გადაფარვა და მიზანს ეფექტურად მივაღწიოთ. დახარჯული ფული ადამიანებამდე რეალურად უნდა მივიდეს; ამის კონტროლს, იმედია, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები, ასევე, დონორი ორგანიზაციები განახორციელებენ,"** – განაცხადა მან.

# სოციოლინგვისტური კონფერენცია ფრანკფურტში

კახა გაბუნია

2003 წლის 12-14 დეკემბერს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც კავკასიაში სოციოლინგვისტური სიტუაციის თანამედროვე ვითარების ანალიზს ეძღვნებოდა. სამი დღის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამობრძანებული კავკასიოლოგები ისმენდნენ უაღრესად საინტერესო მოხსენებებს, რომელთა აქტუალობაზე ამ მოხსენებათა სახელწოდებებიც მეტყველებს...

ორიოდე სიტყვით კონფერენციის ისტორიის შესახებ: დღემდე ამ ტიპის შეკრებები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ჯერ ბატონი კარლ ჰორც შმიდტის, შემდეგ კი ვინფრიდ ბოედერის ხელმძღვანელობით, ხდებოდა უცხოელ ქართველოლოგთა და კავკასიოლოგთა შეკრება, მოსაზრებათა და შეხედულებათა ურთიერთგაზიარება. სამწუხაროდ, ამ შეხვედრებზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი ქართველი მეცნიერები: ფინანსური პრობლემები აქაც იჩენდა თავს. მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდებოდა 2-3 გამოჩენილი ქართველი ლინგვისტის მიწვევა გერმანიაში, ხდებოდა კონტაქტების დამყარება და გამყარება უცხოელ კოლეგებთან, გამოცდილების, ცოდნის ურთიერთგაზიარება, პრობლემების დასმა. წლევანდელი კონფერენციის მაღალი სტატუსი განისაზღვრა კორპორაცია "ფოლკსვაგენის" აქტიური დახმარებით (უკვე რამდენიმე წელია, ეს ცნობილი სამანქანო კორპორაცია დახმარებას უწევს ფრანკფურტის უნივერსიტეტს საქართველოსა და კავკასიის ენების შესწავლის საქმეში); წელს პირველად უცხოელ და ქართველ (რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია) კავკასიოლოგებს შესაძლებლობა მიეცათ, ჩატარებულიყო საკმაოდ წარმომადგენლობითი კონფერენცია, რომელიც, ასევე პირველად, თემატური პრინციპით იყო ორგანიზებული.

კონფერენცია გაიხსნა 12 დეკემბერს. მონაწილეები მიესალმნენ და კონფერენციის თემატიკასა და მიზნებზე ისაუბრეს პროფესორებმა იოსტ გიპერტმა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველმა ენათმეცნიერმა, პროფესორმა მანანა თანდაშვილმა. პროფესორმა ტ. ალტერმა წაიკითხა მოხსენება "სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში". პროფესორი ვინფრიდ ბოედერი შეეცადა, კიდევ ერთხელ გაევლო ზღვარი ტერმინების - ენისა და დიალექტის საკუთრივ ლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ ასპექტებს შორის (მოხსენების სათაური: "ტერმინების - "ენა" და "დიალექტი" - გამოყენება ქართველურ ლინგვისტურ თეორიებში: განმარტებისათვის").

კონფერენციის I დღის მეორე ნახევარი თითქმის მთლიანად საქართველოს წარმომადგენლებს დაეთმოთ. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა გ. გოგოლაშვილმა (თანაავტორი - პროფესორი ვახტანგ იმნაიშვილი: "ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის თანამედროვე სტატუსი"), მ. მანჯგალაძემ (თანაავტორი - პროფესორი თ. უთურგაიძე: "ქართულის ინტერფერენციული ზონები"), ლ. აბულაძემ (თანაავტორი - პროფესორი ა. ლუდენი: "დაკვირვებანი თანამედროვე ქართული ენის აქტიურ ლექსიკაზე").

13 დეკემბრის მოხსენებებიდან აღსანიშნავია დ. რეიფილდის "ახალი მეთოდი ქართულ ლექსიკოგრაფიაში", კ. ლენრენისა და რ. ენოხის (ენუქაშვილის) ქართველი ებრაელების მეტყველებისადმი მიძღვნილი მოხსენებები. ამავე დღეს წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებანი კ. გაბუნიამ ("ქართული და მისი მონათესავე ენები"), მ. ბაბუხადიამ ("ლინგვისტური მრავალფეროვნება თანამედროვე საქართველოში"), ტ. სიხარულიძემ ("კავკასიური ენების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში"). მეტად საინტერესო იყო ასევე ქართველის, ამჟამად ფრანკფურტში მოღვაწე ფოლკლორისტის ე. დადუნაშვილის მოხსენება, რომელიც ქართველურ ენათა ფოლკლორის საკითხებს ეძღვნებოდა.

13 დეკემბერს გაიხსნა კონფერენციის მეორე ნაწილი, სახელწოდებით: "საფრთხის წინაშე მდგარი ენები კავკასიაში". ი. გიპერტისა და მ. ჯობის მისასალმებელი სიტყვისა და გახსნის შემდეგ აფხაზურ-ადიღეური ენების თანამედროვე მდგომარეობის თაობაზე მოხსენებით წარდგა ჩვენთვის კარგად ცნობილი ჯორჯ ჰიუიტი. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელი მეცნიერის წლევანდელი გამოსვლა გამოირჩეოდა თავშეკავებულობითა და ობიექტურობით. მისი დამოკიდებულება ქართველებისადმი აშკარად შერბილებული ჩანდა, რაც არა მხოლოდ სამეცნიერო დისკუსიაში, არამედ პირად ურთიერთობებშიც გამოვლინდა.

ლაზურის მდგომარეობას თურქეთში შეეხო ს. კუჩერი (ფრანკფურტი); დაღესტნის ენათა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ საინტერესო გამოკვლევა შემოგვთავაზა ბ. კომრიმ. თალიშური ენის თავისებურებათა შესახებ მოხსენება წაიკითხა დ. სტილომ. ცნობილი კავკასიოლოგების - ვ. შულცეს, ა. ჰარისისა და ბ. უტიეს გამოსვლების თემა უდიური ენის წარსული, აწმყო და მომავალი გახლდათ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ი. გიპერტისა და ვ. შულცეს ერთობლივმა მოხსენებამ, რომელიც უძველესი ხელნაწერების მიხედვით უდიური ენის ისტორიისა და ლინგვისტური სტრუქტურის საკითხებს ეძღვნებოდა.

კონფერენციის ორგანიზატორთა მიერ ხაზგასმით აღინიშნა საქართველოდან მიწვეული მომხსენებლების მაღალი სამეცნიერო დონე და პრობლემათა ახლებური გააზრება. პროფესორმა ი. გიპერტმა განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია ქართველი მეცნიერები და მათთან მომავალი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა. კონფერენცია დაიხურა. მონაწილეთა შეფასება აშკარად ერთგვარი იყო: ეს იყო მართლაც შესანიშნავად ორგანიზებული მაღალი სამეცნიერო დონის საერთაშორისო კონფერენცია. ყველა გამოთქვამდა იმედს, რომ გაგრძელდება ამ ტიპის შეხვედრები და კვლავ მოხდება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მოღვაწე კავკასიოლოგთა ნაყოფიერი შეხვედრები, საინტერესო პრობლემების დასმა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

# სასამართლო მკაცრ ზომებს არ ცვლის

*გუშინ ქართულმა მართლმსაჯულებამ მკაცრი ზომების მიმართ თავისი მიდრეკილება გამოავლინა. სამი სასამართლო პროცესი, რომელიც გახმაურებული ბრალდებების მქონე პირთათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას განიხილავდა, ერთი და იმავე შედეგით დასრულდა – ბრალდებულები, სულ ცოტა, სამ თვეს საპყრობილეში გაატარებენ და იქიდან მოუწევთ გამოძიებასთან თანამშრომლობა.*

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გუშინ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა რამდენიმე დღის წინ "იმელის" შენობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაპატიმრებულებს – "თბილსრესის" ყოფილ ფინანსურ დირექტორს ნოდარ ბულბულაშვილსა და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ომარ გოგიას ტყუპისცალს ნუგზარ გოგიას. როგორც ცნობილია, ორივე მათგანს, ამჟამად ძებნაში მყოფ ომარ გოგიასთან ერთად, ენერგოვალების გადახდისას ჩატარებული მაქინაციების შედეგად 13 მილიონი ლარის დატაცება ედებათ ბრალად და დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, 6-დან 12-წლამდე პატიმრობა ელით.

გოგიასა და ბულბულაშვილის ადვოკატები რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ, თუმცა, როგორც ბოლოდროინდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, საოლქო გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს.

სხვათა შორის, სწორედ ასე მოიქცა საოლქო სასამართლო გუშინ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატმა თავისი შუამდგომლობა მოხსნა. საუბარია თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულებზე.

როგორც ცნობილია, "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ეჭვმიტანილების – ელდარ გოგბერაშვილის და ბენიამინ სანებლიძის ადვოკატებმა ბანკირის გატაცებაში ბრალდებულთა მიმართ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა არაკანონიერად მიიჩნიეს და მის გაუქმებას მოითხოვდნენ.

ამ მიზნით მათ საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს; თუმცა ელდარ გოგბერაშვილის ადვოკატი გულიკო გაბაიძე პროტესტის ნიშნად სასამართლო პროცესს არ დაესწრო და დაკავებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების გაუქმების შუამდგომლობაც მოხსნა. ადვოკატი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოში აღარ გაასაჩივრებს.

გულიკო გაბაიძის განცხადებით, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მას უსაფუძვლოდ მიაჩნია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება.



ნუგზარ გოგიას ადვოკატი მის პატიმრობას გაასაჩივრებს.

**"დღეისათვის ვერც ერთი შეუვალი და მიუკერძოებელი მოსამართლე ვერ გაბედავს ამ კონკრეტულ საკითხზე კანონიერების დადგენას,"** – განაცხადა გაბაიძემ. ადვოკატს არ დაუკონკრეტებია, სამართლებრივი ბრძოლის როგორ ტაქტიკას აირჩევს.

გულიკო გაბაიძისგან განსხვავებით, სარჩელი საოლქო სასამართლოდან არ გამოუტანია მეორე ბრალდებულის - ბენიამინ სანებლიძის ადვოკატს. თუმცა, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბენიამინ სანებლიძე პატიმრობაში დარჩა. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბრალდებულის ადვოკატის ირაკლი ჩიკვაიძის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან ბრალის წაყენებამდე ეჭვმიტანილი არ დაკითხულა. გარდა ამისა, მისი თქმით, სანებლიძეს სერიოზული ალიბი გააჩნია: მაღლაკელიძის გატაცების დღეს იგი თბილისში არ იმყოფებოდა.

ალიბს ადვოკატი უახლოეს დღეებში გამოძიებას წარუდგენს და ჩიკვაიძეს იმედი აქვს, რომ ის ახლად აღმოჩენილ გარემოებად ჩაითვლება.

კანონის თანახმად, ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში აღმკვეთი ღონისძიება უნდა გადაისინჯოს.

ელდარ გოგბერაშვილი და ბენიამინ სანებლიძე 9 იანვარს დააკავეს და ბრალი დასდეს "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში. თამაზ მაღლაკელიძის გათავისუფლების სპეცოპერაცია 10 იანვარს ჩატარდა.

საოლქო სასამართლომ გუშინ კიდევ ერთი სარჩელი განიხილა და შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გაუქმების შუამდგომლობაზე იმსჯელა. საოლქო სასამართლომ ამჯერადაც ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს (მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და აკაკი ჩხაიძე სამთვიან წინასწარ პატიმრობაში დარჩა.

აკაკი ჩხაიძის ადვოკატები ბრალდებულის მიმართ შეფარდებულ სამთვიან წინასწარ პატიმრობას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. ადვოკატ არჩილ კბილაშვილის განმარტებით, აკაკი ჩხაიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა. მას დიაბეტის და გულის დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, რის გამოც განსასჯელი სასამართლო სხდომას ვერ დაესწრო.

ადვოკატის განმარტებით, აკაკი ჩხაიძე სხვა ახალ დანაშაულებშიც მიიჩნიეს ეჭვმიტანილად, რომელთაც ადვოკატები უახლოეს დღეებში გაეცნობიან.

შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე 16 იანვარს დააკავეს. მას ბრალად ედება ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების დაფარვა, რაც 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*24 საათი*

# იმერეთის პოლიციას სპეცოპერაცია ჩაუვარდა

პირველი გვერდიდან

თუმცა, უცვლელი დარჩა პოლიციელთა სხვა მავნე ჩვევები - ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადება, ასევე წინასწარი დაკავების საკნებში დანაშაულში ეჭვმიტანილთა ცემა-ტყეპა. თუმცა, გარკვეული ცვლილებები ამ საქმეშიც იგრძნობა. თუკი პოლიცია ადრე ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადებას, ძირითადად, ფულის გამოძალვის მიზნით ახორციელებდა, ამჟამად ასეთ მეთოდებს მხოლოდ იმ პირების მიმართ იყენებს, ვისზეც უტყუარი ოპერატიული ინფორმაცია გააჩნია და რომელთა დაჭერასაც სამართლებრივი მეთოდებით ვერ ახერხებს. ასეთ კატეგორიას, ძირითადად, "კანონიერი ქურდები" წარმოადგენენ. ისეთი ქურდული მენტალიტეტის ქალაქში, როგორიც ქუთაისია, "კანონიერი ქურდებიდან" ზოგი ქვეყნის გარეთ გადაიხვეწა, ზოგიც საქართველოს ტერიტორიაზე იმალება. მაგალითად, ისეთი ცნობილი ქუთაისელი "კანონიერი ქურდი", როგორიც კვიჟინაძეა ევროპას აფარებს თავს. კიდევ ერთი მსხვილი "კანონიერი ქურდის" ტარიელ ფოცხვერიას ასაყვანი ოპერაცია გუშინწინ დაიგეგმა. სამართალდამცველთა კულუარული ინფორმაციით (ამის შესახებ ოფიციალურ კომენტარს არავინ აკეთებს), ფოცხვერიამ გაქცევა მოასწრო. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ოპერაციის ჩატარების თარიღი და დრო პოლიციიდან გაიჟონა. ფოცხვერიას წინასწარ მიაწოდეს მესიჯი და ისიც გაიქცა. არსებული ინფორმაციით, მან უკვე დატოვა საქართველოს ფარგლები. ქუთაისის კრიმინალური პოლიციის უფროსის კობა შარვაძის განმარტებით, ტარიელ ფოცხვერია ქუთაისელი ბიზნესმენის ვოვა თუთოსანის სახლში იმალებოდა. მისი ოჯახიდან ამოღებულია კონტრაბანდული გზით შემოყვანილი "ტოიოტა ლენდ კრუიზერის" მარკის "ჯიპი", რომელიც თუთოსანს ქურდებმა აჩუქეს.

**"ტარიელ ფოცხვერია, თუთოსანთან ერთად, ფქვილის კონტრაბანდულ ბიზნესშია დასაქმებული. ამჟამად თუთოსანის კუთვნილი ბაზრობა დალუქული გვაქვს და ვამოწმებთ. ამ ბიზნესის "კრიშა" ტარიელ ფოცხვერია იყო, გვქონდა ინფორმაცია, რომ ფოცხვერია მასთან სახლში იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცამ ინფორმაციის მიწოდება დაგვასწრო და გაგვექცა,"** - აცხადებს ქუთაისის კრიმინალური პოლიციის უფროსი კობა შარვაძე.

იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ვოვა თუთოსანის სახლიდან "ბერეტას" და "ვინჩესტერის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღები, დიდი რაოდენობით ვაზნები და ერთი ცალი ხელყუმბარაც ამოიღეს.

როგორც იმერეთის სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, დაკავებული თუთოსანი ფოცხვერიასთან კავშირს უარყოფს.

ტარიელ ფოცხვერია ქუთაისში ყველაზე "სერიოზულ კანონიერ ქურდადაა" მიჩნეული. იგი ქუთაისში მოქმედ ყველა საწარმოს ყოველთვიურ წილს ართმევდა. გარდა ამისა, სამართალდამცველების განმარტებით, ქუთაისის საქალაქო ხაზებზე მოძრავი ყველა სამარშრუტო ტაქსი მას ყოველდღიურ ბეგარას უხდიდა. სანაცვლოდ კი, სტატუსიანი ქურდი მათი საქმიანობის დაცვასა და მოპარული ავტომობილების დაბრუნებას ჰპირდებოდა.

კრიმინალურ ავტორიტეტებთან ბრძოლის პარალელურად, სამართალდამცველებმა ნარკოტიკების გასაღების წინააღმდეგ ბრძოლაც გაააქტიურეს. თუკი აქამდე პოლიცია მხოლოდ ნარკომანებს დასდევდა, ორი დღის წინ ნარკორეალიზატორებიც დაიჭირეს. ქუთაისის ცენტრში მდებარე აფთიაქ "ვარიუსის" გამყიდველი ნანა ძძუაშვილი მაშინ დააკავეს, როცა იგი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველ მედიკამენტ "ტემპიკორდს" ყიდდა. ამის შემდეგ აფთიაქში ჩხრეკა ჩატარდა და მეპატრონის - დემურ ნემსაძის სეიფში მაკაროვის სისტემის იარაღის ტყვიები იპოვეს. დაკავებისას ნემსაძემ აღიარა, რომ ტყვიები მას ეკუთვნოდა. აღმოჩენილი ტყვიებისა და "ტემპირკორდის" გარდა, პოლიციამ "ვარიუსიდან" 390 აბი "დიაზეპამი", 60 აბი "ტემპირკორდი", 6 ამპულა "რელარიუმ-დიაზეპამი", 70 აბი "რელანდომი" და "რადენდომი" ამოიღო. დაკავებულები უკვე წინასწარი დაკავების საკანში არიან მოთავსებულნი.

ამ დღეებში პოლიციამ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ავტოსადგურის ტერიტორიაზე დააკავა არასრულწლოვანის გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი, 25 წლის აკაკი ლეთოდიანი. ლეთოდიანი ხონში ცხოვრებს, მაგრამ დანაშაული მან მარტვილის რაიონში, სოფელ ქვაშაითში, ბაბუას საცხოვრებელ სახლში ჩაიდინა. დამნაშავემ 15 წლის ქრისტინე გუგუასთან სექსუალური კავშირი ძალის გამოყენებით დაამყარა. დაკავებული შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას იმერეთის საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს.

და ბოლოს, ქუთაისის პოლიციამ ქალაქის სხვადასხვა უბანში ადამიანის ორი გვამი აღმოაჩინა. რუსთაველის გამზირზე მდებარე გზაგამტარი ხიდის ქვეშ, ინდმეწარმე მამუკა ნიქაბაძის სამრეცხაოში ნაპოვნი იქნა დარაჯის პორფილე კეპულაძის გვამი. მოგვიანებით კი, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე აბანოს მისაღებში 45 წლის დიანა გველესიანის გვამი აღმოაჩინეს. გარეგნული დათვალიერებით გვამებს დაზიანებები არ ეტყობოდათ. მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით მოკვლევას ქალაქის პროკურატურა აწარმოებს.

# თავისუფლების ინსტიტუტის და ALPE-ს განცხადება

თავისუფლების ინსტიტუტი და სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბოლო დროს სახიფათო მასშტაბი შეიძინა პოლიციის თვითნებობამ და პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებმა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლამ ოდნავაც ვერ შეცვალა პოლიციისა და ზოგადად სამართალდამცავი უწყებების მუშაობის სტილი. მეტიც, პოლიციის მიერ მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევის დროს გამოჩენილი სისასტიკე და ის რეპრესიები, რაც პოლიციამ ამ მშვიდობიანი აქციების დარბევის შემდეგ გაატარა აქციების მონაწილეთა მიმართ, გვაფიქრებინებს, რომ პოლიციის მხრიდან ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევებმა ახალი მასშტაბები შეიძინა.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის ტენდენციები, რამაც ბოლო პერიოდში იჩინა თავი. კერძოდ, 11 იანვარს მოქალაქეების ჯგუფმა მცირე ხნით, 1 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში გადაკეტა ცენტრალური ავტომაგისტრალი თერჯოლის რაიონში. პოლიციამ სასტიკად დაარბია აქცია და გახსნა გზა, რის შემდეგაც პოლიციელები აქციის მონაწილეებსა და შემთხვევით გამვლელებს დასდევდნენ ეზოებში და ბუჩქებში და სასტიკად სცემდნენ ხელკეტებით, მუშტებითა და ფეხით, ბევრი მათგანი კი დააკავეს და პოლიციის მანქანებში შეტენეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არავინ უწევდა წინააღმდეგობას. თანაც, პოლიცია ამას აკეთებდა კამერების თვალწინ, ყოვლად ცინიკურად. კიდევ უარესად მოიქცა პოლიცია რუსთავში, სადაც ასევე 11 იანვარს ჩატარდა მცირე მოცულობის მშვიდობიანი აქცია. აქცია თავისით დაიშალა, მაგრამ პოლიციელებმა დაიწყეს აქციის მონაწილეთა ძებნა სახლებში და სასტიკად სცემეს აქციის რამდენიმე მონაწილე. მეტიც, პოლიციის მიერ მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევის შემდეგ საქმეში ჩაებნენ პროკურატურა და სასამართლო და მოხდა მანიფესტაციის მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრება "ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნებისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებული ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისა და მასში აქტიური მონაწილეობის, საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევისა და ტრანსპორტის შეფერხების" ბრალდებით. სწორედ ამ ბრალდებით სასამართლომ რამდენიმე პირს აღმკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა სამი თვით პატიმრობა. თანაც, რიგ შემთხვევებში ბრალის წარდგენა მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

ადამიანის უფლებები უხეშად დაირღვია შიდა ქართლშიც, სადაც პოლიციამ ე.წ. რეიდები ჩაატარა "ბორდელების გამოსავლენად".

მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზემოთქმულით სერიოზულად ირღვევა ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება, რაც კონსტიტუციით აქვს გარანტირებული ნებისმიერ მოქალაქეს. სამართალდამცავთა თვითნებობამ და უკანონობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, რადგან მსგავსი სისასტიკე და ის დარღვევები, რაც ამ აქციების დარბევის შემდეგ განხორციელდა, თვით ყოფილი ხელისუფლების დროსაც არ მომხდარა.

ჩვენს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს შემდეგი გარემოება: რა თქმა უნდა, ჩვენ ოდნავადაც არ გვქონდა იმის ილუზია, რომ პოლიცია ერთი ხელის დაკვრით შეიცვლიდა მუშაობის ჩვეულ სტილსა და მეთოდებს, მაგრამ ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის უყურადღებობა, რასაც ამ ფაქტების მიმართ იჩენს ხელისუფლება და, პირველ რიგში, პირადად შს მინისტრი. არადა, დარბევის შემდეგ ერთ კვირაზე მეტი გავიდა, თავად დარბევის ფაქტებზე ინფორმაცია გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, თავისუფლების ინსტიტუტის რეგიონულმა ოფისებმა ამ დარღვევებთან დაკავშირებით ჩაატარეს პრესკონფერენციები და შს სამინისტროს მიაწოდეს საჭირო ინფორმაცია, მაგრამ ყოველივე ამას რეაგირება არ მოჰყვა.

ვიტოვებთ იმედს, რომ შს სამინისტრო და გენერალური პროკურატურა მიიღებენ ყველა ზომას, რათა აღსდგეს სამართლიანობა და კანონის დამცველი პოლიციელები დაისაჯონ, ხოლო ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს გაცილებით მეტი ყურადღება მიექცევა.

**თავისუფლების ინსტიტუტი**
**სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE**

# შოთა ჭიჭიაშვილთან ადამიანის უფლებათა დამცველებს არ უშვებენ

გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ უარით გაისტუმრა იუსტიციის სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაციათა საზედამხედველო საბჭოს წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" ლიდერი ნანა კაკაბაძე, რომელმაც ახლახან მოსკოვიდან ექსტრადირებულ, ადამიანის გატაცებებსა და სხვა მძიმე დანაშაულებში ბრალდებულ შოთა ჭიჭიაშვილთან შეხვედრა მოითხოვა. საზედამხედველო საბჭოს ჩამოყალიბების შექმნის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მის წევრს პატიმართან შეხვედრა აუკრძალეს. ეს აკრძალვა პატიმრის "განსაკუთრებულობით" იქნა ახსნილი.

**"ვცადე, ამეხსნა კოპაძისთვის, რომ საზედამხედველო საბჭოს დებულება მის წევრებს უფლებას გვაძლევს, ნებისმიერ და, მით უმეტეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში შევხვდეთ როგორც მსჯავრდებულებს, ასევე წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, თანაც ისე, რომ ამისთვის გამომძიებლის ნებართვა არ გვჭირდება,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნანა კაკაბაძემ, - **მაგრამ არც ერთმა ამ არგუმენტმა არ გაჭრა".**

ნანა კაკაბაძეს უკვე ის მიაჩნია პატიმრის უფლებების დარღვევად, რომ შოთა ჭიჭიაშვილი ცალკე საკანშია მოთავსებული. მისი თქმით, ეს წინასწარ პატიმრობაში ყოლის სტანდარტებს ეწინააღმდეგება. თუმცა, თავად სამართალდამცველები ჭიჭიაშვილის განსაკუთრებულ რეჟიმში მოთავსებას მისივე უსაფრთხოების ზომად მიიჩნევენ – გამოძიება მისგან საკმაოდ გავლენიანი ფიგურების დანაშაულში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას ელის და არ გამორიცხავს, რომ პატიმრის ლიკვიდაციით არაერთი ძალა იყოს დაინტერესებული.

**"ცხადია, ჭიჭიაშვილს გამოძიების დეტალებზე საუბარს ჩვენ არ დავუწყებთ. სწორედ იმიტომაც, რომ იგი განსაკუთრებული პატიმარია და მისგან განსაკუთრებულ ჩვენებებს ელიან. ჩვენ, ადამიანის უფლებების დამცველებს, უფლება არ გვაქვს, არ შევამოწმოთ, ხომ არ მოხდა მასზე რაიმე სახის ზეწოლა. ის ფაქტი კი, რომ მასთან შეხვედრას გვიკრძალავენ, კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ეჭვს, რომ შოთა ჭიჭიაშვილის უფლებები სათანადოდ არ არის დაცული"**, - ამბობს კაკაბაძე.

*24 საათი*

# დსთ-ს ქვეყნების ლიდერები მოპარული ავტობუსით დასეირნობდნენ

ბრიტანული გაზეთი Guardian-ი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინზე კომპრომატს აქვეყნებს და მისი დამადასტურებელი ფოტომასალაც კი გააჩნია. საუბარია 2001 წლის აგვისტოში, სოჭის სამიტზე გადაღებულ ფოტოზე, სადაც რუსეთის პრეზიდენტი დსთ-ს ქვეყნების 12 თავკაცთან ერთადაა აღბეჭდილი. Guardian-ის ცნობით, კორუფციასა და დამნაშავეობასთან ერთობლივი ბრძოლის პრინციპების შესამუშავებლად შეკრებილი სახელმწიფოების ხელმძღვანელები ზღვისპირა ქალაქში ფეშენებელური, საკუთარი ტუალეტებით, ტელევიზორებით, ბარითა და ვიდეოსალონით გაწყობილი ავტობუსით მოძრაობდნენ. უეჭველია, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ რამდენიმე თვით ადრე ეს ავტობუსი გერმანელ ომის ვეტერანების ჯგუფს მოჰპარეს. ეს ფაქტი მხოლოდ ახლახან, ვორონეჟის სასამართლოში მიმდინარე პროცესზე გახმაურდა, რომელზეც მილიციის ორი ყოფილი თანამშრომლისა და ექვსი გამყალბებლის საქმეს განიხილავენ. მათ ამ ავტობუსისა და კიდევ 300 მანქანის დოკუმენტების გაყალბება ედებათ ბრალად.

გამომძიებლების ვარაუდით, უკანასკნელი კანონიერი მეპატრონე ამ ავტობუსს 2000 წელს ჰყავდა. მაშინ ის ერთ-ერთ ტურისტულ ფირმას ეკუთვნოდა, რომელმაც ომის ვეტერანთა ბელორუსში ჩაყვანა უზრუნველყო. სანამ ვეტერანები ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდნენ, ორმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა ავტობუსი მძღოლიანად გაიტაცა, 25 მილის გავლის შემდეგ კი მძღოლი ავტობუსიდან გადასვეს და თავად მიიმალნენ.

2001 წელს ავტობუსი ვორონეჟში აღმოჩნდა, უკვე ყალბი დოკუმენტებით გადაფორმებული. დოკუმენტების კვალმა გამოძიება კავშირგაბმულობის სამინისტროს სოჭის დეპარტამენტამდე მიიყვანა, რომელმაც ავტობუსი 140 ათას ფუნტად შეიძინა. მერე კი მისი "კონფისკაცია" კრემლის იმ ჩინოვნიკებმა მოახდინეს, რომლებიც 2001 წლის სამიტის ორგანიზებით იყვნენ დაკავებულნი.

სამძებრო სააგენტო Via-Avto-ს წარმომადგენელმა რეზო ბერიძემ განაცხადა, რომ "თავდაპირველად სამინისტროს ავტობუსის დაბრუნება არ სურდა. თუმცა ამჟამად მანქანა გერმანიაშია. იგი კომპენსაციის სახით ტურისტული ფირმის დამზღვევებს გადასცეს".

*24 საათი*

# არმია სამოქალაქო მინისტრის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

**ამ გაურკვევლობის ფონზე, არმიაში შესამჩნევი პროცესები იწყება – ახალგაზრდა ოფიცრები უკვე ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, რომ მათ არ მოსწონთ ძველი ხელმძღვანელობის მიერ წარმოებული პოლიტიკა. რა შეიძლება ამ დროს სამოქალაქო საზოგადოებამ ხელისუფლებას უკარნახოს?**

**გოგა ხაინდრავა:** საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც წაგებულ ომებში გენერლები ხდებიან. ის გენერალიტეტი, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, აბსოლუტურად მიუღებელია. ხშირ შემთხვევაში გენერლის სამხრეები მაროდიორებს დააბნიეს. რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდული ტალღა არანაირ თანხვედრაში არ არის ასეთ გენერლებთან. ვფიქრობ, აუცილებელია ჯარის ძირფესვიანი რეორგანიზება. დღეს მსოფლიოში სულ სხვა რეალიებია, განსხვავებული ამოცანები დგას საქართველოს წინაშეც. საშინელებაა, როცა სამხედროების ზედა ფენა საბჭოთა მენტალიტეტის მქონე ადამიანებს წარმოადგენს და მათი ხედვა, ჯარის საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად, უკავშირდება რუსეთს. მეორე მხრივ, არის ახალგაზრდობა, რომელიც ორიენტირებულია და გაზრდილია სხვა პრინციპებით და უფრო პროგრესული ქვეყნების მაგალითებს იზიარებს. ასეთი აღრევა არაფერს კარგს არ უქადის სახელმწიფოს. რაც უფრო სწრაფად მოხდება ჯარის რეფორმა და რაც უფრო - კომპეტენტური ხალხის მიერ, მით უკეთესია. დღეს მთელი მსოფლიო მზადაა, საქართველოს მხარი დაუჭიროს. ამის დასტურია, თუნდაც, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა. მაგრამ, რაც მთავარია, რეფორმები ამ კუთხით ძალიან რადიკალური უნდა იყოს.

**- ბატონი გოგა შეეხო იმ საშიშ სიმბიოზს, რომელიც არმიაში, არმიის მმართველობაში არსებობს. ხომ არ გგონიათ, რომ ახალი ხელისუფლება გარკვეულწილად ანგარიშს უწევს იმ მტკივნეულ პროცესს, რასაც თაობათა ცვლა წარმოადგენს. ხომ არ არის მიღწეული რაღაც შეთანხმება, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია? თუნდაც ასეთი: დავტოვოთ გენერალი თევზაძე, ოღონდ, სხვა ამპლუაში. მაგრამ მოვიყვანოთ სამოქალაქო თავდაცვის მინისტრად ის, ვინც პოლიტიკური გუნდის წევრი იქნება. აქ არის კიდევ ერთი საშიშროება, როგორ შეეგუება ეს ორი კომპონენტი ერთმანეთს?**

**ნიკა ჯანჯღავა:** ჩემი ოცნებაა, საქართველოში შეიქმნას ისეთი ჯარი, სადაც ნებისმიერი მაღალჩინოსნის და გენერლის მოხსნა დანარჩენი საქართველოსთვის ტრაგედიის და აჟიოტაჟის საბაბს არ წარმოადგენს. დღეს ჩვენ ყველას ეჭვი გვაქვს, რომ არსებობს გარკვეული შეთანხმებები პოლიტიკურსა და სამხედრო წრეებს შორის, რომ, ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ, გენერლები ღებულობენ გარკვეულ თანამდებობებს. რა თქმა უნდა, ეს ყოვლად მიუღებელია. თავდაცვის სისტემაში არიან ადმიანები, რომელთაც ექვსი წლის განმავლობაში მოახერხეს, რომ ქართული ჯარი, ფაქტობრივად, ოთხ-ხუთ სხვა ქვეყნის მიერ გაწვრთნილ ბატალიონამდე დაეყვანათ. დანარჩენი ჯარი განადგურების პირასაა. ასეთი ადამიანების დატოვება ჯარში ძალიან საშიშია. პირადად ჩემთვის, ეს ლაკმუსის ქაღალდია: თუ ეს ხალხი თავდაცვის სტრუქტურებში დატოვეს, მეცოდინება, როგორ მოექცევა მომავალი ხელისუფლება თავის ხალხს. ამ გენერლების სახით ჩვენ ვებრძვით კორუფციონერებს, რომლებმაც შეჭამეს თანხები, გრანტები. მაგრამ ჩვენ გვავიწყდება და არ ვეომებით იდეოლოგიურ კორუფციას, რომელიც არანაკლებ საშიშია. ჯარის იმიჯი დღეს განადგურებულია, მის აღდგენას ათწლეულები სჭირდება. ელემენტარულ კითხვას დავსვამ: თქვენ გაუშვებთ თქვენს შვილს დღევანდელ არმიაში? სასწრაფოდ საჭიროა საკადრო რეფორმების გატარება. თავდაცვის სტრუქტურა, ჯერჯერობით, არ არის ისე მოწყობილი, რომ მის სათავეში სამოქალაქო პირი მოვიდეს. მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი.

**- სახმელეთო ჯარების სარდლობა გაუქმებულია, 19 სექტემბრის შემდეგ არმიას არ ჰყავს გენერალური შტაბის უფროსი და, ფაქტობრივად, არმია არის მმართველობის გარეშე. დავით თევზაძემაც ინაუგურაციის დღეს უნდა დაწეროს ბრძანება გადადგომის შესახებ. ხომ არ შეიქმნება სამართლებრივი ვაკუუმის საფრთხე არმიის მმართველობაში ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში და ხომ არ არის ეს გამოწვევა ან მუქარა ეროვნული საფრთხის თვალსაზრისით?**

**დავით უსუფაშვილი:** პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ როდესაც ვსაუბრობთ ჯარზე, ხშირად ტოლობის ნიშანს ვაკეთებთ თავდაცვის სამინისტროსა და ჯარს შორის, რაც არასწორია. ჯარი არის სპეციფიკური ინსტიტუტი, რომელიც თავისი სპეციფიკური ტრადიციებით, წესებით იმართება და სამოქალაქო სამსახურებისგან საკმაოდ განსხვავებულია. მეორე მხრივ, არის თავდაცვის სამინისტრო ანუ მმართველი ერთეული ამ სფეროში. ეს ორი მიმართულება აღრეულია თავდაცვის სამინისტროში. ამაზე ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ ძალიან ბევრი პრობლემა, რომელიც ქართულ ჯარს აწუხებს, მმართველობის სფეროში არსებული სერიოზული ხარვეზების ბრალია. ბატონობს აზრი, რომ სამხედრო თემა ძალიან სპეციფიკურია, სათუთია, ამიტომ ძალიან ხშირად მასზე ტაბუა დადებული. ამ საკითხებზე ბევრს არ საუბრობენ. ვთქვათ, არ გვყავს სარდალი, განსხვავებული აზრია სამხედროების შიგნით და ა.შ. ჩემი აზრით, ამ თემებზე მსჯელობა დაგვიანდა. უფრო სწორად, მათზე მსჯელობდნენ არა ამ წრეებში და არა იმ დონეზე, სადაც უნდა განხილულიყო. პარლამენტის მუშაობას საკმაოდ ახლოს ვიცნობ. პარლამენტის სხდომებზე ამ თემების დეტალური განხილვა არ მახსენდება. არის რაღაც განსხვავებული დამოკიდებულება გენერალიტეტის მიმართ - მათი ეშინიათ თუ ხათრი აქვთ, არ ვიცი, მაგრამ ხმამაღლა ბევრ რამეზე არ საუბრობენ.

**- როგორი არმია სჭირდება საქართველოს დღეს, როგორია სოციალური დაკვეთა. როგორი ფორმით შეიძლება საზოგადოება ჩაერთოს იმაში, რომ არმია, როგორც დეგოლი ამბობდა, ისეთი კი არ უნდა იყოს, როგორსაც ჩვენ მივეჩვიეთ, არამედ როგორიც ჩვენ გვჭირდება?**

**გიგი თევზაძე:** უნდა წავიდეს თუ არა არსებული მინისტრი და უნდა შეიცვალოს თუ არა არსებული სამინისტრო? ყველა ყოფილი მინისტრი, რომელიც იყო შევარდნაძის ხელისუფლებაში, უნდა წავიდეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვიცით, რომ არც ერთი მინისტრი 150 ლარზე არასოდეს ცხოვრობდა.

მახსოვს, ერთ-ერთ აღლუმზე დავით თევზაძემ განაცხადა, რომ არ არსებობს უფრო დიდი პატივი, ვიდრე მოკვდე სამშობლოსათვის. ეს ძალიან გაუგებარი ფორმულირებაა... პირადად მე სულ მეგონა, რომ ეს მტრების მოგონილი ფრაზაა. სხვათა შორის, ისრაელში სულ სხვა ფორმულირებაა – უნდა იცოცხლო სამშობლოსათვის. იმას არ ამბობენ, როგორ უნდა მოეწყოს არმია, როგორ განვითარდეს... ამბობენ, რომ ეს არის არმია, რომელიც სჭირდება სამშობლოს და რომელიც ამ სამშობლოსთვის უნდა მოკვდეს. დღევანდელ ჯარისკაცებს შეხედეთ, მათ აშკარად ეტყობათ, რომ ისინი გაჭირვებული ოჯახებიდან არიან და, შესაბამისად, მხოლოდ ამ მიზეზით მოხვდნენ ჯარში.

რაც შეეხება სოციალურ დაკვეთას – იყოს თუ არა ჯარი სამუშაო ადგილი საზოგადოებისთვის, მოქალაქეებისთვის? მეოცე საუკუნეში ჯარის განვითარების ისტორიას რომ გადავხედოთ, ვნახავთ: ჯარი ვითარდებოდა, როგორც ადამიანთა დასაქმების ადგილი. ძალიან ბევრ ქვეყანაში ადამიანები ჯარის მეშვეობით საკმაოდ წარმატებულ კარიერას იკეთებენ, რადგან იქ ჯარი ნიშნავს სერიოზულ შეღავათებს უნივერსიტეტში მოსახვედრად და ა.შ. დღეს, საქართველოში ამგვარი სოციალური დაკვეთა არ არსებობს იმიტომ, რომ იმ ხალხს, ვინც ამ სოციალურ დაკვეთას უნდა ქმნიდეს, გამუდმებით ესმის, რომ უნდა მოკვდეს სამშობლოსათვის, რომ ჯარი მხოლოდ ესაა. ეს ძალიან ღრმად არის გამჯდარი ქართულ ცნობიერებაში.

**- ჩვენ ერთ დროს გვყავდა თავდაცვის მინისტრი, რომელიც ამბობდა: მაცალეთ არმიის მშენებლობა. ამ გამოთქმაში იყო ერთი რამ: ჩვენ, სამხედროები, უნდა ვიყოთ სახელმწიფო სახელმწიფოში... თევზაძის დროს ვითარება შეიცვალა, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვნად. იმის თქმა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ რაღაც უკარნახა არმიას, ძნელია. საერთოდ, საშიშია სამოქალაქო საზოგადოების სიახლოვე სამხედრო სტრუქტურებთან, თუ ეს დისტანცირების მცდელობაა არმიის მხრიდან? როგორ შეიძლება ამის გადალახვა, დღეს ამის შანსი თითქოს გვაქვს, სამოქალაქო მინისტრი გვეყოლება...**

**გიგა ბოკერია:** ცხადია, საზოგადოებრივი კონტროლი ძალიან საჭიროა. ცნობილი გამოთქმა არსებობს: ნუ ანდობთ ომს სამხედროებს. რა თქმა უნდა, ეს სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. თუმცა, აქ სწორედ ის იგულისხმება, რომ დიდი ხანია, ცივილიზებული სამყარო მივიდა დასკვნამდე - სამხედროები ექვემდებარებიან პოლიტიკოსებს. ჩვენს პრობლემებს, ზოგადად, ორ ნაწილად დავყოფდი: პირველი, არის გაწვევითი სისტემის იმ ფორმით შენარჩუნება, როგორიც დღეს გვაქვს, თუმცა მე, საერთოდ, გაწვევის წინააღმდეგი ვარ. ნაცვლად იმისა, რომ ჯარი გამხდარიყო სოციალური ერთიანობის და ევროპული, თანამედროვე გაგებით, ერის სამჭედლო, სადაც სხვადასხვა სოციალური წრის თუ ეთნიკური წარმომავლობის წარმომადგენლები ქართულ ჯარში ერთად იხარშებიან, ის სოციალური უფსკრულის ერთ-ერთ ყველაზე მახინჯ დემონსტრაციად იქცა. ჯარში ხვდებიან მხოლოდ იმ სოციალური წრის წარმომადგენლები, რომელთაც არა აქვთ საშუალება, იქ არ მოხვდნენ. პირიქით, ჯარმა ხაზი გაუსვა იმ წყლულს, რასაც ჩვენთან სოციალური და უფლებრივი უფსკრული ჰქვია.

მეორე პრობლემა ის გახლავთ, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს შიში ჯარის მიმართ. ლიბერალურ დემოკრატიებში, უკვე კარგა ხანია, იციან, რომ ჯარი პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერანაირ როლს ვერ ითამაშებს. ამ აზრმა ჩვენამდე ჯერ ვერ მოაღწია. სწორედ ამიტომ საუბრობენ სამხედრო თემებზე ხმადაბლა, ან საერთოდ არ საუბრობენ. ჯარი არ უნდა იყოს დამოკიდებული კონკრეტულ ფიგურებზე. შესაძლოა, საკადრო ცვლილებების დროს შეცდომებსაც ვერ ავცდეთ, მაგრამ ასეთ შეცდომებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, იქნება თუ არა ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობა. საზოგადოებას ამის შიში არ უნდა ჰქონდეს. თქვენ წინა მინისტრები და წარსული ახსენეთ. არავითარ შემთხვევაში არ მინდა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას სინდისი მოვწმინდო, მაგრამ შევარდნაძის ეპოქაში რაიმე სახის საზოგადოებრივი კონტროლი საერთოდ წარმოუდგენელი იყო.

ახალ ხელისუფლებას აქვს საშუალება, ამ სტრუქტურაში არსებულ პრობლემებს სხვაგვარად შეხედოს. რა თქმა უნდა, უნდა შეიცვალოს ხელმძღვანელობა. ამას როგორც პრაქტიკული, ისე ფსიქოლოგიური და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარტნიორი ქვეყნებისგან ყველაზე უფრო დიდი დახმარებისა და ყურადღების მოზიდვის შანსი საქართველოს სწორედ ჯარის მშენებლობის მიმართულებით აქვს. ექსპერტების შეფასებით, შემდგომი ორი წელი ამ სფეროსთვის გადამწყვეტი იქნება. ჩვენ ცოტა დრო დაგვრჩა იმისთვის, რომ დავადასტუროთ, გვსურს დასავლეთის გზით სიარული თუ არ გვსურს. ამიტომ, ჯარის მშენებლობაში ახალ ხელისუფლებას დროის დაკარგვის უფლება არა აქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს: ნატო-ში შესვლა იწყება იმითი, რომ ჯარში ტუალეტია საჭირო.

**დათო ტურაშვილი:** თავდაპირველად შევთანხმდეთ - საქართველოს არა აქვს ისეთი ფუფუნების უფლება, რომ უარი თქვას ჯარზე. მეორე მხრივ, თუ ჯარი გჭირდება, უნდა იცოდე რისთვის გჭირდება იგი. ძალიან ხანგრძლივი ისტორია გვაქვს ქართველებს, მაგრამ ჯარი, როგორც ასეთი, ჩვენ ვერც ერთხელ ვერ შევქმენით. ვგულისხმობ რეგულარულ ჯარს. დავით აღმაშენებელმა ჯარი ვერ შექმნა და იგი საგანგებოდ ჩამოყვანილი ყივჩაღებით დააკომპლექტა. შეიძლება, ეს ფრიად არასასიამოვნო მოსასმენია, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ფიქრობს, რომ უნდა მოკვდეს სამშობლოსთვის. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ სჯობს სამშობლოსთვის გაიმარჯვო. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ თუ გვინდა წარსული გავითვალისწინოთ, ამის გაკეთება ძნელია. მაგრამ გეოგრაფიას თუ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ჩვენთვის ჯარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როგორია დღევანდელი ჩვენი ჯარი? ერთი მხრივ, რამდენიმე კარგად გაწვრთნილი ელიტარული ბატალიონი და, მეორე მხრივ, მშიერი დანარჩენი ჯარი. როცა პირველად შემოიღეს გადასახადი ჯარიდან გათავისუფლებისთვის, მომეჩვენა, რომ ეს კარგია. არ გინდა ჯარში წასვლა, გადაიხდი და არ წახვალ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს უარესია და უფრო საშიშია. ანუ ჯარში წავიდნენ არა ისინი, ვისაც უნდა ჯარში წასვლა, არამედ - ვისაც ფული არ აღმოაჩნდა. ფაქტობრივად, ჯარში წასვლა ნიშნავს იმას, რომ სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ დონეზე ხარ. თუ ფული არა გაქვს, შენი სახელმწიფოს წინაშე იხდი ვალს, ხოლო თუ ფული გაქვს, შეგიძლია საკუთარი ქვეყანა და მისი მომავალი ფეხებზე დაიკიდო.

**ნიკა რურუა:** რადგან ნოლიდან ვიწყებთ, მაშინ ჯარის იდეაც თავიდან უნდა გავიაზროთ. ჯარის საჭიროება გააზრებული არა გვაქვს არამარტო საზოგადოებას, ეს თვით ჯარის მმართველ სტრუქტურებშიც კი არ იციან. ჩვენს ხელისუფლებას ჯარის მუდამ ეშინოდა, რაც ჯარს ასუსტებდა, არ ანვითარებდა... ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს, უნდა მორჩეს ეს ფარისევლობა. ადამიანი, რომელიც დღეს ჯარშია, თავს დასჯილად გრძნობს. ის გრძნობს, რომ სოციალურად დაბალ საფეხურზეა.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში არმია იდეოლოგიურად ნეიტრალურია და ჩვენც ამისკენ უნდა ვიაროთ. ნებისმიერ პოლიტიკურ ცვლილებას მან უნდა გაუძლოს. ამ მხრივ, დღევანდელმა ჯარმა თავისი გამოცდა ჩააბარა, პოლიტიკურ კრიზისში არ ჩაერია.

**- ინაუგურაციის დღეს მიხეილ სააკაშვილი აღლუმებს ჩაიბარებს თბილისში, ბათუმში, ფოთში... რა არის ეს - ხელისუფლების მცდელობა აჩვენოს, რომ არმია და ხალხი ერთია, თუ პირიქით, სამხედროების ინიციატივაა აჩვენონ, რომ ისინი ჭირსა და ლხინში დღევანდელი ხელისუფლების გვერდით არიან?**

**ნიკა რურუა:** ეს არის პოსტრევოლუციური შიშების გამოხმაურება. ახალმა ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ ის ძლიერია, რაც მხოლოდ და მხოლოდ მიანიშნებს იმაზე, რომ სინამდვილეში იგი არც ისე ძლიერია და საზეიმო აღლუმები მას მხოლოდ სისუსტის დასაფარად სჭირდება. მეორე შემთხვევაში ეს არის, უბრალოდ, პირადი გემოვნების საკითხი. ინაუგურაციისთვის აღლუმი აუცილებელი არ არის, მაგრამ ამჟამინდელ პრეზიდენტს ეს ასე უნდა, მან ეს დაგეგმა. აშშ-ში ინაუგურაციაზე სამხედროები საერთოდ არ მონაწილეობენ. ჩვენს შემთხვევაში შეიძლება ეს სისუსტის გამო ხდება, რაც, ჩემი აზრით, მისატევებელია არსებულ სიტუაციაში.

**გიგა ბოკერია:** ვფიქრობ, ეს მხოლოდ იმის დემონსტრაციაა, რომ ის ძალები, რაც გვაქვს, როგორიც გვაქვს, ამ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ემორჩილება. ამას მე, თქვენგან განსხვავებით, ასე ნეგატიურად არ შევხედავდი. თუ ამის დემონსტრირებისთვის ჩვენს ახალ პრეზიდენტს ასეთი აღლუმი სჭირდება, პრობლემას ვერ ვხედავ. პრობლემა იქნება მაშინ, თუ ინაუგურაციის შემდეგ იმ სტრუქტურებში, რომელთაც სამხედრო სფეროში ცვლილების განხორციელება ევალებოდათ, არ მოხდება ჯერ პერსონალური, და შემდეგ - სისტემური ცვლილებები. აი, ეს უკვე ძალიან სერიოზული პოლიტიკური პრობლემა იქნება. რევოლუციის შემდგომი პერიოდისთვის რაიმე დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ძნელია, თუმცა ძალიან მალე შესაძლებელი იქნება.

**- რა განსხვავებული ფუნქციები ექნება ახალ, სამოქალაქო თავდაცვის მინისტრს?**

**ნიკა ჯანჯღავა:** სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის მოსვლა ფუნქციების გამიჯვნას ნიშნავს. იქნება გენერალური შტაბის ხელმძღვანელი და სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი. სამოქალაქო მინისტრის ფუნქცია იქნება ბიუჯეტი, ფინანსები, შესყიდვები, საგარეო ურთიერთობების განსაზღვრა, ნატო-სთან ურთიერთობა-ინტეგრაცია. გენერალური შტაბის ხელმძღვანელის ფუნქცია იქნება სამხედრო აღმშენებლობა, საბრძოლო მომზადება, საბრძოლო ოპერაციები, წვრთნა და ა.შ. სისტემა უნდა იყოს ძალიან მარტივი. ჩვენ ძალიან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ბალტიისპირეთისგან, რომელმაც ეს ნაბიჯი რამდენიმე წლის წინ უკვე გადადგა. ფუნქციების დანაწილება ორხელისუფლებიანობას არ გამოიწვევს. გენერალური შტაბის უფროსი ემორჩილება სამოქალაქო თავდაცვის მინისტრს და, ამავე დროს, იგი პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველია. მინისტრს გენშტაბის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლება არ შეუძლია. მას ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო მინისტრის დანიშვნისთანავე დაინერგოს ჩვენთან არარსებული ტრადიცია - სამხედროები პოლიტიკოსების ქვეშევრდომები არიან. არ არის აუცილებელი, თავდაცვის მინისტრს სამხედრო ცოდნა ჰქონდეს. მისი ამოცანა ბატალიონის, ბრიგადის ან დივიზიის ტაქტიკა არ არის. მისი ფუნქციაა დაგეგმარება და კონტროლი, რომ ფული, რომელიც გამოყო სახელმწიფომ, მიზანმიმართულად დაიხარჯოს.

**- რაც შეეხება დაფინანსებას. მერამდენე წელია, თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ფინანსთა სამინისტროს "ეომება" და მუდამ მწირ დაფინანსებაზე ჩივის...**

**ნიკა ჯანჯღავა:** არც ერთი წუთით არ დაიჯეროთ. საუბრები იმის შესახებ, რომ ჯარში ფული არ არის, უბრალოდ მითოლოგიაა. ფული არის, მაგრამ ჩვენ მას არასწორად ვიყენებთ. ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა, სადაც ფორმებს მარტო გენერლებს უკერავენ, ჩვენი ჯარისკაცი კი ჩექმების გარეშე დადის. საუბარია იმაზეა, რომ თავდაცვის სამინისტრო მომავალ წელს 200 მილიონ ლარს ითხოვს. ეს არარეალურია, აბსურდია. მთავარია, პოლიტიკოსებმა ისწავლონ ის, რაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში დიდი ხანია იციან: არასოდეს არ უნდა ჰკითხო სამხედროს, რამდენი სჭირდება ფული. ყოველთვის უნდა უთხრა: ჩვენ გვაქვს ამდენი და ეს შენ უნდა გეყოს. ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა ნატო-ს წინაშე, ივლისში ვუშვებთ ბატალიონს ერაყში, მაშინ, როცა არა გვაქვს თანხა, რომ გადავუხადოთ იმ ხალხს, ვინც დღეს იმყოფება იქ. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას ნატო-ს წინაშე და შემდეგ ამას სხვაგვარად ვიყენებთ. ეს ფული მიდის გარკვეული ბანკების მიმართულებით, სადღაც იკარგება... შევხედოთ რეალურად, საქართველოში თითქმის ყველგან, სამხედრო ქალაქების ინფრასტრუქტურა განადგურებულია, გაყიდულია და ამ ფულის პოვნას ბიუჯეტში ნამდვილად ვერ შეძლებთ, სადღაც დაიკარგა.

კიდევ ერთი საკითხი: რატომ "იძაჩებიან" ჩვენი გენერლები 24-ათასიან ჯარზე მაშინ, როცა რეალურად სამჯერ და ოთხჯერ ნაკლები გვყავს. იმიტომ, რომ ათას კაცზე, თურმე, უნდა გვყავდეს ერთი გენერალი. ახლა იმ აბსურდამდე მივედით, რომ ყოველ ბატალიონში, ას კაცზე ერთი გენერალი უნდა გვყავდეს. ეს არც ერთ აფრიკულ ქვეყანაში არ ხდება. ჯარისკაცი სიცოცხლის წყაროა გენერალიტეტისთვის. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. ჩემი ოცნებაა, საქართველოს ჯარში იმსახუროს თავისუფალმა ადამიანმა იმიტომ, რომ თავისუფალ ადამიანს შენ ვერ აკადრებ იმას, რასაც დღევანდელ ჯარისკაცს უკეთებენ. ჯარი არის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ორგანიზაცია მსოფლიოში. როცა ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ჯარში გაწვევა არ გახდება ტრაგედია ოჯახისთვის და ციხეში წასვლის ტოლფასი არ იქნება, ჩვენ შევქმნით რეალურ ჯარს.

**კობა ლიკლიკაძე:** მთავარი ამოცანა, რაც სამოქალაქო მინისტრმა, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბრძანებით, უნდა შეასრულოს, ეს არის გათვლა ყველა რესურსისა - რისი შენახვა შეუძლია, რეალურად, საქართველოს ბიუჯეტს, თუნდაც იმ დიდი დახმარებების გათვალისწინებით, რასაც ჩვენ ვღებულობთ. მან ასევე უნდა მოახდინოს სამხედრო ძალების ოპტიმიზაცია. და ბუნებრივია, ახალი მინისტრის მოსვლასთან ერთად, უნდა მოხდეს კადრების გაწმენდა. ეს უნდა მოხდეს უმტკივნეულოდ. საჭიროა მათი დასაქმება. არის პროგრამები, რომლებსაც ბრიტანელები ახორციელებენ, მოხდება ამ ადამიანების გადამზადება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თუნდაც ერთი წლით შევაჩეროთ გაწვევა (სხვათა შორის, უკრაინამ ეს შეძლო) და ჩვენი ჯარის მშენებლობა დავიწყოთ რეალური საწყისებიდან, სამიოთხი ათასი კაციდან.

**დავით უსუფაშვილი:** სამოქალაქო მინისტრი სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ ჯარის დეპოლიტიზება მოხდეს. მინისტრი - ეს არის გარკვეული პოლიტიკური გუნდის წევრი, რომელიც მიდის, მოდის. მთავარი ამოცანა სწორედ ის არის, რომ მეორე მხარე - სამხედროები - სტაბილურნი უნდა იყვნენ, მათი ბედი მინისტრის შეცვლაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. პოლიტიკური გუნდის შეცვლა არ უნდა იწვევდეს ბატალიონის მეთაურის შეცვლას. ჯარი, სამხედროები, პოლიცია და მსგავსი სტრუქტურები მაშინ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას, როცა ნებისმიერ მთავრობას ერთნაირი თავდადებით ემსახურებიან. ხოლო როგორი მთავრობა იქნება, ეს უკვე ხალხის გადასაწყვეტია.


გოგა ხაინდრავა


ნიკა ჯანჯღავა


დავით უსუფაშვილი


გიგი თევზაძე


გიგა ბოკერია


დათო ტურაშვილი


ნიკა რურუა


კობა ლიკლიკაძე

მარიკა ბაბაძის ფოტოები

www.24hours.ge
24
B

# ვარდის სახელი

## საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური პორტრეტისთვის

დავით ზურაბიშვილი

*დაახლოებით ცხრა წლის წინ, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, როდესაც ედუარდ შევარდნაძე რეალურად უკონკურენტო ფავორიტი იყო, ხოლო ფორმალურად ისეთი კონკურენტები ჰყავდა, რომელთა ყოფნას ისევ არყოფნა ჯობდა, ამჟამინდელმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, მაშინ კი რესპუბლიკური პარტიის გაზეთ "საქართველოს" რედაქტორმა, ნოდარ გრიგალაშვილმა მითხრა:*
*- იქნებ, რესპუბლიკელებსაც წამოეყენებინათ თავისი კანდიდატი: ვინმე ნიჭიერი ახალგაზრდა. რა თქმა უნდა, შევარდნაძეს დღეს ვერ მოუგებს, მაგრამ სამომავლო პერსპექტივაზე იქნებოდა კარგი განაცხადი - ახალი სახე ქართულ პოლიტიკაში!*
*- მერე სადაა ასეთი ახალი სახე?*
*- არის ერთი. პროფესიით იურისტია. ამერიკაში დაამთავრა უნივერსიტეტი და ახლა ნიუ-იორკში მუშაობს. ხანდახან ჩვენს გაზეთშიც წერს. ყოველმხრივ კარგი კანდიდატურაა, ოღონდ ასაკობრივი ცენზი არ უწყობს ხელს. ძალიან ახალგაზრდაა.*
*- რა გვარია?*
*- მისი სახელი და გვარი ბევრს არაფერს გეტყვის: მიხეილ სააკაშვილი...*

ეს დიალოგი, ალბათ, არც დამამახსოვრდებოდა, რომ არა ის, რაც მერე მოხდა, ხოლო რაც მოხდა, ყველამ იცის.

რესპუბლიკელთა გაზეთის რედაქტორი ბევრად უკეთესი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა, ვიდრე ის პროფესიონალი ასტროლოგი, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, არცთუ სახარბიელო პერსპექტივას რომ უქადდა ნაციონალური მოძრაობის ლიდერს სხვადასხვა ტელეარხებიდან.

დღეს მიხეილ სააკაშვილს ყველა აღიარებს. მისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე ისეთივე უალტერნატივო იყო, როგორც ზვიად გამსახურდია 1989 და ედუარდ შევარდნაძე 1995 და 2000 წლებში. სხვათა შორის, როდესაც ანალიტიკოს-მიმომხილველები სააკაშვილზე ლაპარაკობენ, ორივე ექსპრეზიდენტის სახელი ხშირად ფიგურირებს. ერთნი მას გამსახურდიას ადარებენ, სხვები "შევარდნაძის სკოლის" წარჩინებულ კურსდამთავრებულად თვლიან, არადა, როგორც პოლიტიკური ლიდერი, სააკაშვილი რადიკალურად განსხვავდება მისი წინამორბედი პრეზიდენტებისგან.

და ყველაზე მთავარი, რაც მკვეთრად გამოარჩევს მიხეილ სააკაშვილს არა მარტო ახლო წარსულის, არამედ დღეს მოქმედი პოლიტიკოსების პლეადიდან, არის არატიპურობა და არასტანდარტულობა. შეიძლება ძალიან ბევრი ვილაპარაკოთ მის ქარიზმატულობაზე, თითქმის უმცდარ ინტუიციაზე თუ ორატორულ ოსტატობაზე, არანაკლებ ბევრი შეიძლება ვიმსჯელოთ მის იმპულსურობაზე, პოპულისტურ გადახრებზე თუ კრიტიკის მიმართ მოუთმენლობაზე, მაგრამ ასეთი ჩაღრმავებები არსებითად არაფრის მომცემია. ამით ვერაფრით ავხსნით ვერც მის უმაგალითო წარმატების - ამერიკაში ნასწავლი ახალგაზრდა იურისტობიდან საქართველოს პრეზიდენტობამდე - საიდუმლოს და ვერც მოსალოდნელ პერსპექტივებსა და საფრთხეებს გავაცნობიერებთ. მთავარი სწორედ სააკაშვილის არატიპურობაა, რადგან ტიპური ქართველი პოლიტიკოსი ვერასდროს გახდებოდა "ვარდების რევოლუციის" ლიდერი.

თანამედროვე ქართული პოლიტიკა სხვა ნაციონალური თავისებურებების გარდა ორი განსაკუთრებული თვისებით გამოირჩევა. პირველი, ესაა პრინციპის რანგში აყვანილი უპრინციპობა. ტიპურ ქართველ პოლიტიკოსს არაფრად ულირს, აგინოს იმას, ვინც გუშინ ცაში აჰყავდა; მიწასთან გაასწოროს ის, ვისაც გუშინ ხოტბას ასხამდა; მგზნებარედ დაუჭიროს მხარი იმას, რის წინააღმდეგაც გუშინ მხურვალედ ილაშქრებდა და თან წარბშეუხრელად ამტკიცოს, მაშინაც მართალი ვიყავიო. ტიპური ქართველი პოლიტიკოსი ყოველთვის მართალია, იმიტომ, რომ ის ყოველთვის ტყუის, მაშინაც კი, როცა სიმართლეს ამბობს.

მეორე მთავარი თვისება, რომელიც ტიპურ ქართველ პოლიტიკოსს ახასიათებს, არის კულუარული ინტრიგების კულტი. მას გულწრფელად სწამს, რომ პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ განდობილთა ვიწრო წრეში ტრიალი, გავლენიან მოთამაშეთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ინტერესთა ბალანსირება. ის ვერასოდეს ავლებს ზღვარს პოლიტიკასა და ინტრიგანობას შორის. სხვათა შორის, მისი ზღვარდაუდებელი უპრინციპობაც აქედან მოდის: შენიანები (და შენნაირები) ყველანაირ ფერისცვალებას მშვიდად შეხვდებიან, რადგან ასეთია თამაშის წესი - საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნილებების სრული უგულვებელყოფა.

- ეს კაცი საშიშია საზოგადოებისთვის, - თქვა ედუარდ შევარდნაძემ მიხეილ სააკაშვილზე "ვარდების რევოლუციამდე" ცოტა ხნით ადრე. 4 იანვარს კი, იგივე შევარდნაძე საარჩევნო უბანში მივიდა და თვალიც არ დაუხამხამებია, ისე განაცხადა, სააკაშვილს ვაძლევ ხმასო.

შევარდნაძე სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. ის ყველაზე ტიპური ქართველი პოლიტიკოსი გახლდათ ტიპურ ქართველ პოლიტიკოსებს შორის. ამიტომაც იყო ასე დიდხანს წარმატებული. მიხეილ სააკაშვილი პრინციპულად სხვა ტიპის ფენომენია. ის იყო ერთადერთი, ვინც მკვეთრად გაემიჯნა კაბინეტური ინტრიგების პოლიტიკას და ხალხის მოთხოვნილებები დასახა ძალაუფლების წყაროდ. რაც მთავარია, გაემიჯნა ისე, რომ არ დაუკარგავს პოლიტიკური პრაგმატიზმი და არ გადავარდნილა რომანტიზმში. მან ასევე შეძლო მეტ-ნაკლები პრინციპულობის შენარჩუნება, შეძლო ისე, რომ არ დაუკარგავს კომპრომისების უნარი.

შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილმა ბეწვის ხიდზე გაიარა, ერთი მხრივ, რომანტიკული იდეალიზმისა და სწორხაზოვნების სქილას, მეორე მხრივ კი, სასახლის კარის ინტრიგანობისა და პოლიტიკური პროსტიტუციის ქარიბდას შორის. სწორედ ამ "სამეუფო გზის" არჩევანმა განაპირობა მისი თავბრუდამხვევი ზესვლა. სააკაშვილი არასოდეს ყოფილა "სისტემის კაცი," ამიტომ დღევანდელი მმართველი ნომენკლატურისთვის - ტიპური ქართველი პოლიტიკოსებისთვის - ის კლასობრივი მტერია. ნომენკლატურაში, ანუ იმ ხალხში, ვისაც დღემდე მიჰყავდა პარადი საქართველოში, სააკაშვილს არანაირი დასაყრდენი არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს. ყოველ შემთხვევაში ისეთ სააკაშვილს, როგორიც ის აქამდე იყო.

და დღეს, მისი პოლიტიკური კარიერის პიკზე, მიხეილ სააკაშვილისთვის ჭეშმარიტების მომენტი დგება. თავისი არატიპურობიდან და არასისტემურობიდან გამომდინარე, ის ერთადერთი ლიდერია დღევანდელ საქართველოში, ვისაც რეალურად შეუძლია თამაშის წესების შეცვლა, რადიკალური სოციალ-ეკონომიკური რეფორმების გატარება, რის გარეშეც არც ამ ქვეყანას და არც მის ხელმძღვანელობას მომავალი არასოდეს ექნება. იქნება მხოლოდ აწმყო, რომელიც არასდროს არ გვწყალობს. მეორე მხრივ კი, არის რეალური საფრთხე. საფრთხე იმისა, რომ ზღვა პრობლემების წინაშე დამდგარი პოპულარული პრეზიდენტი, არსებული ადმინისტრაციული რესურსის უვარგისობის ფონზე, ელემენტარულად შეეცდება ცუდი სისტემის კარგი მიზნებისთვის გამოყენებას, შეეცდება მაქსიმალური ძალაუფლების კონცენტრირებას, პასუხისმგებლობის მაქსიმალურად არიდებას და პოპულისტური ფოკუსებით მანიპულირებას.

იმ სისტემაში, სადაც ყველაფერი მოშლილია, ასეთი ტიპის ცდუნება ყველა ხელმძღვანელის წინაშე დგება. არადა ძალაუფლება, როგორც ცნობილია, რყვნის, მით უმეტეს, ისეთი ძალაუფლება, რომელიც ყველაფრის უფლებას გაძლევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, დღეს სააკაშვილისთვის მთავარია მისი არატიპურობისა და არანომენკლატურობის შენარჩუნება. ეს არ არის ადვილი საქმე. ეს მოითხოვს ძველ სისტემაზე პრინციპული უარის თქმას, ახალ იდეებს და ახალ ხალხს, მაგრამ ამის ალტერნატივა მხოლოდ ერთია: თუკი სააკაშვილი მოინდომებს უპრინციპო ინტრიგანებისა და გავლენიანი ოლიგარქების დაბალანსებას, მისი მმართველობა კატასტროფით დამთავრდება, რადგან ერთადერთი, რაზედაც დღეს პრეზიდენტის ავტორიტეტი დგას, არის ხალხისა და საზოგადოების (არა ნომენკლატურის) მხარდაჭერა.

და თუ სააკაშვილს ეყოფა სიმტკიცე და არ დაჰყვება სისტემის გამოყენების ცდუნებას, მისი მმართველობა მართლაც შეიძლება გახდეს ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის დაფუძნების ხანა. და აქ საზოგადოებასაც შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი, თუნდაც იმით, რომ იყოს ისეთივე აქტიური და მომთხოვნი, როგორც სულ ცოტა ხნის წინ, ნოემბრის წვიმიან დღეებში. ქართული რევოლუციის მრავალსახელიანი სიმბოლო ვარდი, ისევე შეიძლება გაიფურჩქნოს, როგორც დაჭკნეს. და დღეს, საქართველოს ახალი პრეზიდენტის უმთავრესი გამოწვევაც სწორედ ეს არის - როგორ შემორჩება შთამომავლობას ვარდების რევოლუციის სახელი.















"24 საათის" ფოტოარქივი



# აფიშა

## თეატრი

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
"აბესალომ და ეთერი"
ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
ალექსანდრე ოსტროვსკი
"ბალზამინოვის ქორწინება"
რეჟისორი: ნინო ლიპარტიანი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ძია ვანია"
რეჟისორი ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
აკა მორჩილაძე
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე.
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ალექსანდრე ვამპილოვი
"მონადირე"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ

## კლუბები

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
კომპანია "შედოუქეთი" წარმოადგენს:
ლონდონის ერთ-ერთი საუკეთესო პროგრესული დი-ჯეის დაბრუნება
Phil Moonface Thompson
Back2Tbilisi party
კლუბის გახსნა 22:00 სთ.
ფასი 25 ლარი

## კინო

**რუსთაველი**
"სად არის ნემო"
(ქართულ ენაზე)
დას: 14:00; 16:00 სთ.

"ძალიან საშიში კინო 3"
დას: 12:00; 18:00; 20:00 სთ.

**ამირანი**
"ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება"
დას: 10:00; 13:30; 17:00; 21:00 სთ
ფასი: 5-12 ლარი

## გამოფენა

**"კოპალა"**
ჟანრი ლოლაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა 15 საათზე

**გოეთეს ინსტიტუტი**
შტეფან მოზესის ფოტოსურათების რეტროსპექტივა

**TMS**
ბიძინა გუჯაბიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

**"შარდენი"**
სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ალექსი (ალი) ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

# ავანგარდისტი დიზაინერის პოლიტიკური პოდიუმი





*კოლექციის ჩვენება ხელოვნების მუზეუმში 1996 წელი.*

თეონა ჯაფარიძე

ქართულ კულტურულ სივრცეში სასიამოვნო სიახლეებისა თუ ტენდენციების აღმოსაჩენად პრეზიდენტის ინაუგურაციის სამზადისისათვის თვალის შევლებაც კი კმარა. საზეიმო კონცერტი წინა ხელისუფლების პროდუქტის – ქართული ესტრადის ვარსკვლავების გარეშე, კლასიკური ფორმით ჩატარდება. ეს უკვე ახალი ხელისუფლების პოზიციის, სიმპათია-ანტიპათიისა და გემოვნების გამოვლენის და გამოცდის ერთგვარი საშუალებაა.

საინტერესო არჩევანი გაკეთდა ინაუგურაციის სცენოგრაფიულ გადაწყვეტაშიც: გელათის ტაძარში, მთავრობის სასახლესა და რესპუბლიკის მოედანზე გამართულ საზეიმო რიტუალს დიზაინერი გიორგი ნადირაძე გააფორმებს. რა საერთო აქვს ავანგარდული მოდის დიზაინერს პრეზიდენტის ინაუგურაციასთან? - შესაძლოა, სწორედაც რომ ავანგარდი.

დიზაინერს გრიბოედოვის თეატრის სახელოსნოში შევხვდით. ისის იყო ამთავრებდა მსახიობ ზურა ყიფშიძესთან მუშაობას. როგორც აღმოჩნდა, დეკორაციების გარდა, ის ოპერის თეატრში გამართული გალა კონცერტის წამყვანებისთვის, მსახიობების – მარინა კახიანისა და ზურა ყიფშიძისათვის ამზადებს კოსტუმებს.

გიორგი ნადირაძეს აქამდე ანდერგრაუნდული პოდიუმებით, არასტანდარტული მოდელებით, არაორდინარული მასალითა და დახვეწილი ექსტრავაგანტულობით იცნობდა საზოგადოება. მასალის მომზადების დროს თვალი გადავავლე ძველ ვიდეოფირებს და მისი, დაახლოებით, შვიდი წლის წინანდელი დეფილეს ვიდეოვერსია აღმოვაჩინე: ხელოვნების მუზეუმის მკაცრად კლასიკურ სივრცეში, მინიატურულ ქანდაკებებს შორის ნადირაძის საკმაოდ ექსტრავაგანტული მოდელები დააბიჯებენ. ერთ-ერთი მათგანის კაბას (უფრო ზუსტად კი, საჯდომს) უზარმაზარი წითელი ვარდი ამშვენებს, მოდელს ხელშიც წითელი ვარდი უჭირავს... ეს ისე...ისტორიისა და საერთო წარმოდგენისათვის.

გუშინ კი სახელოსნოში დიზაინერი და მისი "მოდელი" ზურა ყიფშიძე სმოკინგზე საუბრობდნენ. მაინც რას ჩააცმევს გიორგი ნადირაძე ასეთ საპასუხისმგებლო "დეფილეზე" თავის ორ "მოდელს"? - "სმოკინგსა და საღამოს კაბას. მარინას კაბა სპილენძისფერ ტონებში იქნება გადაწვეტილი; მასალა კომბინირებულია - ხავერდი, ველვეტი, ორგანზა; კაბა, რა თქმა უნდა, ვარდებიანი იქნება,"- ამბობს დიზაინერი და შემდეგ დასძენს: "ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მსგავსი რამის გაკეთება მომიწევდა. ამ პასუხისმგებლობას თანდათან უფრო ვაცნობიერებ. წინასწარ დამჭირდა წესების, ტრადიციებისა და პროტოკოლის გაცნობა. პრაქტიკული სამუშაოები ორი კვირის წინ დავიწყე. დეკორაცია, ძირითადად, ეროვნული დროშის ფერებში - წითელსა და თეთრ ფერში იქნება გადაწყვეტილი".

დეკორაციის შექმნისას მას თეატრალური გამოცდილება დაეხმარა - გიორგის საკმაოდ ბევრი სპექტაკლი აქვს გაფორმებული მარჯანიშვილის, "თავისუფალ" თუ გრიბოედოვის თეატრებში. თეატრალური სივრცე ხომ ცოტათი კიდევაც ენათესავება პოლიტიკურ სივრცეს; და, გადატანითი მნიშვნელობით თუ არა, პირდაპირი მნიშვნელობით მაინც, ინაუგურაციის სცენა და პოდიუმი, ფაქტობრივად, ხომ სცენა და პოდიუმია, ოღონდ - პოლიტიკური.

# "საქართველო ანგელოზების ქვეყანაა"

### ფერეიდნელი ქართველი მხატვრის გამოფენა

თეონა ჯაფარიძე



*გამოფენის გახსნაზე. მარჯვნივ ალი ასლანიშვილი.*

პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს რუსთაველის გამზირზე გამართულ საყოველთაო ზეიმს მოკრძალებულად შეუერთდება ერთი გამოფენა სურათების ეროვნული გალერეიდან. "გამოფენა გულწრფელად მივუძღვენი ამ დღეს. ნოემბრის დღეებში დღისით დროშა მეკავა და ღამით ვხატავდი; ოღონდ გული მტკივა: როცა ადამიანები გულწრფელად ვიწყებთ გრძნობების გამოხატვას, ქართველებს ეჭვის ჭია გვღრღნის ხოლმე და იწყება გამოკვლევა - ვინ ვის ბანაკშია," - ამბობს ალექსი (ალი) ასლანიშვილი - ფერეიდნელი ქართველი. ის ირანში, ისპაჰანის ოლქის ქართულ სოფელ ჩუღურეთში დაიბადა. მისი ოჯახი დანარჩენ 13 ქართულ ოჯახთან ერთად ოცდაათი წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში. ალი საქართველოში მხატვარი, უფრო კონკრეტულად კი, ფერმწერი გახდა (მან თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი დაამთავრა).

ალი (ასე ეძახიან მას ქართველი მხატვრები) ფერის არაჩვეულებრივი შეგრძნებითაა დაჯილდოებული; ძალიან უყვარს სამშობლოც. საქართველოზე სევდა აქაც არ ასვენებს ადამიანს, რომელმაც 15 წლის ასაკში დატოვა თავისი მეორე სამშობლო – ირანი; და აი, რატომ: ირანის სამ რაიონში ხორასანში, ფერეიდანსა და მაზანდარანში ჩასახლებული ქართველებიდან გასულ საუკუნემდე ქართველობა მხოლოდ ფერეიდნელ ქართველებს შეუნარჩუნებიათ. მათ თავი ზაგროსის მთებისთვის შეუფარებიათ და ლოკალურად დასახლებულან, არ ათქვეფილან ირანელებში, არ გაფანტულან და ყველაზე საამაყო - ქართული ენა შემოუნახავთ. დღეს, როგორც ალი ამბობს, საყოველთაო "გლობალოზაციამ" მთის სოფლები დააცარიელა. ქართველების ლოკალური დასახლებაც ზაგორსის მთებში უკვე დაშლილა - ზოგს ისპაჰანისათვი, ზოგს კი თეირანისათვის შეუფარებია თავი. ფერეიდნელი ქართველების ახალი თაობა ოთხი საუკუნის მანძილზე შემონახულ ქართულ ენას, ფაქტობრივად, კარგავს. ალის საქართველოს ახალ მთავრობასთან სათხოვარი აქვს: "ქართველობა ვისაც ეამაყება, მხოლოდ მათთვის დავუშვათ გამონაკლისი და ორმაგი მოქალაქეობა მივცეთ. ირანში ცნობილი ფაქტია, რომ ფერეიდნელ ქართველებს შორის ან ფერეიდნელი ქართველებისგან სისხლის დაღვრის პრეცედენტი არასოდეს არ ყოფილა. ჩვენები, ძირითადად, სამხედრო უწყებებში ან კომერციულ ბანკებში მუშაობენ და დღემდე ბავშვურად სჯერათ, რომ საქართველო ანგელოზების ქვეყანაა," - ამბობს ალი.

ზემოთ ვახსენე, ალის ფერისა და სამშობლოს მიმართ გამძაფრებული შეგრძნება აქვს-თქო. სურათების ეროვნულ გალერეის მარცხენა ფლიგელში მისი მოზრდილი ტილოებია გამოფენილი, ცენტრში კი - ფერწერული მინიატურები, უფრო ზუსტად, აბსტრაქტული პეიზაჟებია წარმოდგენილი. გამოფენაზე მისული უამრავი მხატვარი განსაკუთრებულად სწორედ ამ მინიატურებმა აღაფრთოვანა. "აღმოსავლური ხელოვნებაა, ოღონდ - რეალისტური ტექნიკით შესრულებული. ეს კოლორიტია," - დამახასიათებელი არტისტიზმით გამოთქვამდა თავის აღფრთოვანებას, მართლაც, კოლორიტული მხატვარი ჯოვანი ვეფხვაძე.

თავად ალიმ თავისი დიდი ტილოები მიჩვენა: "ეს მთათუშეთია. შატილიდან ომალომდე ერთი თვე ზურგჩანთით ვიმოგზაურე. აქ უფრო ცივი მთაა. ირანში კი ცხელი, გავარვარებულია მთაცა და მიწაც. როცა ვხატავ, გონებაში გავარვარებული, გარუჯული მთის ფერები მაქვს ჩაბეჭდილი. ამიტომაა ჩემი ფერწერა ენერგიული".

# სტურუას დებიუტი დიდ თეატრში



კლასიკურ ტრადიციებზე დაფუძნებულია ჩაიკოვსკის ოპერის "მაზეპას" სასცენო დადგმა, რომლის პრემიერას მოსკოველი აუდიტორია 30 იანვარს იხილავს. ამის შესახებ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ. სწორედ ეს სპექტაკლი იქნება დიდ თეატრში მისი სადებიუტო ნამუშევარი. როგორც ცნობილია, სტურუას ასზე მეტ დადგმას შორის ყველაზე მცირე რაოდენობით სწორედ საოპერო წარმოდგენებია. "როდესაც ჩაიკოვსკის შედევრს მივადექი, პირველ რიგში კომპოზიტორის სტილით ვიხელმძღვანელე", - თქვა რობიკო სტურუამ და დაამატა, რომ ოპერაში უმთავრესი მუსიკაა. საკუთარ დანიშნულებას კი რეჟისორი დამხმარე როლის შემსრულებლად მიიჩნევს. სტურუამ მაღალი შეფასება მისცა წარმოდგენაში მონაწილე მსახიობთა დასსა და დირიჟორ ალექსანდრე ტიტოვს.

"მაზეპაზე" ძირითადად ქართულმა შემოქმედებითმა კოლექტივმა იმუშავა. მათ შორის არიან: მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი და ბალეტმეისტერი გიორგი ალექსიძე.

წელს 120 წელიწადი სრულდება "მაზეპას" პირველი პრემიერადან. ამ დადგმაზე კომპოზიტორი 1881-დან 1883 წლამდე მუშაობდა. საიმპერატორო თეატრების დირექციის ინიციატივით ოპერა ერთდროულად მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში მზადდებოდა. მას შემდეგ "მაზეპა" დიდ თეატრში შვიდჯერ დაიდგა და თითქმის მუდმივად იყო თეატრის რეპერტუარში. თეატრის დირექციის თქმით, უკანასკნელი წარმოდგენა (რობერტ სტურუას რეჟისურით) 700 ათასი ამერიკული დოლარი დაჯდა.

# მინანქრის სამკაული „ორნამენტისგან"

ნინო ყიფიანი



*გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა.*

გუშინ, საღამოს გალერეა "ორნამენტის" მიმდებარე ტერიტორიაზე, ანუ ერეკლე მეორის ქუჩაზეც კი შეუძლებელი იყო გავლა. მინანქრის გალერეა "ორნამენტში" მინანქრის მორიგი გამოფენა გაიხსნა - სახელწოდებით "თაობა". გამოფენის გახსნიდან ერთი საათის შემდეგაც დამთვალირებელთა ნაკადი არ წყდებოდა. ვიტრინებთან კი ცოცხალი რიგები იდგა.

გუშინდელ ექსპოზიციაზე ნაკლებად იყო გამოფენილი შუა საუკუნეების ქართული ტიხრული მინანქრის ასლები და ვარიაციები საეკლესიო თემატიკაზე. როგორც ჩანს, ისინი ნაკლებ კომერციულია. სამაგიეროდ, ქალის სამკაულების დიდი არჩევანი იყო - ორიგინალური ფორმების მქონე საყურეები, გულსაბნევები, ყელსაბამები. გამოფენილი იყო მცირე ზომის, დეკორატიული, ფერადი კომპოზიციები, რომლებიც დამუშავებით ფერწერას წააგავდა.

გალერეა "ორნამენტი" 2000 წელს დაარსდა და მას შემდეგ წელიწადში ორჯერ მართავს თანამედროვე მინანქრის გამოფენებს. გალერეასთან მინანქრის შემსწავლელი სკოლა-სახელოსნო ფუნქციონირებს, სადაც უკვე ცნობილი ავტორები - თეა გურგენიძე, პაატა პაატაშვილი და ზაზა ლოდია მსურველებს მინანქრის ტექნოლოგიას ასწავლიან.

ბოლო ხანია, მცირე ხელოვნების ამ დარგზე ნამდვილი ბუმია. რაც ყველაზე სასიხარულოა, პოპულარული ავტორები მუდმივად ახალი ფორმების ძიებაში არიან. "ამ ოსტატების შემოქმედებითი აქტივობა, მათი რთული ძიებები ხელოვნების ამ დარგის არა მხოლოდ აღდგენის, არამედ განახლების თვალსაზრისითაც წარმატებით დაგვირგვინდა. დღეს სრული უფლება გვაქვს, ვილაპარაკოთ ქართული მინანქრული ხელოვნების, ზოგადად, მაღალ დონეზე. ოსტატებმა შესანიშნავად აითვისეს ტექნიკური დახელოვნების ყველა ნიუანსი - გააფართოვეს თემატიკა, გაამრავალფეროვნეს მინანქრის მხატვრული გამომსახველობის ხერხები," - ამბობს შუა საუკუნეების ქართული ტიხრული მინანქრის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე, ლეილა ხუსკივაძე.

გუშინ დამთვალირებელთა შორის ბევრი იყო პოტენციური მყიდველი. მაგრამ, ჭყლეტის პირობებში, ვაჭრობა გამორიცხული იყო და გალერეის თანამშრომლები შემდეგი დღისთვის იბარებდნენ შეძენის მსურველებს. გამოფენილი ნივთების ღირებულება არ იყო მითითებული. თუმცა, როგორც გალერეის თანამშრომლებმა თქვეს, ნივთების ფასი 40 დოლარიდან იწყება და 400-500 დოლარამდე აღწევს.

# ᲙᲕᲚᲐᲕ ᲰᲐᲠᲘ ᲞᲝᲢᲔᲠᲘ

ანა კორძაია-სამადაშვილი

რამდენიმე დღის წინათ წავიკითხე, რომ ბრიტანელ ბავშვებს დედოფალ ელისაბედ მეორის გულისწყრომა დაუმსახურებიათ. თურმე, მათმა გაუნათლებლობამ დედოფალი ძალიან გააბრაზა. გაირკვა, რომ მოზარდ თაობას ჰარი პოტერის შესახებ ძალიან ცოტა რამ სცოდნიათ! თავად დედოფალმა ელისაბედმა ჯადოქრის ამბები ლამის ზეპირად იცის – ის მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ლიტერატურული გმირია.

გასულ კვირას დედოფალი ბირმინგემის ერთ-ერთ ტაძარში საკვირაო წირვას დაესწრო. იქ ის ეპისკოპოსსა და ახალგაზრდა მრევლს გაესაუბრა. ისე მოხდა, რომ საუბარი "ჰარი პოტერს" შეეხო. ბირმინგემის ეპისკოპოსს დედოფლისთვის და ბავშვებისთვის უკითხავს, ჰოგვარტსის მაგიური სკოლის დირექტორის სახელი თუ გახსოვთო. ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა მხოლოდ ელისაბედ II-მ შეძლო.

"როგორ? ბავშვები ხართ და პროფესორ დამბლდორის სახელი არ იცით!?" – შესძახა გაკვირვებულმა დედოფალმა. დამშვიდობებისას მან ბავშვებს მკაცრად დაუბარა, ჯოან როულინგის ხუთივე წიგნი გულდასმით წაიკითხეთო.


მეორე "ჰარი პოტერს" ქართულად წავიკითხავთ.

"ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა" მეც წამიკითხავს, მაგრამ ბევრი რამ მართლა აღარ მახსოვდა: არც ის, რა ფერის თვალები ჰქონდა როულინგის ამ შესანიშნავ პერსონაჟს, არც ის, თავის ბუს რა დაარქვა... სამაგიეროდ, ქართველ ბავშვებს თავიანთი საყვარელი პატარა ჯადოქრისა ყველაფერი ახსოვთ. გუშინ, კინოთეატრ "ამირანში", "მეორე პოტერის", "ჰარი პოტერისა და საიდუმლო ოთახის" პრეზენტაციის დროს გამართულ ვიქტორინაში მრავალი ბავშვი მონაწილეობდა, და "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ დასმულ კითხვებზე პასუხად ისინი ერთსულოვნად იქნევდნენ პატარა, ფერად დროშებს.

მოგეხსენებათ, ჰარი პოტერის თავგადასავლებს უამრავი მკითხველი ჰყავს. ეს წიგნები მრავალმილიონიანი ტირაჟებით მთელ მსოფლიოში გაიყიდა. გასულ წელს როულინგის ჯადოსნურ სამყაროში მოხვედრის შესაძლებლობა ქართველ მკითხველსაც მიეცა, წელს კი კიდევ ორი წიგნის შეძენას შევძლებთ. საუკეთესოდ გამოცემული "ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი" დღეიდან ყველა წიგნის მაღაზიაში გაიყიდება, სულ მალე კი მესამე წიგნსაც ვიხილავთ.

მესამე წიგნის პრეზენტაციისთვის "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" უკვე ემზადება. გუშინ "ამირანში" კონკურსი გამოცხადდა. ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია, უბრალოდ, მსურველებმა ამ წლის 1 მარტამდე ჰარი პოტერის პირველი და მეორე წიგნების მიხედვით სურათი უნდა დახატონ, ზედ თავიანთი სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი დააწერონ და ან გამომცემლობის ოფისში უნდა მიიტანონ, ან "წიგნის სახლში". ივნისში კი, როცა ჰარი პოტერის მესამე წიგნის პრეზენტაცია იქნება, დარბაზში საუკეთესო ნახატების გამოფენას მოაწყობენ, და ყველაზე კარგი ნახატის ავტორი სპეციალური პრიზით დაჯილდოვდება.

ივნისამდე კი პირველ და მეორე პოტერს დავჯერდეთ. თუკი ჰოგვარტსში დაბრუნება გვინდა, დიდი სიამოვნება გველის - შეგვიძლია ჰარი პოტერთან ერთად საიდუმლო ოთახი ვეძებოთ. ეს ჯადოსნური და ცოტა საშიში თავგადასავალია. თქვენი არ ვიცი, და მე ძალიან მეხალისება.

## ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით | | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| "შუთქმუნა და მეფობები" | გოჩა ტყემელაშვილი | "რეიტინგი" | 3,2 |
| "მესამე სართული" | ლაშა ბუღაძე | "არეტე" | 2,8 |
| "ინგლისის ვარდები" | მადონა | "არეტე" | 2,4 |
| საბავშვო ენციკლოპედია | | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1,6 |
| მსოფლიოს უდიდესი საიდუმლოებები | | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 1,6 |
| "მისტერ პიპოდის ვაშლები" | | "არეტე" | 1,6 |
| ქართული ხალხური ზღაპრები | | ფირმა დილა | 1,6 |
| მოთხრობები | გოდერძი ჩოხელი | "მერანი" | 1,2 |
| "სხვა საქართველო სად არის" | მიხეილ ქელიძე | | 0,8 |
| "ჩემი ლირიკული დღიური" | მიხეილ ქელიძე | | 0,8 |



| ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| "მაგრე პოლი გამოჩნდა" | ჯონ ჰამბურგი | ბენ სტილერი, ჯენიფერ ანისტონი, ალეკ ბოლდუინი | 32,450,825 | 32,450,825 |
| "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება" | პიტერ ჯექსონი | ელაიჯა ვუდი, სერ იან მაკკელენი, ორლანდო ბლუმი, ვიგო მორტენსენი, ლივ ტაილერი | 12,447,761 | 329,040,393 |
| "დიდი თევზი" | ტიმ ბარტონი | იუან მაკგრეგორი, ალბერტ ფინი, ჯესიკა ლენჯი, დენი დე ვიტო, სტივ ბუშემი | 12,336,971 | 39,888,222 |
| "ჩვეულებრივი იაფად" | შონ ლევი | სტივ მარტინი, ბონი ჰანტი, ჰილარი დაფი | 11,873,331 | 115,075,464 |
| Torque | ჯოზეფ კანი | მარტინ ჰენდერსონი, აის კიუბი | 11,442,283 | 11,442,283 |
| "ცივი მთა" | ენტონი მინგელა | ჯუდ ლოუ, ნიკოლ კიდმანი, რენე ზელვეგერი | 7,945,318 | 65,965,857 |
| "რაღაც უნდა გასცე" | ნენსი მეიერსი | ჯეკ ნიკოლსონი, დაიან კიტონი, კიანუ რივზი | 6,721,767 | 101,683,127 |
| "ჩემი შვილის მამა" | შერილ დანი | ედი გრიფინი, ენტონი ანდერსონი | 4,433,788 | 13,174,496 |
| "კალენდრის გოგონები" | ნაიჯელ კოული | ჰელენ მირენი, ჯული უოლტერსი | 3,864,120 | 18,082,429 |
| "უკანასკნელი სამურაი" | ედ ზვიკი | ტომ კრუზი, ტიმოთი სპოლი, ბილი კონოლი | 3,707,472 | 102,583,643 |

| კვირის ცხელი მუსიკალური ათეული ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბი ლბორდის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
| "ტრეინი" | Calling All Angels | 3 | 28 კვირა |
| ენქლ კრეკერი და დობი გრეი | Drift Away | 1 | 45 კვირა |
| შენია თვაინი | Forever And For Always | 2 | 38 კვირა |
| "მეჩბოქს თვენთი" | Unwell | 4 | 36 კვირა |
| "ქაუნთინგ ქროუზ" და ვანესა კარლტონი | Big Yellow Taxi | 5 | 37 კვირა |
| ფილ ქოლინზი | Look Through My Eyes | 6 | 18 კვირა |
| "სიმფლი რედ" | Sunrise | 7 | 25 კვირა |
| შერილ ქროუ | The First Cut Is The Deepest | 9 | 15 კვირა |
| ჯოშ გრობანი | You Raise Me Up | 8 | 13 კვირა |
| დაიდო | White Flag | 11 | 20 კვირა |






# „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲡ"

"წიგნის სახლი" ნოდარ ანდღულაძის Homo cantor-ს გვთავაზობს

მადი სერებრიაკოვა

შეიძლება მიკერძოებაში ჩამომართვათ, მაგრამ "ჰომო საპიენსს", "ჰომო-ფაბერსა" და სხვა მრავალ "ჰომოს" შორის განსაკუთრებული დამოკიდებულება სწორედ "ჰომო კანტორის" - მომღერალი ადამიანის მიმართ ჩამომიყალიბდა. ამის ობიექტური დასაბუთება გახლდათ გუშინ "წიგნის სახლში" ზაალ სამადაშვილის ღონისძიებათა ციკლში ("ახალი განზომილება") გამართული საღამო - ცნობილი მომღერლისა და პედაგოგის ნოდარ ანდღულაძის წიგნის Homo cantor-ის რუსული თარგმანის პრეზენტაცია. მაესტრო ანდღულაძის ყველა მომღერლისა თუ მოყვარულისთვის სახელმძღვანელოდ ქცეული წიგნი რუსეთში ძალზედ პრესტიჟული Волшебная Флейта-ს სერიით გამოიცა.

Homo cantor სამოქალაქო ომისა და მძიმე ეკონომიკური კრიზისის პერიოდში იწერებოდა, მაშინ, როდესაც სიმღერისა და უფრო კი, სიმღერის ხელოვნების შესახებ რეფლექსიისათვის არავის ეცალა: **"წიგნი 1992-95 წლებში, ფაქტობრივად, სანთლის შუქზე იწერებოდა,"** – იხსენებს მაესტრო. თუმცა, როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს,- **"ნოდარ ანდღულაძე ამ წიგნისკენ მიდიოდა მთელი ცხოვრება."**

Homo cantor ერთგვარი კრებულია, რომელშიც სიმღერის ხელოვნების შესახებ, თითქმის, სრული მეცნიერული, ესთეტიკური, ფილოსოფიური, ანატომიური თუ აკუსტიკური ცოდნაა თავმოყრილი. წიგნში გაერთიანებული ნარკვევები 30 წლის მანძილზე მუშავდებოდა და ფრაგმენტულად ქვეყნდებოდა. ახალი გამოცემისთვის თარგმანთან ერთად მათ მნიშვნელოვანი დამატება და რედაქტირებაც განიცადეს. Homo cantor-ის თბილისური გამოცემისგან განსხვავებით, ახალ წიგნს კიდევ რამდენიმე თავიც დაემატა; მათ შორისაა ცნობილი რუსი მომღერლის ირინა არხიპოვას ერთგვარი არტისტული პორტრეტიც.

Homo cantor რუსულად ნოდარ ლადარიამ თარგმნა. ამ უკანასკნელის დამსახურებას ნოდარ ანდღულაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი: **"ნოდარ ლადარია ამ ტექსტის თანაავტორად შეიძლება ჩაითვალოს. მან არამხოლოდ თარგმნა, არამედ მნიშვნელოვანი რედაქტირებაც გაუწია წიგნს, მოარგო იგი რუსულ ენას, კულტურას."** ნოდარ ლადარია Homo cantor-ს იტალიურადაც თარგმნის და მას კარუზოს საზოგადოება გამოცემს. მაესტრო ანდღულაძეს უკვე შესთავაზეს წიგნის გერმანულად და ინგლისურად თარგმნაც.


ნოდარ ანდღულაძე.

Homo cantor-ის ახალი გამოცემის პრეზენტაცია წიგნის სახლში თავად მაესტროს გამოსვლით დაიწყო, რაც სტუდენტებისა თუ კოლეგებისთვის შესანიშნავი ლექცია-გაკვეთილიც იყო. მომღერალთათვის მუდმივი თავსატეხია, როგორ დაუმტკიცონ აბეზარ და საქმეში ჩაუხედავ მსმენელს, რომ შემსრულებლის მოღვაწეობა კომპოზიტორისას არაფრით ჩამოუვარდება (და ზოგჯერ აღემატება კიდეც). ბგერებით წერის უძველესი ხელოვნების შესახებ არსებული ყველანაირი ინფორმაცია მაესტრო ანდღულაძემ სწორედ ამ მიმართულებით გადაამუშავა. კიდევ ერთი დეტალი Homo cantor-ის წარმომავლობის შესახებ: როგორც თანამედროვე ანთროპოლოგებმა დაასაბუთეს, პალეოლითის ეპოქაში სიმღერა და ცეკვა განვითარების უფრო მაღალ დონეს აღწევდა, ვიდრე საომარი თუ სანადირო იარაღის წარმოება. აქედან გამომდინარე, "ჰომო კანტორ" იქნებ უფრო მართებულიც იყოს, ვიდრე, მაგალითად, "ჰომო ფაბერ".

სიმღერის ხელოვნების განსაკუთრებულ ზომოქმედებით უნარზე საუბრისას ნოდარ ანდღულაძემ ბენედიქტელთა მონასტრის ბერმონაზონთა მაგალითი მოიყვანა. ეს უკანასკნელნი დღეში 8 საათს მღეროდნენ. პარიზის რელიგიურმა დეპარტამენტმა კი გადაწყვიტა, რომ ბერ-მონაზვნები ძალზედ ბევრ დროს უთმობდნენ მუსიკას და მათ სიმღერა აუკრძალა. ძალიან მალე 70 ბერი სულიერი აშლილობით დაავადდა. ბერების განკურნება მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც ცნობილი ფიზიოლოგის ალფრედ ტომატისის რჩევით, რელიგიურმა დეპარტამენტმა კვლავ მისცა ბერებს სიმღერის უფლება.

სიტყვით ნოდარ ანდღულაძის კოლეგები, მომღერლები თუ ლიტერატორებიც გამოვიდნენ. ბუნებრივია არ დავრჩით მუსიკის გარეშეც: ნოდარ ანდღულაძის მოსწავლემ, ახალგაზრდა ტენორმა მაესტროს ამაღლებული სიტყვების სადემონსტრაციოდ ძალზედ ამაღელვებლად "ურმული" შეასრულა.

მოსკოვში Homo cantor უკვე რამოდენიმე თვეა იყიდება. მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტებმა წიგნს "მომღერლის სახარება" უწოდეს. ნოდარ ანდღულაძის ნაშრომი თბილისშიც უკვე ორ ენაზე შეიძლება შეიძინოთ. Homo cantor-ის იტალიურ თარგმანთან ერთად კი, ახლო მომავალში მაესტრო ანდღულაძეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული გეგმა აქვს. იგი ახალი ნაშრომის დაწერას აპირებს, რომელშიც მისი თანამედროვე დიდი ქართველი მომღერლებისა თუ დირიჟორების ლიტერატურული პორტრეტები შევა.

# ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲡᲖᲔ

ევროპულმა კოსმოსურმა მოდულმა "მარს ექსპრესმა" დედამიწაზე გამოგზავნა წითელი პლანეტის ზედაპირის ამსახველი მაღალი ხარისხის ფოტოები. სტერეოკამერის მიერ გადაღებულ ფოტოებზე ჩანს კრატერები, ვულკანი და კვალი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, წყალმა დატოვა.

### ტექტონური სტრუქტურები

ეს სურათი გადაღებულია 2004 წლის 14 იანვარს 275 კილომეტრის სიმაღლიდან. ესაა 50 კილომეტრიანი ფართობი, სადაც მოჩანს ტექტონური ნაწილაკების მოძრაობა.

ფოტოზე გამოსახული ფართობი მდებარეობს Valles Marineris-ის რაიონში – ესაა 4 ათას კილომეტრიანი სიგრძის კანიონი.

### ეროზია

ამ ფოტოზე გამოსახულია მაღლობები, სადაც ჩანს ნაკვალევი. მიიჩნევენ, რომ ეს ნაკვალევი წყალმა დატოვა. მხოლოდ რამდენიმე


ეს ღრმული წყალმა დატოვა.

პლატოა უცვლელი. ფოტო გადაღებულია 2004 წლის 14 იანვარს.

### ფერთა ზუსტი გადაცემა

ზუსტად ასეთი ფერებია მარსზე. ფოტოზე გამოსახულია პლატო, რომლის სიმაღლეც 3 კილომეტრით აღემატება პლანეტის ზედაპირს. ზედაპირი კი ეროზიის შედეგადაა შეცვლილი.

### "წყლის" არხები

წითელ პლანეტაზე რსებული Hellas-ის აუზი გადაღებულია 2004 წლის 15 იანვარს. ეს რაიონი დაახლოებით 100 კილომეტრის სიგრძისაა. ვარუდობენ, რომ ეს არხი წყლის მიერ არის გაკეთებული, თუმცა თეორია ჯერაც არ დამტკიცებულა.

### ვულკანი

ვულკან Albor Tholus-ის სიმაღლე დაახლოებით სამი კილომეტრია. სურათი გადაღებულია ევროპული კოსმოსური მოდულის "მარს ექსპრესის" მიერ 2004 წლის 19 იანვარს.

კრივი

# ალის, ლაილა ალის მიმდევრები



ლაილა ალის ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს.

გიგა გურასაშვილი

მსოფლიო სპორტში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა სპორტის ისეთი სახეობა, რომელშიც საკუთარ სიტყვას ქალები არ ამბობდნენ. რა ხანია, ქალები თამაშობენ ფეხბურთს, კალათბურთს, რაგბის; ჭიდაობენ, შტანგას წევენ და, წარმოიდგინეთ, კრივშიც დაოსტატდნენ. სხვა საკითხია, რამდენად მოსაწონია მათი გატაცება, მაგრამ, ფაქტია, ისინიც ისეთივე სრულფასოვანი სპორტსმენები არიან, როგორც ვაჟები. თუმცა, რიგ ქვეყნებში ყინული ჯერაც გასალღობია. უფრო სწორად, მათ, ვისაც სპორტის კაცური სახეობები იზიდავს (ისიც საკითხავია, სპორტის სახეობებიდან რომელია კაცური და რომელი არა), ან ქვეყნის ტრადიციები უკრძალავს სარბიელზე გასვლას, ან რელიგიური ფაქტორი თამაშობს უმთავრეს როლს. ახლა სწორედ ამგვარ შემთხვევაზე მოგითხრობთ.

ყოველ სისხამ დილით კალკუტის ლატაკი რაიონის კიდერპორის ერთ-ერთი უბნის პატარა სახლიდან გამორბის 23 წლის სპორტული აღნაგობის რაზი შაბნამი. ასეთი შესავლის შემდეგ, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რომელი სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს დღევანდელი წერილის გმირი. ერთი სიტყვით, რაზი შაბნამი დილაობით კალკუტის იმპერატორის ბიბლიოთეკის ულამაზესი ბაღისკენ იღებს გეზს. მერე ამ ბაღში დარბის და ვარჯიშობს. პირდაფჩენილი გამვლელ-გამომვლელები შეჰყურებენ შაბნამს და ვერაფრით ვერ ხვდებიან, თუ რა ხდება. ბოლოს, როდესაც ცქერით გულს იჯერებენ, მხრებს აიჩეჩავენ და გზას აგრძელებენ. შაბნამი კი ვარჯიშობს და ვარჯიშობს.

ვინ არის რაზი შაბნამი? - ვინ და პროფესიული მოკრივე. არა, ამაში გასაკვირი, მართლაც, არაფერია, უფრო სწორად, გასაკვირი არ იქნებოდა, იგივე სურათი ინდოეთს მიღმა რომ ენახათ. მაგრამ ფაქტია: დიდ კრივზე მეოცნებე გოგონას ყოველდღიურად არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს - ჯერ მშობლებისა და ნათესავების, შემდეგ მეზობლების მხრიდან, რათა საკუთარი ოცნება აისრულოს. საქმე ისაა, რომ კალკუტის მუსულმანურ გეტოში, ტრადიციისამებრ, ქალები სიცოცხლის მეტ ნაწილს ოჯახში ატარებენ. რაზი შაბნამი კი პირველი ინდოელი მუსულმანი მოკრივეა.

დღეს ინდოეთში 155 ქალი მისდევს კრივს, მაგრამ მათ შორის კალკუტელები, ძირითადად, მუსულმანური აღმსარებლობის არიან.

"მათთვის კრივით გატაცება ჯიჰადის ტოლია", - ამბობს რაჰატ ჰუსეინი - რაზის მამა.

ინდოეთის ქალაქების მოსახლეობის ნახევარზე მეტს (ქალებს ვგულისხმობთ) განათლება არა აქვს მიღებული. მცირეოდენი განათლება სულ რაღაც ერთ პროცენტს აქვს მიღებული.

რატომ მაინცდამაინც კრივი?! ირკვევა, რომ კალკუტელ გოგონათა კრივით გატაცებაზე დიდი როლი უთამაშია ლეგენდარული მოკრივის მუჰამედ ალის ქალიშვილს ლაილა ალის, რომელიც რა ხანია მამის კვალს ადგას და მეტოქეებს მუსრს ავლებს. ამის გამო ადგილობრივი მცხოვრებლები, ალბათ, ალიზე ჯავრობენ კიდეც. ჯავრობენ არა იმიტომ, რომ ალი, მამის მსგავსად, მეტოქეებს აღემატება, არამედ იმიტომ, რომ მათი შვილები კრივით მოწამლა. მიუხედავად იმისა, რომ ალიც მათი აღმსარებლობისაა.

მოკრივეობა რაზი შაბნამსა და კიდევ სამ გოგონას ხუთი წლის წინათ გადაუწყვეტიათ. მას შემდეგ თითოეულ მათგანს გზის გაკაფვა და წინაღობების გადალახვა უწევთ იმისთვის, რომ საკუთარი სიტყვა დიდ სარბიელზეც თქვან.

კრივის დიდი მოყვარული აშიტ ბანერჯი, რომელიც კალკუტაში სპორტული კლუბის მეპატრონე და, იმავდროულად, ინდოეთში გამომავალი ერთადერთი საკრივო ჟურნალის მფლობელია, იხსენებს, რომ პირველად გოგონები თავით ფეხებამდე მუსულმანურ ბურკებში შემოსილები გამოდიოდნენ სახლიდან, რათა არავის ეცნოთ. დარბაზში მისულები კი სპორტულ სამოსში გამოეწყობოდნენ. ამის გამო პრობლემები აშიტსაც საკმაოდ ჰქონდა – ადანაშაულებდნენ, რომ გოგონებს გონება აუმღვრია და გზიდან გადაახვევინა. "ზოგიერთი გაზეთი ურწმუნოდაც მომიხსენიებდა", - იხსენებს აშიტი.

მართალია, მათ, ვინც ჯიუტად მიიწევენ რინგისკენ, თავიანთი კერპისგან, ლაილა ალისგან, უფსკრული ჰყოფთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკან არ იხევენ. ვარჯიშობენ სიბინძურეში, კოღოებით სავსე ალაგას, იქ, სადაც უსახლკარონი და ნარკომანები ათევენ ღამეს. და მაინც, დღეში სამ საათს ვარჯიშობენ იმ ოცნებით, რომ ოდესმე მსოფლიო სპორტში შეაბიჯებენ.

TV–სპორტი

## შაბათი. 24 იანვარი

**НТВ+ ФУТБОЛ**
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1985. ფინალი. "LOS ANGELES LAKERS" - "BOSTON CELTICS". მე-4 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. ნახევარფინალი. "დინამო" (საქართველო) – "შერიფი" (მოლდავეთი)
15:10 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. ნახევარფინალი. "კაუნასი" (ლიტვა) – "სკონტო" (ლატვია)
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 "ექსპერტიზა"
17:40 "დარტყმა გოლისთვის"
17:55 საფეხბურთო არდადეგებისას. გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ბაიერი"
19:40 "FUTBOL MUNDIAL"
20:10 თავისუფალი დარტყმა
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ლოკომოტივი" (რუსეთი) – "ინტერი"
22:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" – "ვილიარეალი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 განვლილი სეზონის საუკეთესო მატჩები. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "პაისანდუ" (ბრაზილია) – "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი. შესვენებისას (01:15) – თავისუფალი დარტყმა
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ვეს ანსელდი
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. "UTAH JAZZ" - "LOS ANGELES LAKERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
11:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
12:30, 17:15, 22:00 პრესცენტრი
13:00, 22:15 "ოლიმპის შვილები"
13:05 აერობიკა
13:30 ჭადრაკი. სუპერ-ტურნირი ვეიკ-ანზეეში
14:00 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
14:25 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ვაჟები. სწრაფდაშვება. პირდაპირი ტრანსლაცია
15:40 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
16:10 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი სლოვენიაში. ქალები. გიგანტური სლალომი. მეორე მცდელობა. პირდაპირი ტრანსლაცია
16:45 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
17:30 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
18:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (20:00) - პრესცენტრი
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "NEW ORLEANS HORNETS" - "DENVER NUGGETS"
01:00 ახალი ამბები
01:15 მაგიდის ჩოგბურთი. ITTF Pro Tour ხორვატიაში
03:15 03:15-დან 03:55-მდე შესვენება
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი
12:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
15:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი
16:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი
20:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
21:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
22:00 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
00:30 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

ფეხბურთი

# „დინამო" ფინალშია

მიხეილ აბაიშვილი

მეორედ, თანამეგობრობის თასის არსებობის ისტორიაში, თბილისის "დინამომ" ამ ტურნირის ფინალს უწია. თუმცა, საქართველოს ჩემპიონისთვის გუშინ მოსკოვში ჩატარებული ნახევარფინალური მატჩის დებიუტი აშკარად ავისმომასწავებელი იყო. მე-13 წუთზე "დინამომ" საკუთარ კარში გოლი მიიღო და, წლევანდელ ტურნირზე პირველად, შუშაკის გუნდი დასაწყისშივე მდევრის როლში აღმოჩნდა.

ჯერ არ გვიხსენებია "დინამოს" მეტოქე – მოლდოვის ჩემპიონი, ტირასპოლის "შერიფი". ამ გუნდმა, რომელსაც ქართველი ფეხბურთელი, 30 წლის გორელი მცველი, ვაჟა თარხნიშვილი კაპიტნობს, შარშან თანამეგობრობის თასის ტურნირი მოიგო: ფინალში რიგის "სკონტო" დაამარცხა. წლეულს ტირასპოლელები იგივე ამბიციით ჩავიდნენ ტურნირზე და, მიუხედავად იმისა, რომ წინა 4 თამაშში სულ 2 გოლი გაიტანეს, ნახევარფინალში მაინც გავიდნენ. ორივე გოლი მოლდოველთა თავდამსხმელის, ბარიშევის ანგარიშზეა. მათგან ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდა კიევის "დინამოსთან" მეოთხედფინალურ მატჩში. ისიც უნდა ითქვას, რომ მცირე შედეგიანობასთან ერთად, "შერიფი" "მშრალი" დაცვითაც გამოირჩა. გუშინდლამდე მოლდოვის ჩემპიონს საკუთარ კარში მხოლოდ 1 გოლი ჰქონდა გაშვებული, ისიც – ტურნირში უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებისგან.

თავის მხრივ, "დინამო" ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა ასეთი შეუვალი დაცვითი ხაზით, რომელმაც წინა 4 თამაშში 7 გოლი გაუშვა. მეორე მხრივ, ტურნირზე ჩვენი გუნდი თამაშობს ბრაზილიური სისტემით: "თქვენ გაგვიტანთ, რამდენსაც შეძლებთ, ჩვენ გაგიტანთ, რამდენსაც მოვინდომებთ". "დინამო" ტურნირის ყველაზე შედეგიანი გუნდია - 5 თამაშში გატანილი 20 (!) გოლით.

"დინამოს" მეტოქეზე კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ "შერიფი" საკმაოდ შეძლებული გუნდია. ტირასპოლელებს აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო საწვრთნელი ბაზა აქვთ - 4 ხელოვნურსაფარიანი, 2 ბუნებრივსაფარიანი მოედნით, სატრენაჟორო დარბაზით, აუზებით... ამას გარდა, "შერიფის" შეფობა სატრანსფერო ბაზარზეც აქტიურია: ამჟამად მოლდოვას ჩემპიონის რიგებს 4 ბრაზილიელი, 2 პანამელი, 2 რუმინელი, 2 უკრაინელი და ერთიც ქართველი ლეგიონერი იცავს. ასეთ ინტერნაციონალურ კლუბთან მოუხდა დაპირისპირება ჩვენს გუნდს.

როგორც უკვე ვთქვით, თამაშის დასაწყისშივე "შერიფმა" გოლის გატანა მოახერხა: მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ კუზნეცოვმა თავით გვარამაძის კარის მისადგომებთან ჩააგდო ბურთი. ქართველი მეკარე შეყოვნდა და ბარიშევს ტურნირზე თავისი და "შერიფის" მესამე გოლის გატანის საშუალება მისცა.

გაშვებული გოლის შემდეგ დინამოელები ანერვიულდნენ და გონზე მოსასვლელად 10 წუთი დასჭირდათ. საბედნიეროდ, ამ შანსის გამოყენება ტირასპოლელებს არც უცდიათ. მათ ინიციატივა დათმეს, "დინამოს" საკუთარი თამაშის მიგნების საშუალება მისცეს და ამის გამო დაისაჯნენ კიდეც. ქართველმა ფეხბურთელებმა მეთოდურად დაიწყეს მეტოქის შევიწროება და ნათლად გამოჩნდა, რომ, ადრე თუ გვიან, გოლსაც გაიტანდნენ. ეს ცოტა გვიან მოხდა, მაგრამ პირველ ტაიმს არ გასცდენია: მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გოგობერიშვილს "შერიფის" საჯარიმოს მისადგომებთან მიუვიდა მოგერიებული ბურთი და ქართველი ნახევარმცველის დარტყმაც ზუსტი აღმოჩნდა - 1:1.

მატჩის მეორე ნახევარი უკვე მთლიანად "ქართული", გნებავთ, "ხორვატული" სცენარით წარიმართა. "დინამო" ისევ საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, გვარამაძე კი საერთოდ უსაქმოდ იყო. კვანძი 72-ე წუთზე გაიხსნა: წინა, მეოთხედფინალური მატჩის მსგავსად, რომელშიც დარასელიამ ულამაზესი გოლი გაიტანა, ამ ფეხბურთელმა საკმაოდ შორიდან, დაახლოებით 30 მეტრიდან, ისევ ძლიერად დაარტყა და მიზანსაც მიაღწია - 2:1.

დარჩენილ დროში "დინამოს" მოლდოველთა შეცდომა არ გაუმეორებია და ინიციატივა არ დაუთმია. სულ ბოლოს, დაახლოებით 3 წუთის მანძილზე, "შერიფმა" გაბრძოლება სცადა და რაღაც შტურმის მსგავსი წამოიწყო, თუმცა, საქმე სერიოზულ მომენტამდე არ მისულა.

კვირას, ფინალში "დინამო" "სკონტოს" დაუპირისპირდება, რომელმაც გუშინ ლიტვის ჩემპიონი "კაუნასი" 1:0 დაამარცხა.

**"დინამომ" ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა:**
**გვარამაძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, ახალაია, კვირკველია, ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ალექსიძე, მელქაძე (ბობოხიძე, 55`).**

ჩოგბურთი

# ჩვენ ვინ მოგვერევა?

ანდრე აგასისა და ენდი როდიკის თამაშის შემხედვარეს, მართლაც, ეს კითხვა გაგიჩნდება: ვინ მოერევა ამერიკულ ტანდემს. "მელბურნ პარკის" კორტებზე აგასი და როდიკი თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. მესამე წრეშიც ორივე ჩოგბურთელმა დიდი დაძაბვის გარეშე მოიგო. ენდი როდიკმა თანამემამულე ტეილორ დენტი გაანადგურა – 6:2, 6:0, 6:2, აგასიმ კი შვედი ტომას ენკვისტი – 6:0, 6:3, 6:3.

დღის ყველაზე ხანგრძლივი და დრამატული მატჩი რუსმა მარატ საფინმა და ამერიკელმა ტოდ მარტინმა გაითამაშეს. მატჩი სამსაათნახევარს გაგრძელდა და რუსი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა.

ეს იყო თანაბარი ძალის მეტოქეთა მატჩი. მარტინი დიდი გმირობისთვის მზად უკვე აღარ არის, ხოლო საფინმა ჯერჯერობით სასურველი ფორმა ვერ აღიდგინა. ამიტომ ასეთი დონის მეტოქესთანაც ძალიან უჭირს თამაში.

პირველ სეტში თანაბარი ბრძოლა გაიმართა. გადამწყვეტ მომენტებში კი საფინი კლასის ხარჯზე იგებდა. ორივე ჩოგბურთელმა თითო ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა. საფინმა ის გამოიყენა, მარტინმა კი – ვერა. ამიტომ პარტია საფინის გამარჯვებით – 7:5 დასრულდა.

ამის შემდეგ საფინის თამაშში ჩავარდნა შეინიშნებოდა. მეორე პარტიაში რუსმა მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო. მარატმა წონასწორობა დაკარგა - ჩოგანი მინდორზე მოისროლა, ბურთი - ტრიბუნებისკენ, საკუთარ თავს უყვიროდა, რისთვისაც რეფერის შენიშვნა დაიმსახურა, მაგრამ ამან საფინს თავისი თამაშის წარმართვის საშუალება არ მისცა. მან მეორე და მესამე სეტები წააგო და კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ტოდ მარტინს ერთადერთი სეტის მოგებაღა დარჩა. თუმცა, ჭაღარა ამერიკელი, უბრალოდ, მზად არ არის ხუთსეტიანი მატჩებისთვის და საფინმა მატჩი ახალგაზრდული ენერგიის ხარჯზე მოიგო.

მეოთხე პარტია მატჩში ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა. საფინმა – 6:0 მოიგო. გადამწყვეტ სეტში მარტინი ყველაფერს აკეთებდა თამაშის გადასარჩენად, მაგრამ საფინი ყოველთვის უფრო ძლიერად თამაშობდა. ანგარიში 5:5 იყო, როცა რუსმა მარტინის მოწოდება აიღო და მატჩიც მოიგო.

"დღეს, დილით, თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. მე მივაღწიე იმას, რაც მსურდა. ახლა ჩემი მიზანი ნახევარფინალში გასვლაა. ფორმას თანდათან აღვიდგენ", – განაცხადა საფინმა. მეოთხე წრეში საფინი შეხვდება ჯეიმს ბლეიკს, რომელმაც ოლივიე პასიანსი დაამარცხა. ბლეიკისთვის პასიანსთან მატჩი უაღრესად იოლი გამოდგა და ამერიკელმა თამაში სამ სეტში მოიგო.

ქალთა ნაწილში, როგორც მოსალოდნელი იყო, მეოთხე წრეში გავიდა მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი, ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენი. მან რუსი სვეტლანა კუზნეცოვა ორ სეტში დაამარცხა – 6:2, 7:5. მესამე წრე უპრობლემოდ დაძლიეს ტურნირის სხვა ფავორიტებმაც. ამელი მორესმომ შანსი არ დაუტოვა ესპანელ ანაბელ მედინა-ჰარიგესს, ხოლო ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა იტალიელი ლაურა გრანვილი გაისტუმრა სამშობლოში.

ყველაზე ხანგრძლივი და დრამატული მატჩი უნგრელებმა გაითამაშეს. სამსეტიან მომქანცველ ბრძოლაში ანიკო კაპოშმა პეტრა მანდულა დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი, მესამე სეტი კაპოშმა – 12:10 მოიგო.

ასევე დაძაბული გამოდგა მე-19 ნომრად განთესილი ბერძენი ელენი დანილიდუსა და იტალიელი მარა სანტანჯელოს შეხვედრა, რომელიც იტალიელი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა.



REUTERS

ენდი როდიკი ტრადიციას არ არღვევს - უპრობლემოდ იგებს.

**ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მესამე წრე**

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| ენდი როდიკი (აშშ, 1) – ტეილორ დენტი (აშშ, 27) | 6:2, 6:0, 6:2 |
| სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 16) – იურგენ მელცერი (ავსტრია) | 7:6 (7:1), 6:4, 6:1 |
| მარატ საფინი (რუსეთი) – ტოდ მარტინი (აშშ) | 7:5, 1:6, 4:6, 6:0, 7:5 |
| დეიმს ბლეიკი (აშშ) – ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) | 6:1, 6:3, 6:2 |
| ანდრე აგასი (აშშ, 4) – ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 6:0, 6:3, 6:3 |
| პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 13) – გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 19) | 6:3, 7:5, 6:4 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 9) – დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 2:6, 6:4, 6:1, 6:3 |
| რობი ჯინეპრი (აშშ, 32) – ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) | 6:2, 6:3, 6:4 |
| **ქალები:** | |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 1) – სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 30) | 6:2, 7:5 |
| მარა სანტანჯელო (იტალია) – ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 19) | 6:4, 5:7, 6:3 |
| ვერა ზვონარევა (რუსეთი, 11) – ნიკოლ პრატი (ავსტრალია) | 7:5, 2:6, 6:1 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5) – ლაურა გრანვილი (იტალია) | 6:4, 6:0 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 4) – ანაბელ მედინა-ჰარიგესი (ესპანეთი) | 6:1, 6:2 |
| ალისია მოლიკი (ავსტრალია) კლოდინ შაული (ლუქსემბურგი) | 6:7 (4:7), 6:1, 6:2 |
| ანიკო კაპოში (უნგრეთი) – პეტრა მანდულა (უნგრეთი) | 3:6, 6:3, 12:10 |
| ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია, 32) – ჯილ კრეიბასი (აშშ) | 7:6 (8:6), 4:6, 6:2 |

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მადრიდის "რეალი" ფრანჩესკო ტოტის გადაბირებას ცდილობს. ტოტის ამჟამინდელი კლუბის, "რომას" ხელმძღვანელობა კი აცხადებს, რომ ტოტის არ გაუშვებს. "იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ გავიმეორო: ტოტისთან დაკავშირებით არავითარი წინადადება არ მიგვიღია. რომ მივიღოთ კიდეც, ტოტის არსად გავუშვებთ", - განაცხადა "რომას" გენერალურმა მენეჯერმა, ფრანკო ბალდინიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უკვე გადაწყვეტილი ამბავია: მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე მიროსლავ კლოზე "კაიზერსლაუტერნს" მიატოვებს. გასარკვევი ისღა დარჩა, თუ რომელი კლუბის მიმართულებით. გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, რუდი ფიოლერმა კლოზეს შეძენა ბრემენის "ვერდერს" ურჩია. ეს კლუბი ბრაზილიელი აილტონის შემცვლელს ეძებს, რადგან აილტონი გელზენკირხენის "შალკეში" გადადის. "კლოზე გერმანიის საუკეთესო თავდამსხმელია. ის ტექნიკური და აილტონზე უფრო მრავალმხრივი ფეხბურთელია", - შესაძლოა, ფიოლერი მართალია, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ 17 მატჩში აილტონმა 16 გოლი გაიტანა, ხოლო კლოზემ - მხოლოდ ხუთი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჰოლანდიური "ეინდჰოვენის" 19 წლის ფეხბურთელმა, არიენ რობენმა ლონდონის "ჩელსის" წინადადებაზე უარი თქვა. აბრამოვიჩის კლუბი ამ ფეხბურთელის შეძენას გეგმავდა, თუმცა, გარიგება არ შედგება. რობენის მამამ, რომელიც, ამავდროულად, მისი აგენტიც გახლავთ, განაცხადა: "ყველაფერი მარტივად არის. არიენი არ გადავა "ჩელსიში". ის ან "ეინდჰოვენში" ითამაშებს, ან "მანჩესტერ იუნაიტედში", სადაც მოხვედრაზე ის ყოველთვის ოცნებობდა".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის "დინამოს" თავდამსხმელი, ვლადიმირ ბულიკინი ლივერპულშია და ადგილობრივ "ევერტონში" სამედიცინო შემოწმებას გადის. ამ კლუბს ბულიკინის შეძენა სურს. "ევერტონის" გარდა, რუსი თავდამსხმელის გადაბირებით "პორტსმუტიც" არის დაინტერესებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "ლივერპული" ნიგერიელი ტარიბო ვესტის შეძენას გეგმავს. ბრიტანული საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ მწვრთნელი ჟერარ ულიე ვესტის გადაბირებით ძალიან არის დაინტერესებული. ულიე ფიქრობს, რომ ვესტის დამატებით "ლივერპულის" ცენტრალური დაცვა მკვეთრად გაძლიერდება. 29 წლის ნიგერიელი ახლა ბელგრადის "პარტიზანში" თამაშობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 2003 წლის საუკეთესო მწვრთნელად არგენტინელი კარლოს ბიანკი დაასახელა. ბიანკი ბუენოს აირესის "ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელია. გასულ წელს მან ამ კლუბს ლიბერტადორესის და საკონტინენტთაშორისო თასები მოაპოვებინა. "ძალიან ვამაყობ იმით, რომ საუკეთესო მწვრთნელად დამასახელეს, თუმცა, ეს გამარჯვება მხოლოდ მე არ მეკუთვნის. ეს მთელი ჩემი გუნდის დამსახურებაა", - განაცხადა ბიანკიმ. ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციის წინა რჩეულები იყვნენ მარჩელო ლიპი, ალექს ფერგიუსონი და ვისენტე დელ ბოსკე.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კოლუმბიური ფეხბურთის ლეგენდა, კარლოს ვალდერამა თავის გამოსათხოვარ მატჩს 1 თებერვალს გამართავს. მან კარგა ხნის წინათ დაასრულა კარიერა, თუმცა, ოფიციალურად მხოლოდ ახლა დაემშვიდობება ფეხბურთს. "ეს მატჩი საშუალებას მომცემს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მეხმარებოდა ჩემი კარიერის განმავლობაში", - განაცხადა ვალდერამამ. მატჩზე მიწვეულ უცხოელ ფეხბურთელებს შორის არიან ერიკ კანტონა, ხოსე ლუის ჩილავერტი, ივან ზამორანო, ენცო ფრანჩესკოლი და ხორხე კამპოსი. მიწვევა გაუგზავნეს დიეგო მარადონასაც, თუმცა, მისი პასუხი ჯერ უცნობია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიელი მარაძინა "მოგზაურობას" განაგრძობს. სერია ა-ს ბინადარმა მოდენამ 29 წლის ფეხბურთელი იჯარის წესით ინათხოვრა. აღსანიშნავია, რომ მარაძინასთვის "მოდენა" რიგით მეოთხე გუნდია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. ის ბრწყინვალედ ასპარეზობდა "კიევოს" შემადგენლობაში, 2003 წლის იანვარში კი გადავიდა "რომაში", სადაც ფეხი ვერ მოიკიდა. შემდეგ "სამპდორიაში" გადაბარგდა, თუმცა, ვერც იქ გაიბრწყინა.

რაგბი

# უტოპიიდან რეალობამდე

პაატა თოთაძე

*ორ დღეში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებია. ორშაბათს, 26 იანვარს, გაირკვევა, ქართულ რაგბის კვლავაც ბიძინა გეგიძე უპირველკაცებს თუ სარაგბო საზოგადოება მერაბ ანთაძეზე შეაჩერებს არჩევანს. გასულ კვირას ანთაძემ უკვე ისაუბრა, თუ რას გააკეთებს რაგბის კავშირის სათავეში მოსვლის შემთხვევაში. ჩვენი საუბარი კავშირის მოქმედ პრეზიდენტთან, ბიძინა გეგიძესთან, წარსულის გახსენებით, იმ რვაწლიანი მუშაობის შეფასებით დაიწყო, რომელიც მან კავშირის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გასწია.*



ბიძინა გეგიძე და ილია ზედგინიძე ბიზნესმენებთან შეხვედრისას.

გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

- საკუთარ თავზე ლაპარაკი ცოტა ძნელია. ჯობს, სხვებმა შეგაფასონ. მოკლედ ვიტყვი: რაც იყო ჩემი პროგრამის მიზანი, რომელიც დაიწერა და მხარი დაუჭირა ყრილობამ, შესრულდა. იმ პოლიტიკამ, რომელიც ნაკრებს ანიჭებდა პრიორიტეტს, შედეგი გამოიღო. მხედველობაში მყავს არა მარტო ეროვნული ნაკრები, რამედ შვიდკაცა, ჭაბუკთა ნაკრებებიც. ეს ყველაფერი იმისთვის იყო საჭირო, რომ რაგბი პოპულარული და, რაც მთავარია, ხალხისთვის ახლობელი გამხდარიყო. ვფიქრობ, კონტრარგუმენტები არ მოიპოვება საიმისოდ, რომ ნაკრების გამოსვლა უარყოფითად შეფასდეს. სამწუხაროდ, ყოველივე ამის შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან რაგბისადმი არ იყო ის დამოკიდებულება, რაც უნდა ყოფილიყო. ასეთი დამოკიდებულების პირობებში კი ვერ ვხედავდი რაგბის განვითარების პერსპექტივას.

**- სწორედ ამიტომ ხომ არ განაცხადა კლოდ სორელმა, რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის მხრიდან ინტერესს ვეღარ ვხედავდიო?**

- სორელი იმ ქვეყნის წარმომადგენელია, რომელშიც მსგავსი ხელშემშლელი ფაქტორები, მსგავსი პრობლემები არ არსებობს. გარდა ამისა, ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში. ამდენად, მისთვის ადვილი არ იყო, შეეფასებინა რაგბის კავშირის მოღვაწეობა, ის პირობები, რომელშიც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა. მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ იმსახურებს მსოფლიო თასზე გასული გუნდი მხარდაჭერას. ასე რომ, მისი ნათქვამის ისე გაგება, თითქოს ჩვენ არ გვსურდა საქმის კეთება, როგორც ეს ზოგიერთმა გაიგო, არასწორია. მთავარ საკითხში, ნაკრების წარმატებისა და მთავრობის დამოკიდებულების შეფასებაში, ჩვენი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. ის რომ სხვანაირად ფიქრობდეს, მომავალში ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი არ ექნებოდა.

**- თქვენი მოწინააღმდეგენი ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონე დაბალია და კლუბები მიუხედავია. უფრო ზუსტად, ასეთი რამ ითქვა: თითქოს თქვენი მმართველობის პერიოდში კლუბები იძარცვებოდა. საუბარია მორაგბეთა მიგრაციაზე საფრანგეთში, რომლის სანაცვლოდაც კლუბები კომპენსაციას ვერ იღებდნენ...**

- თავის დროზე, არჩევნებისას, ყველაფერი დავასაბუთე. ჩემი პროგრამა არ ითვალისწინებდა იმას, რომ პრიორიტეტი იქნებოდა კლუბები, მორაგბეები საფრანგეთში იმიტომ წავიდოდნენ, რომ კლუბები გაძლიერებულიყვნენ. საერთოდ, წარსულზე საუბარი არ იძლევა პროგრესის იმპულსს. ამიტომ, ჯობს, მომავალზე ვისაუბროთ, მიუხედავად იმისა, რომ წარსულზე საუბარი სხვებზე მეტად მე მაწყობს. ახლა მთავარია, ვინ როგორ ხედავს რაგბის მომავალს. მე სხვა პოზიცია, სხვა ხედვა მაქვს იმ ჯგუფისგან განსხვავებით, რომელსაც რაგბის განვითარების ალტერნატიული ხედვა თუ გეგმა გააჩნია და რომლის პრიორიტეტია არა სანაკრებო ან საკლუბო რაგბი, არამედ სპორტის ამ სახეობის მასობრიობა. ეს ყველაფერი უტოპიად მეჩვენება. ჯერ უნდა შეიქმნას მწვრთნელთა რესურსი, რომ საქართველოს ყველა წერტილში რაგბის გუნდი დაარსდეს. ეს რომ გაკეთდეს კიდეც, საზოგადოებას რა უფრო უნდა - წარმატებული ნაკრები ჰყავდეს თუ, ვთქვათ, ჩხოროწყუში ან ახმეტაში რაგბის კლუბი არსებობდეს? თუ ის სტრატეგია არასწორი იყო, ასეთ კითხვას დავსვამ: ვინ იოცნებებდა იმაზე, რომ ეროვნულ სტადიონზე რაგბის საყურებლად 70 000 კაცი მოვიდოდა?

რაც შეეხება კლუბების გაძარცვას, ამაზე არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ. კლუბებს არანაირი ინფრასტრუქტურა არ გააჩნდათ. კლუბები, როგორც სუბიექტები, არ არსებობდა. სათავეში მოსვლის შემდეგ დავიწყე ბრძოლა, კარგი გაგებით, რომ მათ ეს გაეკეთებინათ. მოთამაშეებთან კონტრაქტზე ხომ საუბარიც ზედმეტია. ის კი არა, რაგბის კავშირის ინფრასტრუქტურაც არ არსებობდა, კავშირს ოფისი არ გააჩნდა. ორმოცი წელიწადია, საქართველოში რაგბი არსებობს და საუბარი მხოლოდ იმაზე, თუ რა გაკეთდა ბოლო რვა წლის განმავლობაში, გაუმართლებელია. განა იმ 32 წლის განმავლობაში არ შეიძლებოდა რაიმეს გაკეთება? დღეს ბევრი განაწყენებული კაცის პოზიციიდან საუბრობს. არასწორია, როცა შენს წყენას რაგბის ინტერესებზე მაღლა აყენებ.

**- რა იქნება პრიორიტეტი მომავალში?**

- რვა წლის წინათ შემუშავებულ სტრატეგიას თავისი ლიმიტი აღმოაჩნდა. მან ეს ლიმიტი ამოწურა. ამაში იგულისხმება საფრანგეთში მოთამაშეთა გაგზავნა და ამით ნაკრების გაძლიერება, ჭაბუკთა ნაკრების მზადება საფრანგეთში. ახლა ვხედავ იმის რესურსს, რომ სხვა სტრატეგიის განხორციელებისას უფრო სერიოზული მიზნების მიღწევაა შესაძლებელი. და მე მაქვს იმის ამბიცია, რომ ეს გეგმები თუ მიზნები განვახორციელო. მაშინ ფიქრი იმაზე, რომ კლუბები ევროთასებზე იასპარეზებდნენ, უტოპიური იყო, რადგან არანაირი ინფრასტრუქტურა არ არსებობდა. ახლა ამის სურვილი გამიჩნდა. და არა იმიტომ, რომ კლუბებს თავი მოვუქონო. ჩვენ ავსტრალიაში გვქონდა შეხვედრა რაგბის საერთაშორისო საბჭოს ევროთასების დირექტორთან და საქმე იქითკენ მიდის, რომ 2005-06 წლიდან ქართული კლუბები "პარკერ პენის" თასზე ითამაშებენ. ეს პირდაპირ კავშირშია კლუბების ინტერესებთან. რატომ არ მიყიდე ბუცი? - კითხვის ასე დასმა არასწორია. მართალია, მე არ გიყიდე ბუცი თუ სხვა რამ, მაგრამ შეგიქმენი საინვესტიციო გარემო, რომლითაც შენ უნდა ისარგებლო.

ერთი სიტყვით, პრიორიტეტი რაგბის კავშირის სათავეში ჩემი დარჩენის შემთხვევაში კვლავაც იქნება ნაკრები (აქედან გამომდინარე, გაიზრდება ნაკრებების რაოდენობაც, ანუ იქნება არა მარტო 19 წლამდელთა ნაკრები, არამედ 18 და 21 წლამდელთა ნაკრებებიც, რომლებიც ითამაშებენ მსოფლიო თასზე) და კლუბები. მთავარი კი ისაა, რომ სტრატეგიის ვექტორი საფრანგეთიდან საქართველოზე, ანუ შიდა რესურსებზე გადმოდის. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ჩემპიონატი სულ სხვა დონეზე უნდა ავიდეს, კლუბები გაძლიერდნენ, რათა ევროთასებზე ნორმალურად გამოსვლა შევძლოთ. ის, რომ რესურსები აქეთ გადმოდის, იმას არ ნიშნავს, რომ ფრანგებთან ურთიერთობას ვწყვეტთ. როცა საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბერნარ ლაპასეს ულოცავდნენ საქართველოს ნაკრების მსოფლიო თასზე გასვლას, ის ამ მილოცვებს იღებდა. ახლა დაგვცინიან, რომ მომავალ მსოფლიო თასს "სამშობლოში" (საფრანგეთში) ვითამაშებთ. ჩვენ გვაქვს მასთან კონტაქტი და გარკვეული პროექტებიც შევიმუშავეთ. საქმე უკვე დოკუმენტების შედგენამდე მივიდა.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ახალი მოსაზრება მოთამაშეთა ამპლუის მიხედვით მუდმივი სავარჯიშო ბანაკების შექმნის თაობაზე. რაც მთავარია, მომავალში ცვლილებები განხორციელდება მართვის სტრუქტურაში. თავის დროზე, როცა მე ამირჩიეს, განვაცხადე, რომ არჩეული ვიცე-პრეზიდენტი და არჩეული მწვრთნელი არ მჭირდებოდა. ბევრი არაპოპულარული ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ ვთვლიდი, რომ ასე იყო საჭირო. გგონიათ, მიხაროდა, პასუხისმგებლობა მარტო ჩემ თავზე რომ ავიღე? ახლა ცვლილებებია საჭირო. ამიტომაც შეიქმნება ახალი სტრუქტურა, რომელსაც, არ ვიცი, საბჭო დაერქმევა თუ გამგეობა.

**- რაგბის კავშირის სათავეში თქვენი დარჩენის შემთხვევაში გექნებათ თუ არა ურთიერთობა მერაბ ანთაძესთან? მან განაცხადა, რომ შეგულებული ჰყავს რამდენიმე ფირმა, რომლებიც სპონსორობას გაუწევენ რაგბის კავშირს. იქნებ ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტისთვის მიგეღწიათ?**

- როცა მე პრეზიდენტად მირჩევდნენ, ჩემი ოპონენტები იყვნენ მიშა რობიტაშვილი და მიშა ბურძგლა. დღეს ისინი, ორივენი, რაგბის კავშირში მუშაობენ.

**- თქვენ ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლებაზე ისაუბრეთ. ამავე დროს, კლოდ სორელის სიტყვებით, ეროვნული ჩემპიონატში არიან მწვრთნელები, რომლებიც მის წინსვლას აფერხებენ...**

- სორელი სწორად მოიქცა, როცა არ დაასახელა ამ მწვრთნელთა გვარები, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ნათელია. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც პირადად მე და მთელი სარაგბო სამყარო უზარმაზარ პატივს სცემს, მაგრამ ისინი არ შეიცვლებიან. ამის ილუზია არა მაქვს. არ უნდათ, რომ რაღაცა გაიგონ, მაგრამ ამისგან ტრაგედიას ნუ შევქმნით. დღეს არის ბევრი ახალგაზრდა მწვრთნელი, რომელთაც უკვე აქვთ წარმატებები. ახალ ზელანდიაში, მწვრთნელთა შეკრებაზე არიან გია კუბლაშვილი და მიშა ბურძგლა. გვაქვს კონტაქტი ინგლისელებთან, რომლებთან თანამშრომლობაც სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება. პირველი, რაშიც რეკომენდაციები და დახმარება ვითხოვე, ეს იქნება კიდევ ერთი ბერკეტი მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

***P.S.*** გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ კაფე "მსოფლიო სპორტში" ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ამით კავშირმა მადლიერება გამოხატა იმ ბიზნესმენებისადმი, რომელთა დახმარებითაც ნაკრების ავსტრალიაში ვოიაჟი უპრობლემოდ განხორციელდა. სტუმართა შორის იყვნენ მამუკა ხაზარაძე, ვანო ჩხარტიშვილი, გიორგი მშვიდობაძე, თემურ ჭყონია, ლევან ფხაკაძე და სხვები, რომლებსაც სამახსოვროდ გადაეცათ ნაკრების სიმბოლოიანი მაისურები და კეპები.

ეგზოტიკა

# ბოულინგი - უჩვეულო გართობა და აზარტული სპორტი

*"24 საათი" გთავაზობთ ახალ სპორტულ რუბრიკას, სახელწოდებით "ეგზოტიკა". ამ რუბრიკის ქვეშ მკითხველი გაეცნობა სპორტის ისეთ სახეობებს, რომელიც, მთელ მსოფლიოში პოპულარობის მიუხედავად, ან საერთოდ უცხო ხილია ქართული საზოგადოებისთვის, ან ახლა იკიდებს ფეხს. კერლინგი, ბოულინგი, კრიკეტი, გოლფი სწორედ ისეთ სახეობებს განეკუთვნება, რომლებსაც მთელ მსოფლიოში მილიონობით მოყვარული და მიმდევარი ჰყავს. რუბრიკა "ეგზოტიკა" იქნება მცდელობა იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სახეობები საზოგადოებას შეძლებისდაგვარად კარგად გააცნოს და მათდამი ინტერესი აღუძრას.*



ითამაშეთ ბოულინგი.

სპორტი, ფართო გაგებით, მხოლოდ მედლებისა და ქულებისთვის ბრძოლა, გამარჯვებების მოპოვება და ჩემპიონობა არ არის. სპორტის მთავარი დანიშნულება ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, სხეულის გაკაჟებაგავარჯიშებაა. თქმა არ უნდა, სპორტულ სარბიელზე წარმატების მიღწევა ბევრისთვის ცხოვრების მთავარი მიზანი და სერიოზული აზარტიც კია, თუმცა, დღევანდელ სტრესულ გარემოში სპორტულად ცხოვრება და გაჯანსაღება უფრო მეტ აქტუალობას იძენს. იქნებ ამიტომაც, ერთი შეხედვით, უცნაური გასართობი თამაში, დღეს უკვე სპორტულ სახესხვაობად ჩამოყალიბებული ბოულინგი, არნახულად პოპულარული შეიქმნა არა მარტო ამერიკაში, ასევე ევროპასა და აზიაში. რაც მთავარია, წავიდა ის დრო, როცა მხოლოდ ტელეეკრანზე შეგვეძლო გვენახა გაპრიალებულ ბილიკებზე მოსრიალე ბურთებისთვის. თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, ერთადერთი ბოულინგ-ცენტრია. იგი ჯერჯერობით აკმაყოფილებს მოთხოვნას. თუმცა, ბოულინგის მზარდი პოპულარობიდან გამომდინარე, წესით, მსგავსი პროფილის დარბაზები დედაქალაქშიც და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც უნდა მომრავლდეს.

ბოულინგის საყოველთაოობას თამაშის მარტივი წესი და მისი დემოკრატიული ბუნება განაპირობებს. ბოულინგით თავშექცევა ერთნაირად შეუძლიათ დიდსა თუ პატარას, ქალსა და მამაკაცს, ფიზიკური მონაცემებისგან დამოუკიდებლად. მისი სიმარტივე ბილიკზე მონიშნულ სამიზნეთა მიმართულებით ბურთის გაგორებაში გამოიხატება, თუმცა, ერთგვარი დაოსტატება სროლის ტექნიკასაც ესაჭიროება. მთავარია, ზუსტად აირჩიო ის გეზი, თუ რა ტრაექტორიით გაასრიალო ბურთი და მერე მცირეოდენი მოხერხებულობაც საკმარისია მიზნის მისაღწევად. პრაქტიკოსთა დაკვირვებით, ასე მარტივად, თამაშ-თამაშით გამომუშავებული მიდგომა ცხოვრებისეულ გამოცდილებაშიც გამოსადეგია, რადგან ლოგიკურ აზროვნებასაც გაჩვევს და ორიენტაციის სწორ შერჩევაშიც გეხმარება. თანაც, აღმოჩნდა, რომ, თურმე, მხედველობის გაუმჯობესებასაც უწყობს ხელს.

ბოულინგისადმი დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ის საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტის სახეობად აღიარა და 1998 წლის მსოფლიო ახალგაზრდული თამაშების საჩვენებელ პროგრამაში ჩართო. ბოულინგის საერთაშორისო ფედერაციის მესვეურნი ძალისხმევას არ იშურებენ, რათა იგი ოლიმპიურ სახეობად მოგვევლინოს.

რუბრიკა "ეგზოტიკა" ბოულინგის მხოლოდ ამ ზოგადი დახასიათებით არ შემოიფარგლება. "24 საათი" მომავალშიც სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციას ბოულინგის წესების, ტერმინების, ისტორიის, დღევანდელობისა და იმ ტურნირების თაობაზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში მუდმივად იმართება.

ჭორჭორი

ნინო I

## ბორის ბეკერის ახალი ამპლუა



ბორის ბეკერი ჟურნალისტობას იწყებს.

"თვრამეტი წლის განმავლობაში ვიყავი რესპონდენტი. ჟურნალისტები ათასგვარ კითხვებს მისვამდნენ. თუმცა, მუდამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ არასოდეს უკითხავთ რაიმე მნიშვნელოვანი. ახლა მინდა, თავად დავსვა კითხვები, თანაც, საინტერესო კითხვები".

ალბათ, უკვე მიხვდით, რაშიცაა საქმე. ჩოგბურთის ექს-ვარსკვლავი ბორის ბეკერი ტელემოდერატორი ხდება. კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრება კითხვებზე პასუხის გაცემა უწევდა, ახლა თავად აპირებს გადაცემის გაკეთებას და საინტერესო პიროვნებების მიპატიჟებას. ბორისის შოუ ნახევარსაათიანი იქნება და აპრილიდან გავა ჰამბურგული DSF-ის ეთერში. გუშინ ტელეარხმა ბეკერი საზოგადოებას წარუდგინა. ახლად გამომცხვარ ტელეწამყვანს კლასიკური შავი კოსტიუმი და თეთრი პერანგი ეცვა. საფირმო ვარცხნილობის შეცვალზე არც უფიქრია. ქერა თმა ისევ მამლის ბიბილოსავით ჰქონდა შუბლზე აქოჩრილი. თავისუფლად იჯდა ტელეკამერების წინ და მაყურებელს ჰპირდებოდა, აპრილიდან მეტად საინტერესო სპორტული შოუ გელითო. "ჩვენ, სპორტსმენები, ჟურანლისტებს ისე ვუყურებთ, როგორც მოწინაამღდეგეებს, რომელიც აუცილებლად უნდა დაამარცხო. ჩემს სტუმრებს სულ სხვა გარემოს შევუქმნი. ისინი ხომ მეტ-ნაკლებად უკვე მიცნობენ. სწორედ ამიტომ იმედი მაქვს, ისინი ჩემთან უფრო მეტად გაიხსნებიან", - სამომავლო გეგმებზე საუბრობდა ბეკერი. როგორც მან აღიარა, თურმე პირველი გადაცემის წაყვანის წინ ისე ღელავს, როგორც კორტზე გასვლამდე ნერვიულობდა ხოლმე. სხვათა შორის, ბეკერისთვის ახალი სულაც არ არის ეთერში ჯდომა. რესპონდენტის ამპლუას რომ თავი დავანებოთ, კორესპონდენტადაც ყოფილა ერთი-ორჯერ, თუმცა, საკუთარი გადაცემა აქამდე არასოდეს ჰქონია. გასულ წელს ბეკერმა ერთხელ უკვე მოსინჯა ძალები მისთვის სრულიად უცხო სფეროში: გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი სათაურით "შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ". ფრაზა, ალბათ, გეცნოთ - გოეთეს "ფაუსტიდანაა." "ფაუსტის" ფილოსოფიური სიღრმისა და ყველაფრის შემეცნების დაუძლეველი სურვილისა რა მოგახსენოთ, სხვა მხრივ კი ბეკერის ამ შედევრს არა უშავდა რა - წიგნს ნამდვილად არ აკლდა მკითხველისთვის საყვარელი სკანდალური აღსარებები, რისი წყალობითაც ჩოგბურთის ვარსკვლავის ავტობიოგრაფია გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა. რაკი ლიტერატურაში ასეთი დიდი ნიჭი გამოამჟღავნა, ბეკერი თავისუფლად შეერკინა ჟურნალისტიკასაც. მაინც რამ გადააწყვეტინა ყოფილ ჩოგბურთელს ტელეწამყვანობა? თურმე, ნუ იტყვით, ეს სურვილი ბეკერს გასჩენია 2002 წლის მაისში, როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, დრამატულ ბრძოლაში, მადრიდის "რეალმა" ლევერკუზენის "ბაიერს" ძლივს გამოგლიჯა ხელიდან გამარჯვება. მაშინ იმ მატჩის კომენტატორს, თურმე, ძალიან ცუდად წაუყვანია რეპორტაჟი: სულ გამარჯვებულზე საუბრობდა, მე კი დამარცხებულის მდგომარეობა უფრო მაინტერესებდა - ფინალში წაგება ხომ ასე მტკივნეულიაო, ამბობს ბეკერი. სწორედ ამიტომ ბეკერი აპირებს, თავის ახალ პროგრამაში ვიცე-ჩემპიონებს უფრო მეტი დრო დაუთმოს, ვიდრე ჩემპიონებს. "ჩემპიონებზე და გამარჯვებულებზე მეტად ვიცე-ჩემპიონები და დამარცხებულები მაინტერესებს. ეს ის ხალხია, ვისაც გამარჯვება ხელიდან გაუფრინდა, ვისაც დამარცხებამ ტკივილი აგრძნობინა", - აცხადებს ბორისი. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ ვის მიწვევას აპირებს ბეკერი თავის გადაცემაში. ეს ჯერ საიდუმლოა...

### პატრიკ კლუივერტის მორიგი განავარდება

"ბარსელონას" ფერადკანიანი ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი რომ მეტად უსაქციელო ვინმე ბრძანდება, ეს ნამდვილად არ არის ახალი. ბულვარული გაზეთების გულის გასახარად, კლუივერტი არაერთხელ ნასვამი მჯდარა საჭესთან, არხეინად გაუქროლებია მანქანა წითელ შუქზე და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, პოლიციის განყოფილებაშიც ბევრჯერ ამოუყვია თავი. 1996 წელს კლუივერტს ამსტერდამში მძიმე ავარია მოუხდა, რის შედეგადაც საჭესთან მჯდომი შუა ხნის მამაკაცი გარდაიცვალა, მისი თანმხლები ქალი კი მძიმედ დაშავდა. ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, ნასვამი იყო. ამ ინციდენტის შემდეგ კლუივერტს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს და ამით დასრულდა ყველაფერი.

სამშაბათს კლუივერტმა კვლავ გაიხსენა მავნე ჩვევები და ვარჯიშზე წასვლამდე კარგად გამოთვრა. მერე კი, იმის ნაცვლად, რომ შინ წასულიყო და გამოეძინა, "ბარსას" საწვრთნელი ბაზისკენ აიღო გეზი. გაბრაზებულმა ფრენკ რაიკარდმა თავისი უდისციპლინო თანამემამულე სახლში გაისტუმრა - გამოფხიზლდი და მერე მოდიო. ჯარიმად კი 6000 ევროს გადახდა დააკისრა. ეს თანხა დიდი არაფერია კლუივერტისთვის - მას ხომ ასე კარგად უხდიან "ბარსაში". უბედურება ის არის, რომ ჰოლანდიელის უსაქციელობის შესახებ ესპანურმა პრესამ მაშინვე გაიგო და რეაგირებაც არ დააყოვნა: მეორე დღეს უკვე ყველამ იცოდა კლუივერტის თავის მოგიჟიანების მორიგი ამბავი.

### როდის დასრულდება დეპრესია?

ეს კითხვა მეტად აქტუალურია "ბაიერნის" ფანებს შორის. ყველას ძალიან აინტერესებს, როდის დააღწევს თავს სებასტიან დაისლერი დეპრესიულ მდგომარეობას და როდის დაუბრუნდება გუნდს. როგორც ჩანს, ეს დღე არც ისე შორს უნდა იყოს. 21 იანვარს დაისლერი მამა გახდა: პატარა რაფაელი ხუთშაბათს, ღამით მოევლინა ქვეყანას მიუნხენის საავადმყოფო "ჰარლახინგში". ახალშობილი საკეისრო კვეთით დაიბადა. 49 სანტიმეტრია და 3 კილოს და 400 გრამს იწონის. პატარა შავთმიანია, ალბათ, დედას დაემსგავსა. დაისლერის მეგობარი ქალი, 36 წლის ეუნისი, ბრაზილიელია. "ბაიერნის" ვარსკვლავი მეტად ბედნიერია. იქნებ პატარა რაფაელის დაბადება მას დეპრესიის დაძლევაშიც დაეხმაროს? სხვათა შორის, დაისლერის დეპრესიის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო - ორსულ ეუნისს მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, გამუდმებით ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იყო, რასაც მგრძნობიარე "ბასტი" ძალიან განიცდიდა. ახლა, როცა ყველაფერი კარგად დამთავრდა, არც "ბაიერნში" დაბრუნებაა გამორიცხული. "ბავშვი იმედის, საუკეთესო მომავლის სიმბოლოა. რაფაელის დაბადება სებასტიან დაისლერზე ნამდვილად დიდ გავლენას მოახდენს, მას დადებით იმპულსს და ენერგიას შემატებს. ის მალე დაძლევს კრიზისს", - ამბობს ფსიქოლოგი მიხაელ ტილი.

დაისლერს უკვე შეუძლია იმ კლინიკის დატოვება, სადაც ის ბოლო დროს დეპრესიისგან თავის დაღწევას ცდილობდა. მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ახლა ფეხბურთელს უკვე აღარ სჭირდება სტაციონარული მკურნალობა. დაისლერი აქედანვე მხოლოდ ბავშვზე ფიქრობს: "მისთვის საუცხოო ოთახს ვამზადებთ. ოთახი ძალიან ლამაზი უნდა იყოს, რათა ბიჭუნას იქ ყოფნა არ მოსწყინდეს", - ამბობს სახეგაბრწყინებული ფეხბურთელი. ასეთი ბედნიერების შემდეგ კი უკვე ფეხბურთზეც შეიძლება ფიქრი...



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე...

შეიძლება, მთლად ჩოქვით არა, მაგრამ ქუჩაში ისე ვერ ჩავუვლი გვერდს ყვავილების გამყიდველს, თუ ჯიბეში ერთი-ორი ზედმეტი ლარი მეგულება, ყვავილები რომ არ ვუყიდო საკუთარ თავს, სახლში მოვიტანო და ლარნაკში ჩავდო. ასეთ დღეს განსაკუთრებით კარგ გუნებაზე ვდგები. მაგრამ ჩემი ამგვარი გახალისება სულ უფრო და უფრო რთული ხდება, ვინაიდან ყვავილების გაყიდვამ მიიღო გაუგებარი ფორმა, რომელიც არ ემთხვევა არც ჩემს გემოვნებას და არც წარმოდგენას ლამაზ თაიგულზე.

თბილისში ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყიდება ერთი და იგივე ტიპის, გამზადებული თაიგულები, რომლებიც, როგორც წესი, გაუგებარი ტონალობის, აჟურულად დაჭრილ, უცნაურად მოხატულ, ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული, ფერადი ლენტებითაა შეკრული და სამი გასაცოდავებული ყვავილისგან შედგება, რომლებიც ჯოხზეა წამოცმული, მიბმული აქვთ სხვადასხვა მცენარის ფოთლები, წიწვები. შუაში კი, მოცულობისთვის, ჩატენილი აქვთ მაკულატურის განუსაზღვრელი რაოდენობა.

დავუშვათ, მაინც იყიდე ასეთი თაიგული და სახლში მიიტანე. აი, აქ იწყება ტანჯვა - უნდა გახსნა საშვილიშვილოდ შეკრული ყვავილები, დააცალკევო, არ იცი, ამდენი ქაღალდი სად წაიყო, რა უყო უამრავ სველ გაზეთს, რომელიც თაიგულის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს. მოკლედ, ძალიან რთული პროცესი გაქვს გასავლელი, სანამ ყვავილებს დაუბრუნებ ნატურალურ მდგომარეობას და, უბრალოდ, ლამაზ თაიგულს ჩადგამ ლარნაკში. მოკლედ, აღარც ყვავილი მოგინდება და არც ესთეტიკისთვის ბრძოლა.

ერთადერთი ყვავილი, რომელსაც ამდენი ხანი ვერაფერს უხერხებდნენ და ვერ ამახინჯებდნენ, ია იყო, მაგრამ ამ ორიოდე დღის წინ, ჯოხზე ჩამოცმული, ბუჩქებით გარშემორტყმული, მოიისფრო-მოვარდისფრო ცელოფანში, ულმერთოდ გახვეული იაც ვნახე. სად გაქრნენ უბრალო გლეხები, რომლებიც ყველა კუთხეში ახალდაკრეფილი იების კონებს ჰყიდდნენ, ყოველგვარი დეკორირების გარეშე?

მხოლოდ რევოლუციურ ტალღაზე აღტკინებულ მიშა სააკაშვილს შეეძლო ეშოვნა თბილისში ასეთი, ბუნებრივად ლამაზი წითელი ვარდები. ქალაქში იყიდება მხოლოდ ხელოვნურად დაგრძელებული, რეზინით ან ცელოფნით შეკრული, გაპუტული, ზოგჯერ შეღებილი ვარდები, კვლავ გაუგებარ გამწვანებაში გახვეული და ბრჭყვიალა ქაღალდით შეფუთული.

წამოვიდა ახალი, უცნაური მოდა - ყვავილების ღებვა წარმოუდგენელ ქიმიურ ფირუზისფერ-ვარდისფერ ფერებად. მართლა არ მესმის, რატომ ამახინჯებენ ბუნებრივად ასეთ ლამაზ ყვავილებს, რატომ წვალობენ, ხარჯავენ დროს, ენერგიას და საღებავს და ვინ ყიდულობს ამ სიმახინჯეს?

საერთოდ საინტერესოა, ვინ აკონტროლებს ყვავილების ბიზნესს თბილისში? ეგება, სწორედ იმ ვიღაცის გემოვნებას ეწირება როგორც ყვავილის სილამაზე, ისე ჩვენი არჩევანის უფლება? როგორ შეიძლება, რომ ყვავილების ყველა გამყიდველს ერთნაირი, მდაბიო გემოვნება ჰქონდეს. ეს უფრო ტენდენციას წააგავს, ვიდრე ცალკეული მეყვავილის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას.

თუ ბევრი ფული გაქვს, შეგიძლია გაიარო ჰოლანდიურ მაღაზიაში და იყიდო შროშანები, ორქიდეები, მაგრამ რატომ? მე ახალდაკრეფილი, უბრალო, თუნდაც სათბურის ყვავილები მიყვარს, რომლებიც, ბუნების წყალობით, ნამდვილად არის საქართველოში, ზამთარშიც კი და რომლებიც ყოველთვის იყიდებოდა თბილისის ბაზრებში თუ ქუჩებში. ახლა ბაზარში უნდა შეხვიდე, დახლებს შორის მოძებნო ყვავილები, რომელთა შეფუთვა-დეკორირება და, შესაბამისად, დამახინჯება ჯერ ვერ მოასწრეს.

ან რა ახალი ტენდენცია წამოვიდა კაპრონის, ნეილონის, ბაილონის და სხვა სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული ყვავილებისა, რომლებსაც მოაოქროსფერებენ ან მოავერცხლისფერებენ, გამხმარ ტოტზე დაამაგრებენ მავთულით და ტულით "გაალამაზებენ". ნუთუ ვინმეს ეს "სილამაზე" მოსწონს? რა დაგვემართა, ქართველებო, სად წავიდა ჩვენი გემოვნება, თუნდაც ისეთ მარტივ რამეში, როგორიც ყვავილების შერჩევაა? დარწმუნებული ვარ, მიშა სააკაშვილი ხელოვნური, ნეილონის ვერცხლისფერ-ვარდისფერი ვარდით ხელში რომ შესულიყო 22 ნოემბერს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, რევოლუციის ბედი სულ სხვაგვარად შეიძლებოდა წარმართულიყო.

ჩვეულებრივი, ბუნებრივი წითელი ვარდი, საშუალო სიგრძის ეკლიან ღეროზე, ყოველგვარი ქაღალდებისა და რეზინების გარეშე - ნუთუ ამაზე ლამაზი შეიძლება რამე იყოს? ან ახალდაკრეფილი იები?

ყვავილების ყიდვისას ყოველთვის ვთხოვ გამყიდველს, თვითონვე დამიშალოს საკუთარი რთული კონსტრუქცია და ნატურალურ მდგომარეობაში დააბრუნოს ყვავილები. არასდროს მიყიდია ნარინჯისფერი ან ცისფერი, პულველიზატორით შეღებილი კალები, რომელთა სილამაზე სწორედ მათ თეთრ ფერშია.

მე არ მოგიწოდებთ, მაგრამ თუ ოდნავ მაინც მეთანხმებით, რომ თბილისში ყვავილების სიუხვის მიუხედავად, ძნელია ლამაზი ყვავილების შოვნა. მაშინ თქვენც დააშლევინეთ თაიგული, მოახსნევინეთ ქაღალდები, ამოაღებინეთ სველი გაზეთები და დაუბრუნეთ ყვავილებს მათი პირვანდელი სილამაზე. ეგება, ნელ-ნელა დაბრუნდეს ის გემოვნებაც, რომელიც პროვინციალიზმის გემოვნებით ჭაობში ჩაიძირა და რომლის გადარჩენა ყველა ჩვენგანის ინტერესია.















თემურ სუხიტაშვილის ფოტოები

კოკა იგნატოვის ნახატები

# ჩემი აზრი და მეტი არაფერი

ამერიკული პოლიციური დეტექტივების უმრავლესობა იმით მთავრდება, რომ წესიერი, ახოვანი, არაკორუმპირებული, მორალურად მდგრადი, ლამაზი პოლიციელი იჭერს სასტიკ დამნაშავეს და მართლმსაჯულებას გადასცემს.

ბოლო დროის ქართული ტელევიზიის ყველა არხის საინფორმაციო გადაცემები სწორედ ასეთი პოლიციური დეტექტივების ფინალს წააგავს, ოღონდ ერთი განსხვავებით: დამნაშავეებს იჭერენ არა ახოვანი, არა მორალურად მდგრადი და არა ლამაზი პოლიციელები; თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად, სრულიად მიუღებელი მეთოდებით მოქმედებენ და ატარებენ, ასე ვთქვათ, სპეცოპერაციებს.

ქუთაისის ტრასის პიკეტის დაშლის ან საროსკიპოების დარბევის ამსახველ კადრებში აშკარად ჩანს ჩვენი პოლიციის არაცივილურ-არაადამიანური მეთოდები, რომლებიც ნამდვილად ყურადღებამისაქცევია და, ჩემი აზრით, სასწრაფოდ ზომების მისაღები.

რამდენადაც გაუგებარი და აბსურდული არ უნდა იყოს ქუთაისელი კანონიერი ქურდის მხარდასაჭერად გზის ჩახერგვა, იმდენად გაუგებარია, რა საჭიროა ამ ხალხის დასისხლიანება და ხელკეტებით ულმერთოდ ცემა. არავის ეპარება ეჭვი, რომ საროსკიპოში როსკიპები მუშაობენ, მათი სამსახურებრივი მოვალეობაა, იწვნენ ლოგინში და, უმჯობესია, შიშვლები. რა საჭიროა ამის ჩვენება და საბნის გადახდა? თუ, რა თქმა უნდა, თვითონ პოლიცია არ იკმაყოფილებს საკუთარ ცნობისმოყვარეობას. ასეთი მაგალითების მოყვანა ნამდვილად არ გამიჭირდება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

ბოლო ათწლეულები საქართველოში პოლიციური რეჟიმი იყო, რომელშიც, რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, ყველაზე დისკრედიტებული თვით პოლიცია იყო - სწორედ ამგვარი მეთოდების, კორუფციისა და ბევრი სხვა რამის გამო. თუ გვინდა, ვებრძოლოთ კორუფციას, რატომ არ უნდა გვინდოდეს ამგვარი მეთოდიკის აღმოფხვრაც?

სადამ ხუსეინსაც კი რომ იჭერდნენ და ორმოდან ამოჰყავდათ, არავის უნახავს მისი დასისხლიანებული სახე, 21-ე საუკუნის უდიდესი დამნაშავე ხელკეტებით არ უცემიათ. მეტიც, პირველი, ვინც მიუყვანეს, ექიმი იყო.

თუ გვინდა ცივილური, ნორმალური სახელმწიფო ავაშენოთ, ყველა ნიუანსი უნდა იქნეს გათვალისწინებული და გამოსწორებული, ხოლო ქართულ პოლიციას რომ ბევრი მანკიერი ნიუანსი გააჩნია, ამაზე, ალბათ, არავინ შემეკამათება. პირველი კი ის სისასტიკეა, რომელსაც ჩვენი პოლიციელები, იმედია, ნებაყოფლობით, ასეთი ხალისით იჩენენ დაკავებულების მიმართ.

ძალიან ძნელია ამის ყურება და არასწორი - არარეაგირება. ეს ჩემი აზრია და მეტი არაფერი.

# „იანვრის დეკლარაცია"

მე მივეკუთვნები იმ თაობას, რომელიც თუ არ გადაჰყვა ყვინთაობას, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბევრი რამის მიმართ დაკარგა რწმენა, მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში მოგვიწია ცხოვრება. ბევრი დეკლარაციის, თეორიის, თეზისის, მოწოდების თუ, უბრალოდ, სიტყვის მოწმენი ვართ, მაგრამ შედეგიც სახეზეა, უფრო სწორად კი, უშედეგობა.

როგორიცაა წყობა, ისეთია არქიტექტურა; როგორიცაა მმართველი, ისეთია მშენებლობა. როგორც ნაპოლეონმა დაასვა დაღი პარიზს, სტალინმა - მოსკოვს, ასევე შევარდნაძემ დატოვა წარუშლელი კვალი ჩვენს ქალაქზე და შეეცადა, ცოტა მამათისთვის თუ არა, სხვა პროვინციული ქალაქისთვის თუ სოფლისთვის დაემსგავსებინა. თუმცა, შევარდნაძემ კვალი არა მარტო თბილისს, არამედ მთელ სისტემას დაატყო, რომელსაც თამამად შეგვიძლია, მისი სახელი ვუწოდოთ. ყოფილი პრეზიდენტი ისე იოლად აწერდა ხელს რეზოლუციებსა და დადგენილებებს პრივატიზაციის თუ ქალაქის უმნიშვნელოვანესი ძველი ნაწილების ვინმეზე ან რამეზე გადასაცემად, თითქოს ეს მისი პედაგოგი მამის, ან მწიგნობარი ბაბუის დანატოვარი ყოფილიყო.

მოხდა რევოლუცია, შევარდნაძე გავიდა თუ გაიყვანეს დამსახურებულ ან დაუმსახურებელ პენსიაზე, მაგრამ მისი მმართველობის დროს განებივრებული ორგანიზაციები და კერძო პირები ან ვერ იჯერებენ, ან არ უნდათ დაიჯერონ, რომ დამთავრდა ის დრო, როდესაც თუნდაც პრეზიდენტი ერთპიროვნულად წყვეტდა მისთვის სრულიად არამშობლიური ქალაქის ბედს.

მე კი ძალიან მინდა დავიჯერო, რომ "იანვრის დეკლარაცია", რომელიც ამ კვირაში ახალგაზრდა არქიტექტორთა ჯგუფმა წარუდგინა პროფესიონალებსა და საზოგადოებას საკრებულოს დარბაზში და რომელიც არქიტექტურის, მშენებლობის სისტემის რეფორმირებას გულისხმობდა, რეალობად იქცევა, განხორციელდება და არ დარჩება ჰაერში ნათქვამ სიტყვად, როგორც ეს ბოლო 30 წლის განმავლობაში არაერთხელ მომხდარა. სწორედ ამ "იანვრის დეკლარაციის" ხორცშესხმის შედეგად, ვეღარ აშენდება ახალი რესპუბლიკის მოედანი, აღარ დამახინჯდება რიყე, რომლის წილად ერთი რესტორანი "სარაჯიშვილიც" საკმარისია; აღარ აშენდება "ბერიკონი", "ქალაქური", მოხდება დიფერენციაცია საბურთალოს, ვაკესა და სოლოლაკს შორის, დაიშლება "შუშის სახლი" და თავისუფლების მოედანზე ულმერთოდ დანგრეული ლამაზი, ძველი შენობის მაგივრად, ვინმე, პენსიებზე და ანაბრებზე გამდიდრებული ბანკირი, ვეღარ ააშენებს თავისი გემოვნებით საკუთარ ბანკს. არც ერთი არქიტექტორი აღარ იტყვის - "შეკვეთა დავითრიე", იმიტომ, რომ სწორედ ამ "დათრევას" სჭირდება ძალიან დიდი პროფესიულზნეობრივი კომპრომისი, რომლის შედეგიც დღეს თბილისს ასე ეტყობა. ვერც ერთი სამშენებლო ორგანიზაცია ვეღარ ააშენებს თავისთვის ასეთ მომგებიან 10-სართულიან სახლს 3-4-სართულიან კვარტალში, ვეღარ შეღებავს ვარდისფრად ან მწვანედ და ვერც ერთი მოსახლე ვერ გამოცვლის კარ-ფანჯარას თავისი შესაძლებლობის ან გემოვნების მიხედვით.

ამ ყველაფერს კი სჭირდება ძალიან მარტივი და, ამავე დროს, ძალიან რთული რამ - რეალური მოქმედება, პირველი გადადგმული ნაბიჯი, "იანვრის დეკლარაცია", რომლის თეორიულ-კონცეპტუალურ სისწორეში არავის ეპარება ეჭვი, ისევე როგორც მისი ავტორების გულწრფელობაში + ამ დეკლარაციის დამუშავება და რეალიზაცია + არაკორუმპირებული, არადისკრედიტებული ქალაქის ხელისუფლება, რომელიც აღასრულებს არქიტექტორების, პროფესიონალური საბჭოსა და საზოგადოების ნებას, მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე.

ეს ყველაფერი კი უნდა დაიწყოს, თუნდაც, ერთი მშენებლობის გაჩერებით, ან 6-სართულიანი სახლის 9-სართულიანად გადაკეთებისას, ზედმეტი სართულების მოშლით, ან, თუნდაც ერთი ფასადის მოწესრიგებით და ჩარჩოებში ჩასმით.

არც ერთი ბიუროკრატი არ აღიარებს საკუთარ კორუმპირებულობას, ყველა არქიტექტორს თავი გენიოსი ჰგონია, ყველა მდიდარს - სარაჯიშვილი. კეთილი, ჩვენც ასე გვგონია, მაგრამ ნება მოგვეცით, შევამოწმოთ თქვენი ხელების სისუფთავე, პრინციპები, ზნეობა და პროფესიონალიზმი ოდითგან არსებული მეთოდებით - კონკურსებით, ტენდერებით, გამჭვირვალობით და ამ ყველაფრის გარანტად იდგეს ახალი ტიპის ჩინოვნიკი, ნიჭიერი, მცოდნე არქიტექტორი, მიუკერძოებელი საბჭო და, რაც მთავარია, საზოგადოება, რომლის წევრები მე და ჩემი თაობის ყველა წარმომადგენელიც ვართ.

აი მაშინ, მეც და ჩემი ურწმუნო თაობაც, დავიჯერებთ, რომ რაღაცა რეალურად დაიწყო, რომ სიტყვა შეიძლება საქმედ იქცეს და "იანვრის დეკლარაცია" მხოლოდ ენთუზიასტი ახალგაზრდა არქიტექტორების უტოპია-ნატვრა არ არის.

**P.S.** ნამდვილად არ ვარ ამ საკითხში პროფესიონალი და გთხოვთ, მომიტევოთ ის დილეტანტიზმი, რომელიც შეიძლება, ამ წერილში იგრძნობა. უბრალოდ, მინდოდა, შეძლებისდაგვარად, საზოგადოების ერთი ნაწილის აზრის გადმოცემა.

მერიდიანი

# ქართველები შევარდნაძეს პატივს სცემდნენ, მაგრამ არასდროს უყვარდათ

საიმონ სიბეგ მონტეფიორე
"დეილი ტელეგრაფი"

*ჟურნალისტი სიბეგი თავისი მეგობრის, ცივი ომის ტიტანებიდან უკანასკნელი ტიტანის შესახებ*




პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომით დაეცა იმ სამი ტიტანიდან უკანასკნელი, რომელთაც ცივი ომი დაასრულეს. ცოტა პოლიტიკოსს თუ გამოუვლია ამდენი ქარტეხილი. ათი წლის წინ, 1993 წლის 7 ოქტომბერს, როცა მის ქვეყანაში სამოქალაქო ომი დუღდა, დედაქალაქისკენ კი დაპირისპირებული მხარის ტანკები მოემართებოდნენ, შევარდნაძემ თავისთან მიმიწვია, ჩვენ ერთად უნდა გავფრენილიყავით მოსკოვში, მშვიდობის სათხოვნელად.

შევარდნაძის დაცვის ბიჭებმა მაშინ ბევრი მანერვიულეს. ქარაფშუტულად იქცეოდნენ, მთელი რეისი ქეიფში გაატარეს, "ბითლზის" სიმღერებს მღეროდნენ, "ფინქ ფლოიდს" უსმენდნენ, ჩემოდნებს აპირქვავებდნენ და არყის ბოთლებსა და ავტომატებს მაჩვენებდნენ.

პრეზიდენტი გადაღლილი ჩანდა. მის გვერდით დავჯექი და მითხრა: "საქართველოში დაბრუნება ჩემთვის იგივეა, რაც ქაფქაფა წყლით სავსე ქვაბში თავით გადაშვება. თუ საქართველო დაეცემა, დაე, მასთან ერთად მოვკვდე".

მან სამოქალაქო ომიც მშვიდობით გამოიარა და ორ ტერორისტულ აქტსაც გადაურჩა.

შევარდნაძემ, რომელსაც თავისი ხალხი "თეთრ მელას" უწოდებდა, დაცვის ბიჭები – "ბაბუს", ამერიკელი მეგობრები, ჯორჯ ბუში უფროსი და ჯეიმს ბეიკერი კი – "შევის", ფაქტია, ბევრს მიაღწია, თუმცა, ბევრის იმედიც გააცრუა. ის იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც გორბაჩოვთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპის რუსეთის ჰეგემონიისგან გათავისუფლებას, გერმანიის გაერთიანებას და თვითონ საბჭოთა კავშირში კომუნისტური მმართველობის დამხობას. თუმცა, შევარდნაძე საქართველოს დასახმარებლად გამართულმა ბრძოლამ გაანადგურა. მან ქვეყანა თავისუფლებას და დემოკრატიას აზიარა, მაგრამ ძალაუფლების სიყვარულმა და საკუთარი ფიგურის შეუცვლელობის განცდამ დაჩრდილა მიღწეული წარმატებები.

როცა ის საბოლოოდ წავიდა, გახარებული თბილისელები ზეიმობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, შევარდნაძეს ჩაუშესკუს ანდა სადამისგან განსხვავებული სისხლი აქვს. პირიქით: რეიგანს, კოლსა და თეტჩერს ეამაყებოდათ მასთან მეგობრობა. მახსოვს, ერთხელ ვკითხე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის ქაოტურ საქართველოში დაბრუნება დაქვეითება ხომ არ იქნება-მეთქი. მან სევდიანად გაიღიმა: "როგორ მაკლია ეხლა თეტჩერი და ბუში".

შევარდნაძე მაღალი რანგის ოფისებში 38 წლის განმავლობაში მსახურობდა, ალბათ, მხოლოდ ერთი წელი ჰქონდა ჩაგდება. ის 1928 წელს, განათლებულ, მაგრამ ღარიბ ოჯახში დაიბადა; მამამისი, პროფესიით პედაგოგი, სტალინის ტერორის დროს დაკავებული იყო, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს. ედუარდმა კომუნისტური პარტიის მაღალი ეშელონებისკენ გაიკვალა გზა და 1965 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. 1972 წელს საქართველოს კორუმპირებული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ნივთმტკიცებებით სავსე ჩემოდნით მოსკოვში, ბრეჟნევთან გადაფრინდა და უკან რუსეთის მეფისნაცვალის მოსასხამით დაბრუნდა. ის მკაცრი იყო დისიდენტების მიმართ, ხოტბას ასხამდა ბრეჟნევს, მაგრამ პარალელურად, პერესტროიკამდე კარგა ხნით ადრე, ლიბერალიზმის განვითარებასაც უწყობდა ხელს.

შედეგად, 1985 წელს გორბაჩოვმა ის მოსკოვში იხმო და საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელი შესთავაზა. შევარდნაძეც საერთაშორისო დონის ვარსკვლავი გახდა.

მეტიც, მაშინ როცა გორბაჩოვი თავს ირწმუნებდა, განსაკუთრებული არაფერი ხდება, უბრალოდ კომუნიზმის რეფორმირებას ვახდენო, "შევიმ" – ამ ლიბერალმა ქართველმა, უმალ გაიაზრა, რომ კომუნიზმი სულს ღაფავდა და რომ პერესტროიკა სინამდვილეში მისი ბოლო აკორდი იყო. შევარდნაძე გადადგა; გორბაჩოვი გააფრთხილა, მკაცრი კურსის მომხრეებს ძალიან რომ ენდობი, უნდა უფრთხოდეო და მერე 1990 წლის აგვისტოს გადატრიალებაც იწინასწარმეტყველა. საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, გულუბრყვილო, გაუწონასწორებელი, ნაციონალისტი აკადემიკოსი, გვარად გამსახურდია, რუსეთს ალიზიანებდა. ერთხელ მან მითხრა: "თუ ეს რუსეთის ლეკვი შევარდნაძე საქართველოში ოდესმე დაბრუნდება, ჩვენ მას ძაღლივით გავუსწორდებითო". გამსახურდია ჩამოაგდეს; რუსეთმა სამოქალაქო ომი გააღვივა. 1992 წელს შევარდნაძე დაბრუნდა, რუსეთს არ დაემორჩილა, მაგრამ სოხუმისთვის გამართულ სისხლიან ბრძოლაში აფხაზეთი მაინც ვერ შეინარჩუნა. როცა თბილისს 30-იოდე ტანკი უახლოვდებოდა, შევარდნაძემ მითხრა: "იმედია, ხალხი გადაწყვეტს, ვინც გაიმარჯვებს".

"ხალხს 30 ტანკი არ ჰყავს", - წავისისინე მე.

"არც მე", - გაიცინა თეთრმა მელამ. მაგრამ მან მშვენივრად იცოდა, რომ უნდა ჩაეყლაპა შეურაცხყოფა და თავისი წილი ტანკების მოსაპოვებლად მოსკოვში გაფრინდა (ჩემთან ერთად) – ელცინის წინაშე მუხლი მოიდრიკა. მას შემდეგ შევარდნაძისგან ინტერვიუს, რამდენიმე წელიწადში ერთხელ სულ ვიღებდი.

საწყის ეტაპზე მან მოახერხა ქვეყანაში სტაბილიზაციის დამკვიდრება, შემოიტანა დემოკრატია და თავისუფალი პრესა და უზარმაზარი გრანტების მისაღებად თავისი დასავლური კონტაქტები გამოიყენა.

დღეს სტაბილური საქართველო ძველებურად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, მაგრამ უკვე ასევე მნიშვნელოვანია ამერიკისთვისაც – აზერბაიჯანულმა და ყაზახურმა ნავთობმა, ახლო აღმოსავლეთისგან დამოუკიდებლად არსებულმა ამ ახალმა წყარომ ხომ საქართველოზე უნდა გაიაროს.

შევარდნაძე დიდხანს ტკბებოდა დიდებით, მაგრამ სიყვარული მაინც ვერ მოიპოვა: ქართველები მას პატივს სცემდნენ, სანამ სჭირდებოდათ. თეთრი მელა ცივი და გონიერი მარტოსული იყო, მომნუსხველი ქარიზმით, ბიზანტიური ცბიერებითა და მშრალი იუმორით. ასეთი კი გულღია და მშფოთვარე ბუნების ქართველებმა ვერაფრით შეიყვარეს.

გადარჩენა მისთვის დაჭიმულ თოკზე სიარულს ნიშნავდა. მტრებმა აუფეთქეს მანქანა. ტელევიზორში სისხლით დალაქავებული მაისურით გამოჩნდა. "ცოტა მოვიწყინე, - მითხრა ამასწინათ, - უკვე რამდენიმე წელია, არავის უცდია ჩემი მოკვლა".

შევარდნაძემ საქართველო ათი წლის განმავლობაში მართა: პირველი ვადა – შთამბეჭდავი გამარჯვება; მეორე ვადა – სრული იმედგაცრუება, ქარს გატანებული პერსპექტივების გრძელი აღლუმი.

დრო გადიოდა და შევარდნაძე კი სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა ავტოკრატს.

ამ მაკიაველის სტილის მარიონეტმა ვერც კორუფციის ხარისხი შეამცირა და ვერც ეკონომიკისა და განათლების სისტემების რეფორმირება შეძლო. იზრდებოდა სიღარიბის და უმუშევრობის მაჩვენებელი და ქართველებიც თანდათან კარგავდნენ მოთმინებას. და აი, შევარდნაძემ უკანასკნელი ფატალური ნაბიჯი გადადგა, მან ნება დართო თავის გარემოცვას, არჩევნები გაეყალბებინათ. თვით ამერიკასაც კი გაუცრუვდა მოლოდინი.

შევარდნაძე მამაცი იყო. ერთხელ, სროლაგამოვლილმა მითხრა: "შიშის განცდა არ მახასიათებს". მაგრამ თეთრმა მელამ მოქნილობა დაკარგა. სამოქალაქო ომებს რომ გადაურჩა, მითხრა: "რომ მოვმკვდარიყავი, ეს კეთილშობილური სიკვდილი მაინც იქნებოდაო". პირველი ვადის შემდეგ რომ დაეტოვებინა პრეზიდენტის სკამი, გმირად დარჩებოდა. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ მედიამაც, რომელიც ასე ენერგიულად აკრიტიკებდა მას და ოპოზიციამაც, რომელიც ასე მიზანმიმართულად უთხრიდა მას ძირს, სწორედ შევარდნაძის მიერ დამკვიდრებული თავისუფლებით ისარგებლეს.

"მომავალი თაობა გადაწყვეტს, როგორ მომიგონოს – როგორც საქართველოს ლიდერი, თუ როგორც საბჭოთა კავშირის მინისტრი, - მითხრა ერთხელ, - მაგრამ ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი: ხშირ შემთხვევაში ხალხი იღებს იმას, რასაც იმსახურებს".

თუმცა, მომავალი თაობა შევარდნაძეს დაინდობს. მისი დაცემა სამარცხვინო იყო, მაგრამ ის მაინც ღირსეულად წავიდა, სისხლისღვრის გარეშე. მისი მიღწევები მონუმენტურია; მისი მიზნები და ინსტინქტები – მისაღები. თუმცა, მისი ქვეყანა მაინც ქაოსშია ჩაფლული. ბოლოს, როცა ვნახე, სიტყვა კორუფციისა და იმედგაცრუების შესახებ ჩამოვუგდე, რაც მისმა მმართველობამ მოიტანა. რატომ არ გინდა წასვლა? – ვკითხე. "მე მოჭადრაკე ვარ, - მომიგო, - ჩემს შემდეგ სვლას ველოდები". ახლა გროსმაისტერს მატი ჩაუსვეს; ხანგრძლივი თამაში

სკანვორდი



TV პროგრამა

24 იანვარი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** დოკ. ფილმი "ველური სამყაროს ამბები" **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** მხ. ფილმი **18.45** სერიალი "განდგომილი" **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი "მაქსი" **21.00** კურიერი **PS 22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ჩრდილს მიღმა". რეჟ. კრის ვენერი . **02.20** მხ. ფილმი "ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები". მთ. რ-ში: სტივენ ბოლდუინი, კევინ სპეისი

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "ერთადერთი გამოსავალი" **09.45** კრიმინალური ქრონიკა **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** მრავალჟამიერ (აჭარა) **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** ქართ. ფილმი "იმერული ესკიზები" **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **21.50** ფორტუნა **22.25** პროფათეული **23.00** შორეული ახლობელი **23.35** ამბობენ **00.05** მოამბე **00.20** მხ. ფილმი "ზეცის დესპანი" **01.50** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **15.20** ფილმი "იძებნება მალიბუში" **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "შეშლილი სიყვარული" მთ. რ-ში ლორა ჰარინგი, როი ვერნერი. **01.50** "ღამურა" "ველური ანგელოზები" მთ. რ-ში სიუზან უპლეგერი, ევა ჰაბერმანი. **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "ტომი, ჯერი და ჯადოსნური ბეჭედი" **10.15** საბ. სერიალი "მეათე სამეფო" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "კლეოპატრა" 1-ლი ს. **19.00** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **20.45** მხ. ფილმი "აგენტი ინგლიში" (რეზვენ ატკინსონი) **22.30** მხ. ფილმი "მაგნოლია" (ტომ კრუზი, ჯულიანა მური)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი **19.30** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **21.30** მუს. ოქტაგონი **22.40** მხ. ფილმი "თეთრი დედოფალი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "შთამომავლობა" **13.30** მხ. ფილმი "შემართულად" **15.00** მხ.ფილმი "სახელმწიფოს მტერი" **17.00** მხ.ფილმი "ცოფიანი ძაღლი მორგანი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** დოკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი "პერლ ჰარბორი" **00.20** მხ. ფილმი "ბლეიდი"

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ბილ ელიოტი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 02.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "სკანდალის გარეშე"

### მეცხრე არხი

**08.30** მხ. ფილმი "101 დალმატინელი" **09.50** მოკლ. მხ. ფილმი **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "მაკენას ოქრო" **13.50, 16.25, 17.50, 22.00** მუსიკა **14.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **18.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" მე-46. **21.15** მხ. სერიალი "საფრთხის ზღვარს მიღმა" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ოლიმპი" **22.50** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** ცხელი ცხრიანი **00.30** მხ. ფილმი "ძარცვა იტალიურად"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.05** მხ. ფილმი "მზით გათანგული" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია - ფენიქსის-სანანტონიო **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" მე-13ს. **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "სამპდორია" - "რეჯინა" **01.15** იმედის მელოდიები

### არხი

**08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "მუშკეტერთა დაბრუნება" **11.05** დოკუმენტური ფილმი **12.20** ბოევიკი "დაქირავებული მკვლელები" **14.00, 18.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** ბოევიკი "დაქირავებული მკვლელები" (გაგრძ.) **14.30** მელოდრამა "იდეალური ქმარი" **16.20** მულტფილმი **17.00** ბოევიკი "ვენდეტა" **19.30** "ჭიტაჭიტა" **19.40** დოკუმენტური ფილმი **20.20** კომედია "ზაზუნას დღე" **23.00** Слово **23.40, 00.40** მუსიკა **00.55** მელოდრამა "ჰოლივუდის პრინცესა: ოდრი ჰეპბერნის ისტორია" **03.40** კომედია "სადგური ორისათვის"

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Прикл. фильм "В поисках золотого руна" 09.00** "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря. **10.10** Здоровье. **11.10** "Смак" **11.30** "Пестрая лента". Леонид Гайдай **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией. "Исполинский крокодил" **15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.20** Умницы и умники **16.00** "Поговорим о странностях любви" Программа Э.Рязанова **17.00 Суперкомедия "Один дома-3" 19.10** "КВН-2003". Премьер-лига. Финал **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** Время **22.25** "Золотой Граммофон" **23.25 Харрисон Форд в триллере "Паутина лжи" 01.50 Джин Хэкмен в боевике "Французский связной" 03.50 Пол Ньюмен в детективе "Тайная война" 05.40 Сериал "Шпионка"**

### РТР

**06.50 Александр Пороховщиков в детективе "ГОРОД ПРИНЯЛ" 08.05** "АКАДЕМИЯ КОЛДОВСТВА" **08.45** Золотой ключ. **09.05** Русское лото. **09.45** Большая перемена. **10.10** "Том и Джерри". Мультсериал **10.45** Утренняя почта **11.20** "Не скуЧАЙ!" **12.15** Сам себе режиссер. **13.15** В поисках приключений. **14.15** Премьера. "Другой мир. Атака клонов". **15.00, 21.00** Вести. **15.20 Комедия "ТРИ ПЛЮС ДВА" 17.00** Кино-истории Глеба Скороходова. **17.10 Жан-Клод Бриали в комедии "ЛЕВИ И ГОЛИАФ" 19.00** "Кубок юмора" **21.25** Зеркало **21.50** "Честный детектив" **22.20** Аншлаг. **23.20 Пол Хоган в комедии "КРОКОДИЛ ДАНДИ В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ" 01.15 Джин Хэкмен в фильме "КРАЙНИЕ МЕРЫ" 03.40 Кэтлин Тернер в фильме "НАТУРАЛЬНАЯ БЛОНДИНКА"**

### НТВ

**07.40** Прикл. фильм "ТИМУР И ЕГО КОМАНДА" **09.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** Кулинарный поединок: "Мангуст" - Муха против капитана Густова. **12.00** Квартирный вопрос: шелковая кухня. **13.00, 17.00** "Сегодня" **13.20** "Дикий мир: стать хорьком" **14.10 Шон Коннери в фильме "РОБИН И МЭРИАН" 16.15** Вкусные истории. **16.25** Рекламная фишка. **17.25** "Женский взгляд". Алсу. **18.00 Сериал "КОЛЛЕКЦИЯ ДАНИЭЛЫ СТИЛ: НАЧАТЬ СНАЧАЛА". 3с. 19.05** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00 Дина Корзун, Чулпан Хаматова в драме "СТРАНА ГЛУХИХ". 23.30 Уилл Смит в фильме "АЛИ"**

# მორჩა



"ბენიფერი"

ამერიკელი მსახიობი ბენ აფლეკი და ჯენიფერ ლოპესი ერთმანეთს დაშორდნენ. ლოპესმა ნიშნობა გააუქმა. ეს ცნობა საინფორმაციო სააგენტოებს მისმა აგენტმა მიაწოდა. ამ წყვილს, რომელიც სამჯერ კინაღამ შეუღლდა, ურთიერთობა ჯერ ასე არასოდეს გამწვავებია. მართალია, დაცილების შესახებ მთელი მათი ერთად ყოფნის განმავლობაში ჭორაობდნენ, აშკარად გათვალეს. ბოლოს ასეთი ცნობა გასულ ხუთშაბათს, ამერიკულ გაზეთებში, People-სა და US Weekly-ში გამოჩნდა. მაშინ აფლეკის აგენტმა თქვა, რომ ვარსკვლავების პირადი ცხოვრების შესახებ საუბარს არ აპირებს. თავად აფლეკი კი ბოლო ინტერვიუებში სულ იმეორებდა, რომ მას და ჯენიფერს უწინდებურად, ანუ თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი.

ეს წყვილი დაქორწინებას უკვე წელიწადნახევრის განმავლობაში ლამობს. ქორწილი სამჯერ ჩაიშალა, გასული წლის სექტემბერში – ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე. ლოპესისა და აფლეკის ურთიერთობის შესახებ მსოფლიო პრესა ლამის ყოველდღიურად აქვეყნებს ცნობებს და აზრი გავრცელდა, რომ ეს ერთგვარი სარეკლამო აქციაც კი იყო.

უკანასკნელი კვირების განმავლობაში ვარსკვლავებს ერთმანეთი თითქმის არ უნახავთ. აფლეკი სანდენსის კინოფესტივალზე იმყოფებოდა, იუტაში, მანამდე კი ევროპაში მოგზაურობდა - თავის ახალ ფილმს, Paycheck-ს უწევდა რეკლამას. ამ დროს ლოპესი ფლორიდაში ბრძანდებოდა, და ამბობენ, იქ თავის ყოფილ მეგობართან, რეპერ პი დიდისთან ერთად ნახესო.

მოკლედ, როდის მოასწრეს წაკიდება, უცნობია. პრესა წერს, უბრალოდ, ჯეი ლოს ყელში ამოუვიდა აფლეკის სამორინეებში წოწიალიც და მისი ქორწინებისა და ბავშვის ყოლის მიმართ დამოკიდებულებაცო. ციტატა US-Weekly-დან "მაგის ლოდინი მომბეზრდა," უთქვამს ჯენიფერს ერთი თავის ახლობლისთვის".

"ბენიფერად" ცნობილი წყვილის ერთობლივი ისტორია, როგორც ჩანს, დასასრულს მიუახლოვდა – ყვითელი პრესისა და ათასი ჯურის პაპარაცის გულის გასახეთქად.

ბენ აფლეკისა და ჯენიფერ ლოპესის ერთად ნახვას კევინ სმიტის ახალ ფილმში, Jersey Girl-ში შევძლებთ. ამ ფილმში ლოპესი აფლეკის მეუღლეს თამაშობს. მართალია, ის ჰოლივუდმაც არ გაახარა: ლოპესის გმირი ფილმის დაწყებიდან ოცი წუთის შემდეგ კვდება.

# მეოცნებე





კადრები ფილმიდან "მეოცნებე"

ცხოვრება კინო რომ არ არის, ყველამ ვიცით. ზოგჯერ, როცა რაღაც გასაოცარი ხდება ხოლმე, ვამბობთ, თავი კინოში მეგონაო, მაგრამ ასეთი რამ, მოგეხსენებათ, დიდი იშვიათობაა. ბერნარდო ბერტოლუჩიმ კიდევ ერთი ასეთი კინოზღაპარი შემოგვთავაზა, 1968 წლის უტოპიური ამბავი. და თუმცა ცხადია, რომ ასეთები არ ხდება, "მეოცნებეს" მაინც სიამოვნებით მოვატყუებინებთ თავს – ის მეტისმეტად ტკბილია, ისევე, როგორც ნებისმიერი ოცნება.

ერთგვარი ავადმყოფობაც კი ყოფილა, სინეფილია. ამ სენის მატარებელი ადამიანი მარტოხელაა. კინო მაცდურია, მაგრამ მას მხოლოდ პატარა, უბიწო გოგონა თუ დაუჯერებს. კინოთეატრში ნანახი კარგი კინოფილმი იგივეა, რაც დღისით ნანახი სიზმარი, რომელიც, დიდი-დიდი, ორი საათი გრძელდება: ირგვლივ ბნელა, ეკრანი მომნუსხველად ციალებს... სიზმარია, აბა, რა!

ბერნარდო ბერტოლუჩის "მეოცნებე" ნამდვილი კინოა, ცდუნება, რაღაცის დაპირება. ასეთია 1968 წლის მაისში მომხდარი სტუდენტური გამოსვლაც კი – ასეთ სექსუალურ რევოლუციას კინოში თუ ნახავთ. ასეთები არიან მოედანზე შეკრებილი ახალგაზრდები, ეშმაკურად მომღიმარი ბიჭები და კოხტა გოგონები – თითქოს არაფერი ისეთი არ ხდება, უბრალოდ, ეწევიან, ცოტა აღგზნებულნი არიან, მაგრამ მაინც...

იზაბელა (მის როლს ევა გრინი ასრულებს) სინემათეკის ჭიშკარზეა მიჯაჭვული – საკუთარი ნებით. ვნებიან ტუჩებში სიგარეტი აქვს გაჩრილი, გრძელი, შავი თმა სახეზე ელამუნება (ასეთი რევოლუციონერი მხოლოდ კინოქმნილება შეიძლება იყოს, - კინომ ხომ ბრიჯიტ ბარდო და ჩე გევარა თანასწორ ლეგენდად აქცია). ის ახალგაზრდა ამერიკელს, მათიასს (მაიკლ პიტი) სთხოვს, მომიკიდეო, და ცხადია, იქვე ვნებაც იფეთქებს.

ძველ სახლში სამნი ცხოვრობენ ერთად. ისინი ჟურნალებს ფურცლავენ, ბობ დილანს და ჯენის ჯოპლინს უსმენენ, ვიეტნამსა და ამერიკულ კინოზე საუბრობენ. ამ ყოფაში ანბანური ჭეშმარტებების აღმოჩენა ხდება, მას დიდი ეროტიკული მუხტი ახლავს. გმირების ახალგაზრდა სხეულები ბერტოლუჩის ოსტატობის მეშვეობით ნამდვილი სიზმარივით მშვენიერია, ისევე, როგორც "მეოცნებეში" მოთხრობილი საინტერესო, მაგრამ სიზმარივით ფუჭი ამბავი.














## წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.